წალკის სოფელ სამების ჯვრის მამათა მონასტერი
თბილისის სასულიერო აკადემია
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის სასწავლო-კვლევითი ცენტრი

ჰიმნოგრაფიული კრებული

IV

წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციის

პარაკლიტონი

დასდებელნი
«უფალო-ღაღადყავსა»
კმაჲ ა გუერდი - ბ გუერდი

სანოტო დანართი **წმ. ფილიმონ მგალობლის (ქორიძე), წმ. ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძე) და დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძის** ხელნაწერების მიხედვით

ძეგლი სანოტო დანართითურთ გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევა დაურთეს **მონაზონმა გიორგი ასკურავამ** და **მონაზონმა ექვთიმე კრუპიცკიმ**

გამომცემლობა
„სულიერი ვენახი“
თბილისი
2025

Tsalka, Sameba village, Cross Monastery

Tbilisi Theological Academy

Korneli Kekelidze National Centre of manuscripts

Ecclesiastical Chant Research Centre of the Georgian Patriarchate

Hymnographical collection

IV

Octoechos of St. George the Hagiorite's edition

Stichera on "Lord, I have cried"

Plagal First and Plagal Second Tones

Musical attachment by St. Philemon the Chanter's (Koridze), St. Ekvtime the Confessor's (Kereselidze) and Archpriest Razhden Khundadze's manuscripts

Text with musical attachment was prepared for publication and the researched material was submitted in the introduction by
a monk Giorgi Askurava and **a monk Ekvtime Krupitski**

"Sulieri Venakhi" publishers

Tbilisi

2025

„ჰიმნოგრაფიული კრებულის“ IV ტომში წარმოდგენილია წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციის პარაკლიტონის ***«უფალო-ღაღადყავსას»*** დასდებლები. მათ ახლავს სანოტო დანართი, რომელიც შედგენილია წმ. ფილიმონ მგალობლის (ქორიძე), წმ. ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძე) და დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერების მიხედვით.

გამოცემა **ორი ნაწილისგან** შედგება: **პირველი ნაწილი** შეიცავს ***«უფალო-ღაღადყავსას»*** დასდებლების მეცნიერულად დადგენილ კრიტიკულ ტექსტს, რომელსაც სქოლიოების სახით დართული აქვს სხვადასხვა ხელნაწერში ასახული ვარიანტები; **მეორე ნაწილში** წარმოდგენილია სანოტო დანართი, რომელიც მგალობლებს ***«უფალო-ღაღადყავსას»*** დასდებლების გალობით აღვლენის საშუალებას მისცემს.

«უფალო-ღაღადყავსას» დასდებლების სიმრავლის გამო, „ჰიმნოგრაფიული კრებულის“ IV ტომი მხოლოდ პირველი გვერდითი და მეორე გვერდითი ხმების მასალას მოიცავს, ხოლო მომდევნო ორი ხმის (გ გვერდი - დ გვერდი) ნიმუშები „ჰიმნოგრაფიული კრებულის“ მეხუთე ტომში გამოქვეყნდება.

ნაშრომი განკუთვნილია ფილოლოგებისთვის, მგალობლებისთვის, მედავითნეებისთვის, ლიტურგიკის სპეციალისტებისთვის და საეკლესიო ჰიმნოგრაფიით დაინტერესებულ პირთათვის.

კრებულს, ტრადიციისამებრ, თან ახლავს აუდიოალბომი. ალბომის ჩანაწერები ასევე განთავსებულია ინტერნეტში, **SoundCloud**-ისა და **YouTube**-ის პლატფორმებზე, რომელთა წვდომა წიგნის ბოლოს დართული **QR** კოდებით არის შესაძლებელი.

In the fourth volume of the "Hymnographical Collection," we present the stichera on "Lord, I have cried" from St. George the Hagiorite's Octoechos. This edition includes a musical attachment compiled from the manuscripts of St. Philemon the Chanter (Koridze), St. Ekvtime the Confessor (Kereselidze), and Archpriest Razhden Khundadze.

The publication consists of two parts: the first part presents the critically established scholarly text of the stichera on "Lord, I have cried," accompanied by footnotes showing the variants found in various manuscripts; the second part contains the musical attachment, enabling church chanters to perform these stichera during the Vespers service.

Due to the extensive number of stichera on "Lord, I have cried," the Fourth Volume of the "Hymnographical Collection" contains only the material for the Plagal First and Plagal Second Tones. Consequently, the remaining two tones – the Grave Tone (or Plagal Third) and Plagal Fourth Tones – will be published in the fifth volume of the "Hymnographical Collection."

This edition is intended for philologists, church chanters, readers, liturgical scholars, and anyone with an interest in ecclesiastical hymnography.

Traditionally, the collection is accompanied by an audio album. The album's recordings are also available online on the SoundCloud and YouTube platforms, which can be accessed using the QR codes provided at the end of the book.

რედაქტორი

ედიშერ ჭელიძე ფილოლოგიის და თეოლოგიის დოქტორი

Editor

Edisher Chelidze Doctor of Philology and Theology

მუსიკალური რედაქტორი

მალხაზ ერქვანიძე სოციალური მეცნიერებების დოქტორი, ეთნომუსიკოლოგი

Musical editor

Malkhaz Erkvanidze Doctor of Social Sciences, ethnomusicologist

რეცენზენტები:

მაია რაფავა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

მაგდა სუხიაშვილი მუსიკოლოგიის დოქტორი

Reviewers:

Maya Rafava Doctor of Philological Sciences

Magda Sukhiashvili Doctor of Musicology

კორექტორები:

იღუმენი ლუკიანე ბუდაღაშვილი თეოლოგიის მაგისტრი, წალკის სოფელ სამების ჯვრის მამათა მონასტრის წინამძღვარი

გიორგი აბრამიშვილი სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი მუსიკოლოგიაში

Revisers:

Hegumen Lukiane Budaghashvili Master of Theology, Abbot of Cross Monastery in Tsalka, Sameba village

Giorgi Abramishvili Master of Musical Arts in Musicology

მთარგმნელი

მონაზონი ექვთიმე ჯრუჯიცკი თეოლოგიის მაგისტრი

Translator

Monk Ekvtime Krupitski Master of Theology

წიგნის გამოცემა დაფინანსებულია საქართველოს საპატრიარქოს წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის სამეცნიერო ცენტრის მიერ

საქართველოს საპატრიარქოს
წმ. გიორგი მთაწმინდელის
სახელობის სამეცნიერო ცენტრი

© გამომცემლობა „სულიერი ვენახი“

© წალკის სოფელ სამების ჯვრის მამათა მონასტერი

© საქართველოს საპატრიარქოს წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის სამეცნიერო ცენტრი

ISMN 979-0-802102-13-2

შინაარსი

- წინათქმა 11
- თვითავაჯი სტიქარონების შესახებ 13
- ტექსტისათვის 14
- სტიქარონთა ძლისპირების ტექსტების წყაროები **ჳმაჲ ა გუერდი - ბ გუერდი** . 15
- ტექსტი, **ჳმაჲ ა გუერდი** 17
- ტექსტი, **ჳმაჲ ბ გუერდი** 42
- სტიქარონთა ლიტურგიკული სქემა, **ჳმაჲ ა გუერდი** 64
- სტიქარონთა ლიტურგიკული სქემა, **ჳმაჲ ბ გუერდი** 77
- საგალობელთა სანოტო ხელნაწერების შესახებ 90
- «უფალო-ღაღადყავსას» ძლისპირი «მოვედით, აღვიდეთ» 96

- **სანოტო დანართი**

- **ჳმაჲ ა გუერდი**

- «უფალო-ღაღადყავსა», ჳმაჲ ა გუერდი 121
- «უფალო-ღაღადყავსა», ჭრელი, ჳმაჲ ა გუერდი 124
- «დასდევ, უფალო» ნევმირებული 127
- «დიდებაჲ. აწ და», ჳმაჲ ა გუერდი 130

- **დასდებელნი აღდგომისანი. «უფალო-ღაღადყავსა»**

- «სუფევს ღმერთი», ჳმაჲ ა გუერდი 131
- სხუანი. «რომელი ქებულ ხარ», ჳმაჲ ა გუერდი 141
- სხუანი. «მოვედით, აღვიდეთ», ჳმაჲ ა გუერდი 149
- სხუანი. «რაჟამს შევიდეს», ჳმაჲ ა გუერდი 167
- სხუანი. «მამისა თანა მჯდომარემან», ჳმაჲ ა გუერდი 177
- **დასდებელნი აღდგომისანი**. თჯთნი. ჳმაჲ ა გუერდი 190
- სხუანი. თჯთნი. ჳმაჲ ა გუერდი 196

- **დღე ორშაბათი. წმიდათა მთავარანგელოზთაჲ და სინანულისაჲ**

- «გიხაროდენნი», ჳმაჲ ა გუერდი 207
- სხუანი. «სუფევს ღმერთი», ჳმაჲ ა გუერდი 229
- **სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი**. «გიხაროდენნი», ჳმაჲ ა გუერდი 237

- **დღე სამშაბათი. წმიდისა წინამორბედისაჲ**

- «გიხაროდენნი», ჳმაჲ ა გუერდი 247
- სხუანი. «რაჟამს შევიდეს», ჳმაჲ ა გუერდი 263
- **სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი**. «გიხაროდენნი», ჳმაჲ ა გუერდი 271

- **დღე ოთხშაბათი. წმიდისა ღმრთისმშობლისაჲ და ჯუარისაჲ**
- «სუფევს ღმერთი», ჴმაჲ ა გუერდი 278
- სხუანი. «გიხაროდენნი», ჴმაჲ ა გუერდი 291
- სხუანი. «რაჟამს შევიდეს», ჴმაჲ ა გუერდი 298
- სხუანი. «მოვედით, აღვიდეთ», ჴმაჲ ა გუერდი 306
- **სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი.** «გიხაროდენნი», ჴმაჲ ა გუერდი 311
- **დღე ხუთშაბათი. წმიდათა მოციქულთაჲ**
- «გიხაროდენნი», ჴმაჲ ა გუერდი 321
- სხუანი. «მოვედით, აღვიდეთ», ჴმაჲ ა გუერდი 334
- სხუანი. «სუფევს ღმერთი», ჴმაჲ ა გუერდი 343
- **სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი.** «გიხაროდენნი», ჴმაჲ ა გუერდი 351
- **დღე პარასკევი. ჯუარისაჲ და წმიდათაჲ**
- «გიხაროდენნი», ჴმაჲ ა გუერდი 361
- სხუანი. «რაჟამს შევიდეს», ჴმაჲ ა გუერდი 371
- **სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი.** «გიხაროდენნი», ჴმაჲ ა გუერდი 376
- **დღე შაბათი. წმიდათაჲ და სულთაჲ**
- «რომელი ქებულ ხარ», ჴმაჲ ა გუერდი 386
- სხუანი. «მოვედით, აღვიდეთ», ჴმაჲ ა გუერდი 399
- სხუანი. «რაჟამს შევიდეს», ჴმაჲ ა გუერდი 406
- **სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი.** «გიხაროდენნი», ჴმაჲ ა გუერდი 413
- **ჴმაჲ ბ გუერდი**
- «უფალო-ღაღადყავსა», ჴმაჲ ბ გუერდი 423
- «უფალო-ღაღადყავსა», ჭრელი, ჴმაჲ ბ გუერდი 426
- «დიდებაჲ. აწ და», ჴმაჲ ბ გუერდი 429
- **დასდებელნი აღდგომისანი. «უფალო-ღაღადყავსა»**
- «რომელმან სიბრძნით», ჴმაჲ ბ გუერდი 430
- სხუანი. «შენ, რომელი გარდამოჰჴედ», ჴმაჲ ბ გუერდი 436
- სხუანი. «უფალო, საჴსენებელსა», ჴმაჲ ბ გუერდი 444
- სხუანი. «მძლე-ექმენ შენ, ქრისტე», ჴმაჲ ბ გუერდი 452
- სხუანი. «ანგელოზთა მჴედრობაჲ», ჴმაჲ ბ გუერდი 460
- სხუანი. «უბიწოო ღმრთისმშობელო», ჴმაჲ ბ გუერდი 468
- სხუანი. «ყოველი სასოებაჲ», ჴმაჲ ბ გუერდი 472
- **დასდებელნი აღდგომისანი.** თჳთნი, ჴმაჲ ბ გუერდი 495
- სხუანი. თჳთნი, ჴმაჲ ბ გუერდი 500

- **დღე ორშაბათი. წმიდათა მთავარანგელოზთაჲ**
- «ყოველი სასოებაჲ», ჴმაჲ ბ გუერდი 507
- სხუანი. «უფალო, საჴსენებელსა», ჴმაჲ ბ გუერდი 537
- **სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი.** «ყოველი სასოებაჲ», ჴმაჲ ბ გუერდი 541
- **დღე სამშაბათი. ნათლისმცემელისა და სინანულისაჲ**
- «ნაცვალად კეთილთა», ჴმაჲ ბ გუერდი 551
- სხუანი. «შენ, რომელი გარდამოჰჴედ», ჴმაჲ ბ გუერდი 557
- **სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი.** «ყოველი სასოებაჲ», ჴმაჲ ბ გუერდი 565
- **დღე ოთხშაბათი. წმიდისა ღმრთისმშობლისაჲ და ჯუარისაჲ**
- «ყოველი სასოებაჲ», ჴმაჲ ბ გუერდი 575
- **სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი.** «სასოწარკუეთილმან ცხორებისათჳს», ჴმაჲ ბ გუერდი 598
- **დღე ხუთშაბათი. წმიდათა მოციქულთაჲ**
- «ყოველი სასოებაჲ», ჴმაჲ ბ გუერდი 606
- სხუანი. «მძლე-ექმენ შენ, ქრისტე», ჴმაჲ ბ გუერდი 620
- **სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი.** «სასოწარკუეთილმან ცხორებისათჳს», ჴმაჲ ბ გუერდი 629
- **დღე პარასკევი. ჯუარისაჲ და წმიდათაჲ**
- «ყოველი სასოებაჲ», ჴმაჲ ბ გუერდი 637
- სხუანი. «უფალო, საჴსენებელსა», ჴმაჲ ბ გუერდი 647
- **სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი.** «სასოწარკუეთილმან ცხორებისათჳს», ჴმაჲ ბ გუერდი 653
- **დღე შაბათი. წმიდათაჲ და შესუენებულთაჲ**
- «შენ, რომელი გარდამოჰჴედ», ჴმაჲ ბ გუერდი 661
- სხუანი. «ყოველი სასოებაჲ», ჴმაჲ ბ გუერდი 671
- სხუანი. «უფალო, საჴსენებელსა», ჴმაჲ ბ გუერდი 681
- **სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი.** «სასოწარკუეთილმან ცხორებისათჳს», «ყოველი სასოებაჲ», ჴმაჲ ბ გუერდი 687
- შენიშვნები მუსიკალური ნაწილისთვის 696
- დასდებელთა საძიებელი 699
- ქართული ანბანის საერთაშორისო ტრანსკრიფცია 703
- გამოყენებული ლიტერატურა 704
- აუდიოალბომის QR კოდი 712

Contents

- Introduction 11
- About Stichera Idiomela 13
- About the text 14
- The sources of the Automela texts **the Plagal First and the Plagal Second Tone** 15
- The text, **the Plagal First Tone** 17
- The text, **the Plagal Second Tone** 42
- The Liturgical scheme of Stichera, **the Plagal First Tone** 64
- The Liturgical scheme of Stichera, **the Plagal Second Tone** 77
- On the notated chant manuscripts 90
- Automelon "Come, let us go up" 96
- **Musical attachment**
- **Plagal First Tone**
- "Lord, I have cried", the Plagal First Tone 121
- "Lord, I have cried", ornamented version, the Plagal First Tone 124
- "Set a guard, O Lord", neumatic notation 127
- "Glory. Now and", the Plagal First Tone 130
- **Resurrectional Stichera on "Lord, I have cried"**
- "God reigneth", the Plagal First Tone 131
- Other Stichera. "Thou, who art praised", the Plagal First Tone 141
- Other Stichera. "Come, let us go up", the Plagal First Tone 149
- Other Stichera. "When the Lord of Glory enters", the Plagal First Tone 167
- Other Stichera. "The One who sits with the Father", the Plagal First Tone 177
- **Resurrectional Stichera**. Idiomela, the Plagal First Tone 190
- Other Stichera. Idiomela, the Plagal First Tone 196
- **Monday. Stichera of the Holy Archangels and of repentance**
- "Rejoice", the Plagal First Tone 207
- Other Stichera. "God reigneth", the Plagal First Tone 229
- **Stichera of the Theotokos**. "Rejoice", the Plagal First Tone 237
- **Tuesday. Stichera of the Forerunner**
- "Rejoice", the Plagal First Tone 247

- Other Stichera. "When the Lord of Glory enters", the Plagal First Tone 263
- **Stichera of the Theotokos**. "Rejoice", the Plagal First Tone 271

• Wednesday. Stichera of the Holy Theotokos and of the Cross

- "God reigneth", the Plagal First Tone 278
- Other Stichera. "Rejoice", the Plagal First Tone 291
- Other Stichera. "When the Lord of Glory enters", the Plagal First Tone 298
- Other Stichera. "Come, let us go up", the Plagal First Tone 306
- **Stichera of the Theotokos**. "Rejoice", the Plagal First Tone 311

• Thursday. Stichera of the Holy Apostles

- "Rejoice", the Plagal First Tone 321
- Other Stichera. "Come, let us go up", the Plagal First Tone 334
- Other Stichera. "God reigneth", the Plagal First Tone 343
- **Stichera of the Theotokos**. "Rejoice", the Plagal First Tone 351

• Friday. Stichera of the Cross and of the Saints

- "Rejoice", the Plagal First Tone 361
- Other Stichera. "When the Lord of Glory enters", the Plagal First Tone 371
- **Stichera of the Theotokos**. "Rejoice", the Plagal First Tone 376

• Saturday. Stichera of the Saints and of the Departed

- "Thou, who art praised", the Plagal First Tone 386
- Other Stichera. "Come, let us go up", the Plagal First Tone 399
- Other Stichera. "When the Lord of Glory enters", the Plagal First Tone 406
- **Stichera of the Theotokos**. "Rejoice", the Plagal First Tone 413

• Plagal Second Tone

- "Lord, I have cried", the Plagal Second Tone 423
- "Lord, I have cried", ornamented version, the Plagal Second Tone 426
- "Glory. Now and", the Plagal Second Tone 429

• Resurrectional Stichera on "Lord, I have cried"

- "Who by wisdom", the Plagal Second Tone 430
- Other Stichera. "Thou who didst descend", the Plagal Second Tone 436
- Other Stichera. "All creation feasts", the Plagal Second Tone 444
- Other Stichera. "Thou hast conquered, O Christ", the Plagal Second Tone 452
- Other Stichera. "The Angelic Host", the Plagal Second Tone 460
- Other Stichera. "O undefiled Theotokos", the Plagal Second Tone 468

- Other Stichera. "Having placed", the Plagal Second Tone 472
- **Resurrectional Stichera**. Idiomela, the Plagal Second Tone 495
- Other Stichera. Idiomela, the Plagal Second Tone 500

• Monday. Stichera of the Holy Archangels

- "Having placed", the Plagal Second Tone 507
- Other Stichera. "All creation feasts", the Plagal Second Tone 537
- **Stichera of the Theotokos**. "Having placed", the Plagal Second Tone 541

• Tuesday. Stichera of John the Baptist and of repentance

- "In return for the good deeds", the Plagal Second Tone 551
- Other Stichera. "Thou who didst descend", the Plagal Second Tone 557
- **Stichera of the Theotokos**. "Having placed", the Plagal Second Tone 565

• Wednesday. Stichera of the Holy Theotokos and of the Cross

- "Having placed", the Plagal Second Tone 575
- **Stichera of the Theotokos**. "Full of despair", the Plagal Second Tone 598

• Thursday. Stichera of the Holy Apostles

- "Having placed", the Plagal Second Tone 606
- Other Stichera. "Thou hast conquered, O Christ", the Plagal Second Tone 620
- **Stichera of the Theotokos**. "Full of despair", the Plagal Second Tone 629

• Friday. Stichera of the Cross and of the Saints

- "Having placed", the Plagal Second Tone 637
- Other Stichera. "All creation feasts", the Plagal Second Tone 647
- **Stichera of the Theotokos**. "Full of despair", the Plagal Second Tone 653

• Saturday. Stichera of the Saints and of the Departed

- "Thou who didst descend", the Plagal Second Tone 661
- Other Stichera. "Having placed", the Plagal Second Tone 671
- Other Stichera. "All creation feasts", the Plagal Second Tone 681
- **Stichera of the Theotokos**. "Full of despair", the Plagal Second Tone 687
- Notes on the musical attachment 696
- Index of Troparia 699
- International transcription of the Georgian alphabet 703
- Bibliography 704
- QR code of audio album 712

წინათქმა

წინამდებარე პუბლიკაციით გრძელდება წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციის პარაკლიტონის ***«უფალო-ღაღადყავსას»*** დასდებლების გამოცემა; აქ შესულია **პირველი გვერდითი**[1] და **მეორე გვერდითი** ხმების დასდებლები.

გამოცემის პირველ ნაწილში პარაკლიტონის მასალიდან წარმოდგენილია ***«უფალო-ღაღადყავსას»*** დასდებლების მეცნიერულად დადგენილი კრიტიკული ტექსტი სქოლიოებით, რომლებიც ასახავს სხვადასხვა ხელნაწერში დადასტურებულ ვარიანტებს. პუბლიკაციაში 17 ხელნაწერისა და 2 ბეჭდური გამოცემის მონაცემებია გათვალისწინებული. მათგან 13 ხელნაწერი გამოვიყენეთ პირველი გვერდითი და მეორე გვერდითი ხმების ***«უფალო-ღაღადყავსას»*** დასდებლების ძირითადი კრიტიკული ტექსტის დასადგენად, ხოლო 3 ხელნაწერი და 2 ბეჭდური გამოცემა (იგულისხმება პარაკლიტონები, რომელთაგან პირველი გამოცემულია 1720 წელს ვახტანგ **VI**-ის სტამბაში, ხოლო მეორე – **XVIII** საუკუნის შუა წლებში რედაქტირებულია ანტონ **I** კათალიკოსის მიერ და გამოიყენება დღევანდელ საღვთისმსახურო პრაქტიკაში) – კვლევითი ნაწილისთვის. ამ ხელნაწერთა რიცხვს ემატება კიდევ ერთი ნუსხა, რომლის მონაცემებიც ***«სტიქარონი ღმრთისმშობლისანის»*** კრიტიკული ტექსტის დადგენისას გავითვალისწინეთ.

წმ. გიორგი მთაწმინდელის ანდერძში პირველი გვერდითი და მეორე გვერდითი ხმების ***«უფალო-ღაღადყავსას»*** დასდებლების წყვილთა რაოდენობის შესახებ ვკითხულობთ:

„ადგომისანი. ჴმაჲ ა გუერდი: *ხუთი წყვილი უფალო-ღაღატყავსა*[2]*.*
დღე ორშაბათი: სამი წყვილი უფალო-ღაღატყავსა.
დღე სამშაბათი: სამი წყვილი უფალო-ღაღატყავსა.
დღე ოთხშაბათი: ოთხი წყვილი უფალო-ღაღადყავსა.
დღე ხუთშაბათი: სამი წყვილი უფალო-ღაღატყავსა.
დღე პარასკევი: ჯუარისაჲ ორნი წყვილნი უფალო-ღაღატყავსა.
დღე შაბათი: სამი წყვილი უფალო-ღაღატყავსა.
ადგომისანი. ჴმაჲ ბ გუერდი: *შვიდი წყვილი უფალო-ღაღადყავსა.*
დღე ორშაბათი: სამი წყვილი უფალო-ღაღადყავსა.
დღე სამშაბათი: ორი წყვილი უფალო-ღაღატყავსა.
დღე ოთხშაბათი: ორი წყვილი უფალო-ღაღადყავსა.
დღე ხუთშაბათი: ორი წყვილი უფალო-ღაღატყავსა.

---

1 ***გვერდითი ხმის*** *განმარტება იხ.: ჰიმნოგრაფიული კრებული 2023, II: 23. სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „გვერდითი“ დამკვიდრებულია, როგორც ბერძნული πλάγιος-ის შესატყვისი (იხ.: უძველესი იადგარი 1980: 717; ჰიმნოგრაფიული კანონი 1982: 34-35, 39, 75; დიდი სვინაქსარი 2017: 508; შრომები 2011, III: 63, 69). რადგან „ჴმაჲ ა გუერდი“ რვა ხმის სისტემაში რიგით მეხუთეა, დასაშვებად მიგვაჩნია, რომ მას, სწორედ რიგითობის გაგებით, „მეხუთე ხმა“ ვუწოდოთ. თუმცა, ტერმინოლოგიური პრეციზულობიდან გამომდინარე, ჩვენ უპირატესობას ტრადიციულ სახელწოდებას (ჴმაჲ ა გუერდი) ვანიჭებთ. ზემოთქმული, რასაკვირველია, ეხება დანარჩენ გვერდით ხმებსაც.*

2 ***«უფალო-ღაღადყავსა»*** *გიორგი მთაწმინდელთან ასევე გვხვდება ფორმით* ***«უფალო-ღაღატყავსა»****.*

დღე პარასკევი: ორი წყვილი უფალო-ღაღატყავსა.

დღე შაბათი: სამი წყვილი უფალო-ღაღადყავსა“ (ჰიმნოგრაფიული კრებული 2020, I: 27-28).

ანდერძში მოყვანილი ჩამონათვალი ხელნაწერ **Ath. 45**-ის, ანუ წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ ახლად თარგმნილი ვრცელი პარაკლიტონის, მასალას წარმოადგენს. სტიქარონ-წარდგომათა კრებულიდან წინამდებარე პუბლიკაციაში შესულია აღდგომის თვითავაჯი დასდებლები და წმ. თეოფანე გამომეტყველის (**VIII-IX** სს.) მიერ შედგენილი ღვთისმშობლის სტიქარონები[1].

როგორც „ჰიმნოგრაფიული კრებულის“ **II** და **III** ტომებში ვაჩვენეთ, პარაკლიტონის სტიქარონებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ერთსა და იმავე სტიქარონს სხვადასხვა ხელნაწერი სხვადასხვა დღესა და სხვადასხვა ჟანრობრივ ჯგუფს მიაკუთვნებს. ამ ფაქტის გათვალისწინებით, საჭიროდ მივიჩნიეთ, შეგვედგინა სტიქარონთა ლიტურგიკული სქემები. მათში უკლებლივ ყველა სტიქარონთან ვუთითებთ ხელნაწერისეულ პაგინაციას და საგალობლის ჟანრულ კუთვნილებას. „ჰიმნოგრაფიული კრებულის“ **II** ტომში მოცემულ სქემებში აღვნუსხეთ პირველი და მეორე ხმების, ხოლო **III** ტომში – მესამე და მეოთხე ხმების სტიქარონები. ამჯერად პირველი გვერდითი და მეორე გვერდითი ხმების სტიქარონებს აღვნუსხავთ.

წინამდებარე გამოცემის მეორე ნაწილში წარმოდგენილია სანოტო დანართი, რომელიც წმ. ფილიმონ მგალობლის (ქორიძე), წმ. ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძე) და დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერების მიხედვითაა შედგენილი. სანოტო დანართში წმ. გიორგი მთაწმინდელის პარაკლიტონის ***«უფალო-ღაღადყავსას»*** დასდებლების მეცნიერულად დადგენილი კრიტიკული ტექსტია შეტანილი.

სანოტო დანართის ბოლოს დართულია შენიშვნები რიტმულ-ინტონაციურ, კილოურ და სიმაღლებრივ[2] ცვლილებებთან დაკავშირებით[3]. ამას მოსდევს დასდებელთა საძიებელი, რომელშიც ასახულია დასდებელთა ადგილმდებარეობა ტექსტოლოგიურ ნაწილსა და სანოტო დანართში (გვერდისა და ნომრის მითითებით).

«უფალო-ღაღადყავსას» დასდებლებთან დაკავშირებით წინამდებარე პუბლიკაციაში განხილულია რამდენიმე საკითხი, რომელთაგან არსებითად მივიჩნევთ შემდეგს:

1. წმ. გიორგი მთაწმინდელის პარაკლიტონში შეტანილი თვითავაჯი სტიქარონების კვლევა – კერძოდ, იმის დადგენა, თუ რა ჰანგი შეესაბამება მათ **XIX-XX** საუკუნეების სანოტო ხელნაწერებში.

---

1 *წმ. თეოფანე გამომეტყველის (VIII-IX) მიერ შედგენილი ღვთისმშობლის სტიქარონების შესახებ იხ.: ჰიმნოგრაფიული კრებული 2023, II: 57-59.*

2 *იგულისხმება მუსიკალური ტექსტის ტრანსპონირება.*

3 *„ჰიმნოგრაფიული კრებულის“ წინა ტომებისგან განსხვავებით, წინამდებარე კრებულში რიტმულ-ინტონაციური ცვლილებები წარმოდგენილია სანოტო დანართების გარეშე, მხოლოდ წყაროებზე მითითებებით.*

2. პირველი გვერდითი ხმის ***«უფალო-ღაღადყავსას»*** ძლისპირის – ***«მოვედით, აღვიდეთ»*** – ნოტირებული ნიმუშების კვლევის შედეგების მაგალითზე წარმოჩენილია მნიშვნელოვანი ფაქტოლოგიური მონაცემები, რომლებიც მიუთითებს შუა საუკუნეებისა და **XIX-XX** საუკუნეების ხელნაწერებში წარმოდგენილი ერთი და იმავე ძლისპირებისა და ძლისპირწამძღვარებული დასდებლების თანხვედრას ჰანგის თვალსაზრისით.

თვითთავაჯი სტიქარონების შესახებ

ჰიმნოგრაფიული კრებულის **IV** ტომში განვაგრძობთ წმ. გიორგი მთაწმინდელის პარაკლიტონში მოცემულ თვითთავაჯ სტიქარონებზე დაკვირვებას, კერძოდ, იმას, თუ რა ჰანგი შეესაბამება მათ **XIX-XX** საუკუნეების სანოტო ხელნაწერებში. ამ მხრივ, „ჰიმნოგრაფიული კრებულის“ **II** და **III** ტომში წარმოვადგინეთ შესაბამისი მასალა პირველი ოთხი ხმის ფარგლებში (იხ. ჰიმნოგრაფიული კრებული 2023, **II**: 41-52; ჰიმნოგრაფიული კრებული 2024, **III**: 22-23).

პირველ ოთხ ხმაში დადასტურებული კანონზომიერება პირველ გვერდით და მეორე გვერდით ხმებშიც გამოვლინდა. პირველ გვერდით ხმაში მოცემულია 8 თვითთავაჯი დასდებელი, ხოლო მეორე გვერდით ხმაში – კვლავ 8 დასდებელი. ორივე ხმის დასდებლებს **XIX-XX** საუკუნეების სანოტო ხელნაწერებში იმავე ხმების ***«უფალო-ღაღადყავსას»*** ჰანგები შეესაბამება.

ქვემოთ წარმოვადგენთ ყველა თვითთავაჯი სტიქარონის ჩამონათვალს:

«პატიოსნისა ჯუარისა», ჴმაჲ ა გუერდი [უძლისპირო].
«რომელმან აღდგომაჲ», ჴმაჲ ა გუერდი [უძლისპირო].
«დიდი საკვრველი», ჴმაჲ ა გუერდი [უძლისპირო].
«სამწუხროსა თაყუანისცემასა», ჴმაჲ ა გუერდი [უძლისპირო].
«წინამძღუარსა ცხორებისა ჩუენისასა», ჴმაჲ ა გუერდი [უძლისპირო].
«დასისაგანთა ეტყოდეს», ჴმაჲ ა გუერდი [უძლისპირო].
«უფალო, რომელმან ჯოჯოხეთი», ჴმაჲ ა გუერდი [უძლისპირო].
«ზღუასა მას ზედა მეწამულსა», ჴმაჲ ა გუერდი თჳთ.
«ძლევაჲ გაქუნდა», ჴმაჲ ბ გუერდი [უძლისპირო].
«დღეს ქრისტემან», ჴმაჲ ბ გუერდი [უძლისპირო].
«შენ, უფალო, რომელი-ეგე ხარ», ჴმაჲ ბ გუერდი [უძლისპირო].
«ჯუარითა შენითა, ქრისტე», ჴმაჲ ბ გუერდი [უძლისპირო].
«მარადის ვაკურთხევდეთ», ჴმაჲ ბ გუერდი [უძლისპირო].
«დიდებაჲ ძალსა შენსა», ჴმაჲ ბ გუერდი [უძლისპირო].
«დაფლვამან შენმან», ჴმაჲ ბ გუერდი [უძლისპირო].
«ვინ არაჲ განტრიდეს», ჴმაჲ ბ გუერდი [უძლისპირო].

გარდა ამისა, პირველი გვერდითი ხმის ***«უფალო-ღაღადყავსას»*** ჰანგი აღმოაჩნდა იმავე ხმის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სტიქარონთა ძლისპირს – ***«გიხაროდენ, სამკვდრებელო შუენიერო»***. ამ ძლისპირს დაქვემდებარებული დასდებლების ინციპიტი

შემდეგი ფორმებით გვხვდება: ***«გიხარდენნი»*** და ***«გიხარდენთა მედა»***[1]. ხსენებული ძლისპირი (ბერძ. Χαίροις ἀσκητικῶν) ბერძნულ სამგალობლო კრებულებში ცნობილია როგორც αὐτόμελον[2] **(Anthologia Graeca 1871: 74, 126;** ΑΥΤΟΜΕΛΑ **2019: 33; Andreev 2013: 8).** ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ქართულ სინამდვილეში მას უნდა ჰქონოდა განსხვავებული ჰანგი, რომელმაც ჩვენამდე არ მოაღწია.

ტექსტისათვის

წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილია წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციის პარაკლიტონი – პირველი გვერდითი და მეორე გვერდითი ხმების ***«უფალო-ღაღადყავსას»*** დასდებლების კრიტიკული ტექსტი. კრიტიკულ ტექსტს ახლავს შესაბამისი კრიტიკული აპარატი, რომელშიც მითითებულია: 1. ხელნაწერთა ვარიანტები (აღნიშნულია არაბული ციფრებით). 2. კოლოფონები და გამომცემელთა შენიშვნები ტექსტთან დაკავშირებით (აღნიშნულია ვარსკვლავებით).

რვავე ხმის ***«უფალო-ღაღადყავსას»*** დასდებლების კრიტიკული ტექსტის დასადგენად ჩვენ გამოვიყენეთ 22 ძველი ქართული ხელნაწერი[3], რომლებიც წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციის პარაკლიტონს ან პარაკლიტონის საგალობელთა შემცველ რომელიმე სხვა ლიტურგიკულ კრებულს წარმოადგენს.

კრიტიკული ტექსტის დასადგენად გამოყენებული ხელნაწერების ლიტერებია:

A – Ath. 45 (XI)
B – A 93 (1093 წ.)
C – Sin. 96 (XI)
D – Ath. 24 (1077 წ.)
E – Jer. 119 (XIII-XIV)
F – Jer. 123 (XII-XIII)
G – Ath. 47 (XII-XIII)
H – Sin. 67 (XIII)
I – Ath. 44 (XI)
J – Add. Ms. 11282 (XI)
K – Sin. 69 (XII-XIII)
L – Jer. 31 (XIII-XIV)
M – Sin. 77 (XIII-XIV)
N – Ath. 26 (XV-XVI)
O – Ath. 50 (XV-XVI)
P – სვან. 3 (XI ს.-ის II ნახევარი)
Q – Jer. 131 (XI-XII)
R – Sin. 82 (XIII)
S – Jer. 63 (1167 წ.)
T – Jer. 86 (XIII)
U – Jer. 41 (XIII-XV)
V – ახალც. 163 (XII-XIII)

აქ ჩამოთვლილი ხელნაწერებიდან ***«უფალო-ღაღადყავსას»*** **პირველი გვერდითი და მეორე გვერდითი ხმების** კრიტიკული ტექსტის[4] დასადგენად **ცამეტი** ნუსხაა გამოყენებული:

---

1 *ამ ძლისპირის ჰანგი იხ.: წინამდებარე გამოცემა, გვ. 207.*

2 *ესე იგი, ქართულად „სტიქარონთა ძლისპირი“, რომელიც შუა საუკუნეების ხელნაწერებში ამგვარი ფორმით დასტურდება: „ძლისპირი უფალო-ღაღადყავსა“. დაწვრილებით ამის შესახებ იხ.: ჰიმნოგრაფიული კრებული 2023, II: 27.*

3 *ხელნაწერთა აღწერილობა იხ. ჰიმნოგრაფიული კრებული 2023, II: 60-66.*

4 *კრიტიკულ ტექსტში გამოყენებული პირობითი ნიშნებისა და კრიტიკულ ტექსტთან დაკავშირებული შენიშვნების შესახებ იხ.: ჰიმნოგრაფიული კრებული 2023, II: 66-67.*

A (Ath. 45), D (Ath 24), F (Jer. 123), H (Sin. 67), I (Ath. 44), K (Sin. 69), M (Sin. 77), N (Ath. 26), P (სვან. 3), Q (Jer. 131), S (Jer. 63), T (Jer. 86), U (Jer. 41)[1].

კვირადღის თვითავაჯი სტიქარონების კრიტიკული ტექსტის დადგენისას ასევე გავითვალისწინეთ ბერძნული პარაკლიტონის ბეჭდური გამოცემის მონაცემები (**ΠΑΡΑΚΛΗΤΙΚΗ 1885: 362-363, 450-451**). ამასთან, შემდეგი სტიქარონები შედარებულია ბერძნულ ტექსტთან: ***«ბეჭნი სულისა», «გიხარდენ, რომელმან ძე», «გიხარდენ, შუენიერებაო», «ჴელთა აღვიბყრობ», «ნიგთი ცოდვათაჲ», «არმური ცოდვათაჲ», «მთავრობანი და ძალნი», «სიკუდილისა დარღუევაჲ», «სულისა სიწმიდითა», «ფიცით, რომელ აღუთქუა», «უფალო, საჴსენებელსა», «დაცემული მწარედ»*** (**ΠΑΡΑΚΛΗΤΙΚΗ 1885: 361-362, 425-426, 449-450, 469, 477, 510**). ხსენებული სტიქარონების ბერძნულთან შედარებიდან ჩანს, რომ ქართული თარგმანები არ არის პწკარედული, არამედ აზრობრივი, რაც საგალობელთა მუსიკალური მხარის გათვალისწინებითაა განპირობებული.

აღვნიშნავთ, რომ „ჰიმნოგრაფიული კრებულის“ მეორე ტომში მითითებული გვაქვს სიტყვების ის ვარიანტული სხვაობები, რომლებსაც სქოლიოებში არ ავსახავთ (ჰიმნოგრაფიული კრებული 2023, II: 67). წინამდებარე ტომში ამ ჩამონათვალს კიდევ ორი შემთხვევა ემატება:

– სიტყვა ***«ანგელოზი»*** **T** ხელნაწერში **(Jer. 86)** გვხვდება ფორმით ***«ანგელოსი»***. ჩვენ ყველგან ვტოვებთ ფორმას ***«ანგელოზი»***.

– ხელნაწერ **Sin. 69**-თვის დამახასიათებელია „უ“-ს ნაცვლად „ჳ“-ს გამოყენება, რასაც აღარ მივუთითებთ.

სტიქარონთა ძლისპირების ტექსტების წყაროები

ჴმაჲ ა გუერდი - ბ გუერდი

ქვემოთ ვუთითებთ ყველა იმ ძლისპირსა და ღვთისმშობლის დასდებელს, რომლებიც წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციის პარაკლიტონის ნუსხებშია მითითებული. ხსენებული საგალობლების ტექსტები შემდეგი ხელნაწერებიდანაა დამოწმებული[2]:

ჴმაჲ ა გუერდი

«სუფევს ღმერთი» – **Ath. 45, 139r;**
«საღმრთოსა ტაძუკსა» – **Ath. 45, 154v;**
«რომელი ქებულ ხარ» – **Ath. 45, 163r;**

---

1 *«უფალო-ღაღადჟავსას» დასდებლების კვლევასთან დაკავშირებით დამატებით გამოყენებული ექვსი ხელნაწერისა და ორი ბეჭდური გამოცემის აღწერილობა იხ.: ჰიმნოგრაფიული კრებული **2023, II: 64-66.***

2 *სტიქარონთა ძლისპირების ტექსტების წყაროების მითითების შესახებ იხ.: ჰიმნოგრაფიული კრებული **2023, II: 68.***

«ევედრე ძესა შენსა» – Ath. 45, 163v;
«მოვედით, აღვიდეთ» – Sin. 1, 139r; Sin. 5, 342r;
«საშინელი და უფროჲსად დიდებული» – Ath. 45, 139v;
«გიხარიდენ, ღმრთისმშობელო» – Sin. 5, 4r;
«რაჟამს შევიდეს მეუფე» – Ath. 45, 163v;
«შენ, სიქადულო» – Sin. 3, 32r;
«მამისა თანა მჯდომარეman» – Ath. 45, 139v;
«გიხარიდენ შენ, უმეტეს» – Ath. 45, 154v;
«გიხარიდენნი» – Sin. 34, 83r[1].

ჴმაჲ ბ გუერდი

«რომელმან სიბრძნით მოდრიკნა» – Ath. 45, 166r;
«გიხარიდენ, ქალწულო უბიწო» – Ath. 45, 166r;
«შენ, რომელი გარდამოჰვედ» – Sin. 3, 36r;
«ღმრთისმშობელო, დედაო მჴსნელისაო» – Sin. 3, 36r;
«უფალო, საჴსენებელსა» – Ath. 45, 194r;
«უფალო, მთისაგან წმიდისა» – Sin. 3, 36r;
«მძლე-ექმენ შენ, ქრისტე» – Ath. 45, 166v;
«ანგელოზთა მჴედრობაჲ» – Ath. 45, 166v;
«ამაღლდა უზეშთაეს» – Ath. 45, 166v;
«უბიწო ღმრთისმშობელო» – Sin. 3, 36r;
«ყოველი სასოებაჲ» – Sin. 1, 249r;
«ყოველნი ნათესავნი» – Ath. 45, 184v;
«ნაცვალად ქებითა» – Sin. 1, 121v;
«სასოწარკუეთილმან ცხორებისათჳს» – Ath. 38, 298v.

---

1 აღვნიშნავთ, რომ ხელნაწერ Sin. 34-ში **«უფალო-ღაღადყავსას»** ძლისპირის – **«გიხარიდენ, სამკუდრებელო»** – განკვეთილობის ნიშნების გარჩევა ჭირს. აქედან გამომდინარე, ჩვენ ამ ნიშნებს სხვა დასდებლების შესაბამისად ვსვამთ.

*დასდებელნი აღდგომისანი. უფალო-ღაღადყავსა[1]. ჰმაჲ ა გუერდი.

Sუფევს ღმერთი წარმართთა[2] ზედა, • გიხაროდენ ყოველსა ერსა, • რომელიცა ქალწულისაგან • გამობრწყინდა ნებსით თჳსით და მოგუმადლა • ცხორებაჲ უხრწნელი • და საცთური იგი კერპთაჲ • ქუეყანისაგან განაქარვა[3].

Xუარითა შენითა წმიდითა, • ქრისტე, ეშმაკი[4] მოაკუდინე • და აღდგომითა შენითა • ძალი სიკუდილისაჲ დაჰჴსენ და მიჴსნენ ჩუენ ცოდვათაგან, • მორწმუნენი შენნი, • რომელნიცა გიღაღადებთ: • დიდებაჲ აღდგომასა შენსა[5].

***I**ხარებს ცაჲ და მხიარულ არს • ქუეყანაჲ და მკჳდრნი[6] მას შინა, • რაჟამს ღმერთი ყოველთაჲ • შთაჴდა ჯოჯოხეთად და განჰჴსნნა კრულნი მას შინა • და აღდგა საფლავით • ჴელმწიფებით, და სიკუდილი • მოაკუდინა და გუაცხოვნნა[7] ჩუენ.

Aნგელოზი მჯდომარე ლოდსა • ეტყოდა მენელსაცხებლეთა: • რაჲსა ეძიებთ ცხოველსა მას • მკუდართა თანა? აღდგომილ არს! აჰა, საფლავი • ცარიელი[8] და მცველნი • დაცემულნი[9], ზარგანჴდილნი! • წარვედით[10], ახარეთ მოციქულთა!

Aღდგომილ არს ქრისტე საფლავით, • მოვედით, ერნო, ვიხარებდეთ, • რომლისა მიერ მოვიღეთ • ნათელი და ვიშუებდეთ მისსა[11] მიმართ, • ვეჳედრნეთ ლმობიერად, • რაჲთა მოგუმადლოს შენდობაჲ • ბოროტთა მედგრობათა ჩუენთაჲ[12].

---

1 უფალო-ღაღადყავსა – **AD. 2** წარმარ... **P. 3** ღმერთი წარმართთა ზედა ... ქუეყანისაგან განაქარვა – **H,** ზედა, გიხაროდენ ... ქუეყანისაგან განაქარვა – **P,** წარმართთა ზედა ... ქუეყანისაგან განაქარვა – **SU. 4** ეშ... **P. 5** მოაკუდინე და აღდგომითა ... აღდგომასა შენსა – **P,** ჯუარითა შენითა ... აღდგომასა შენსა – **S. 6** მკჳდნი **D. 7** მაცხოვნნა **HQ,** მაცხონა **T. 8** ცალიერი **DHPQ,** ცალიერნი **T. 9** დაცემულნი + და **T. 10** წარვედით + და **T. 11** მისა **PST. 12** ჩუენთა **H,** აღდგომილ არს ქრისტე ... მედგრობათა ჩუენთაჲ – **Q.**

* ***«დასდებელნი აღდგომისანი»*** ხუთი წყვილი ***«უფალო-ღაღადყავსა» («სუფევს ღმერთი»; «რომელი ქებულ სარ»; «მოვედით, აღვიღეთ მთასა»; «რაჟამს შევიდეს»; «მამისა თანა მჯდომარემან»)*** წარმოადგენს **Ath. 45**-ის მასალას. ხუთივე წყვილი შემდეგ ხელნაწერებში მეორდება: **D (Ath. 24), H (Sin. 67), T (Jer. 86).**

P ხელნაწერს (სვან. 3) აკლია ორი წყვილი – ***«რაჟამს შევიდეს»*** და ***«მამისა თანა მჯდომარემან».***

Q ხელნაწერს **(Jer. 131)** აკლია ერთი წყვილი – ***«მამისა თანა მჯდომარემან».***

S ხელნაწერში **(Jer. 63)** მხოლოდ ერთი წყვილი გვხვდება – ***«სუფევს ღმერთი»*** და მას აქვს მითითება ***«აქებდითსა».***

U ხელნაწერში **(Jer. 41)** მხოლოდ ერთი დასდებელი გვხვდება წყვილიდან ***«სუფევს ღმერთი»*** – ***«იხარებს ცაჲ».***

D ხელნაწერი **(Ath. 24)** შემდეგი სიტყვებით იწყება: ***«უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, შეგვწყალენ ჩუენ და წარჰმართენ საქმენი ჴელთა ჩუენთანი სადიდებელად და საქებელად სახელისა შენისა, რაჲთა კურთხეულ სარ უკუნისამდე. ამენ».***

Q (Jer. 131) და **T (Jer. 86)** ხელნაწერში ფურცლები დაზიანებულია და ტექსტის გარკვეული ნაწილი არ იკითხება.

** დასდებელი ***«იხარებს ცაჲ»*** ავტოგრაფში **(Ath. 45)** განმეორებითაა მოცემული **264r**-ზე, სადაც განთავსებულია ***ნამეტნავ სტიქარონ-წარდგომათა*** მასალა. მას შემდეგი სათაური ახლავს: ***«სტიქარონნი. ჰმაჲ ა გუერდი. აღდგომისაჲ».***

საღმრთოსა ტაკუკ[1]...

[საღმრთოსა ტაკუკსა წმიდასა, • სულისა წმიდისა სადგურსა, • საყდარსა ღმრთისა მაღლისასა, • მტკრთველსა ანგელოზთა მეუფისასა, • ცხორებისა მიზეზსა, • სასოსა ჩუენსა, მარიამს, • ვიოხებთ მას ყოველსა ჟამსა].

სხუანი. *რომელი ქებულ ხარ[2]...*

[რომელი ქებულ ხარ ქერობინთა მიერ, • მეუფე ჩუენი ქრისტე, • ზეცით მამისა მიერ მოხუედ, • ქალწულისა წიაღთა, • ვითარცა ჩჩჳლი, იტკრთე • და ნისლი ცოდვისა ჩუენისაჲ • ღმრთეებით განაბნიე].

მანიპყრენ ჴელნი თჳსნი[3] გოლგოთას, ქრისტე, • ძელისა ჯუარსა ზედა • და ლახურითა მოიწყალ[4] გუერდით, • რაჲთა წყლულებითა • შენითა განვიკურნნეთ ჩუენ • წყლულებათა მათ ჩუენთაგან, • მტერისა მიერ მოწყლულთა[5].

რომელი შეხუედ საფლავად, ვითარცა მკუდარი, • ცხორებისმომცემელო, • და ძლიერებით შეჰმუსრენ • ჯოჯოხეთისა ბჭენი • და მკუდარნი აღადგინენ შენ, • რაჟამს აღდეგ საფლავით • ღმრთეებით, კაცთმოყუარე.

დედათა მათ ზრუნვაჲ აქუნდა შიშისათჳს • მცველთა მათგან მჴედართა, • მი-რაჲ-იწინეს[6] საფლავად, • იხილნეს დაცემულნი • მძჳნვარედ საფლავსა თანა • და აღდგომილი ეჩუენა • უფალი ძლიერებით.

არქუ, მაცხოვარ, დედათა მგლოვარეთა: • მიძლევიეს[7] სიკუდილსა, • „გიხაროდენ“ უთხართ[8] მოწაფეთა, • წარვიდენ გალილეას[9] • და მიხილონ აღდგომილი • ღმრთეებით[10] მესამესა დღესა, • ვითარცა ვთქუ პირველად.

ევედრე[11]...

[ევედრე ძესა შენსა დაუცხრომელად, • ღმრთისმშობელო ქალწულო, • რაჲთა განსაცდელთაგან მიჴსნნეს • ვედრებითა შენითა, • რომელნი გესავთ მარადის • და დაუცხრომელითა ჴმითა • გადიდებთ შენ ყოველნი].

სხუანი. *მოვედით, აღვიდეთ[12] მთასა[13]...*

[მოვედით, აღვიდეთ მთასა ღმრთისასა ზეთისხილთასა, • თავმოდრეკით ვისმინოთ • ჴმაჲ იგი საღმრთოჲ, • კურთხევაჲ მოწაფეთაჲ: • მამაო, რომელნი მომცენ, • შენვე დაიცვენი მშჯდობით • ქუეყანასა ზედა მორწმუნენი, • გამომთქუმელნი საჲდუმლოთა, • მაქებელნი სახელსა შენსა].

მოვედით და აღვიდეთ მთასა წმიდასა გოლგოთისასა, • ადგილსა თხემისასა, • ლმობიერებით • თუალითა სულისაჲთა, • რაჲთა ვიხილოთ მუნ ხილვაჲ შესაძრწუნებელი[14], • ღმერთი ჯორცითა ჯუარცუმული. • თანახატ ვექმნნეთ[15] ვნებათა მისთა, • რაჲთა ავაზაკისა თანა • ღირს-მყვნეს შესლვად სასუფეველსა[16].

მიიგუარე, ქრისტე, ვითარცა კრავი – დაკლვად კაცთათჳს • და ვითარცა ტარიგი – • ნებსით შეწირვად • თავი თჳსი მიეცი • ჯუარცუმად უღმრთოთა ჰურიათა, მჴსნელო. •

---

1 საღმრთოსა ტაკუკ... – **DQST. 2** ხარ + ქე... **AH,** ხარ + ქერ... **P. 3** თჳს **T. 4** მოაწყალ **Q. 5** მოწყლულთა] მოწევნულთა **HQ. 6** მი-რაი-იწინეს **H. 7** მიძევიეს **H. 8** უთხართ] არქუთ **HT. 9** გალილიას **T. 10** ღმრთეებრ **H. 11** ევედრე... – **DHPQ. 12** აღ... **T. 13** მთასა – **DT,** მოვედით, აღვიდეთ მთასა... – **HPQ. 14** შესაძრწუნვებელი **T. 15** ვექმნეთ **T. 16** მთასა წმიდასა ... შესლვად სასუფეველსა – **H**

მოვედით, წარმართთა კრებულნო, • და განიცადეთ ღმერთი ჯუარცუმული • ჯორცითა, რომელმან ცხორებაჲ • მოანიჭა ნათესავსა კაცთასა.

მოვედით, მორწმუნენო ერნო, და აღვიდეთ[1] გონებითა, • მივიწინეთ წმიდასა • ღმრთისა ქალაქსა • იჱრუსალემსა, რაჲთა • ვიხილოთ ცხორებისმომცემელი, • ვითარცა მკუდარი, სუდარითა • შეხუეული და საფლავსა დადებული, • ამბორს-უყოთ უხრწნელთა ჯორცთა • იოსების თანა სურვიელად.

ხილვით მოვედით, დედანო ნელსაცხებლის-მიმღებელნო, • და ახარეთ სიონსა • აღდგომაჲ ღმრთისაჲ, • და იჱრუსალემსა • უქადაგეთ განახლებაჲ, და არქუთ მას: • აჰა, მეუფე შენი ქრისტე • იხილე აღდგომილი[2] საფლავით, • განათლებული[3], ვითარცა სიძე, • გამომავალი ეზოჲთ თჳსით[4].

მოვედით, ერნო, საღმრთოჲთა სისხლითა სხურებულნო, • მორწმუნეთა კრებულნო, • ქრისტეს სამწყსონო, • ვიხილოთ დიდებული • სასწაული, საფლავი ცარიელი[5], • ჯუარცუმული ღმერთი აღდგომილ არს, • აჰა, ტილონი და სუდარი, • ანგელოზი მახარებელი • სიხარულსა აღდგომისასა.

რაჟამს აღდგა მეუფე ცათაჲ მკუდრეთით მესამესა დღესა, • განეცხადა დედათა • შეურვებულთა • და ჰრქუა მათ: გიხაროდენ, • რამეთუ მე[6] მიძლევიეს სიკუდილსა! • მივედით, უთხართ მოწაფეთა, • წარვიდენ გალილეას და მიხილონ • ჴელმწიფედ აღდგომილი მკუდრეთით, • უფალი და მოძღუარი თჳსი[7].

საშინელი და უფროჲსად დიდებული საიდუმლოჲ[8] – • შემოქმედი ყოველთაჲ, • დაუტევნელი • ცათაჲ და ქუეყანისაჲ, • დატევნულ იქმნა საშოსა შინა • ყოვლადწმიდისა ქალწულისასა • და იშვა მისგან უხილავი ძე ღმრთისაჲ, • რომელსა უღაღადებთ ყოველნი: • სახარულევანო, მეოხ-გუეყავ ჩუენ[9].

სხუანი. *რაჟამს შევიდეს*[10]...

[რაჟამს შევიდეს • მეუფე დიდებისაჲ • საქორწინესა • ბრძენთა მათ თანა ქალწულთა თქუენ თანა, • წმიდანო მოწამენო, ევედრენით, • რაჲთა განმიღოს ჩუენ • კარი მადლისაჲ • და ღირს-მყვნეს შესლვად • სასუფეველსა].

დამბადებელი • და მჴსნელი, ყოველთა[11] მეუფე, • ზეცით ქუეყანად • მოვიდა ცხორებისათჳს ჩუენისა • და იშვა წმიდისაგან ქალწულისა, • ჴელნი ჯუარსა ზედა • განიპყრნა ნებსით • და მაცხოვნნა ჩუენ, • ვითარცა ღმერთ არს[12].

მგლოვარენი იგი • დედანი მწუხარენი • საკუმეველითა • და სურნელითა[13] ნელსაცხებლითა მოვიდეს • განთიად ცისკარსა მას გულსმოდგინედ, • რომელნი შეუდგეს • პირველ ჯუარცუმისა, • რაჲთა იხილონ აღდგომაჲ მისი.

---

1 ავიდეთ **T**. **2** აღდგომილი] გამომავალი **HT**. **3** განათლებული] განახლებული **P**. **4** ხილვით მოვედით ... ეზოჲთ თჳსით – **Q**. **5** ცალიერი **HT**. **6** მე – **Q**. **7** რაჟამს აღდგა მეუფე ... მოძღუარი თჳსი – **H**. **8** საჲდუმლოაჲ **ADPQ**. **9** საშინელი და უფროჲსად ... მეოხ-გუეყავ ჩუენ – **H**. **10** რაჟამს შევიდეს... – **A**, შევიდეს + მეუფე **H**, შევი... **Q**, შევ... **T**. **11** ყოველთაჲ **T**. **12** დამბადებელი და მჴსნელი ... ვითარცა ღმერთ არს – **HQ**. **13** სულნელითა **H**.

ნელსაცხებლითა • მსთუად მოვიდეს საფლავად • მგლოვარენი იგი[1] • პატიოსანნი წმიდანი დედანი, • რამეთუ ეხილვა მათ ადგილი[2], • სადა-იგი დადვა • იოსებ გუამი • ქრისტეს მჴსნელისაჲ • წადიერებით.

ბლოვით მოსრულთა • მათ დედათა საფლავად • იხილნეს მცველნი • დაცემულნი მძჴვარედ[3] საფლავსა თანა • და ესმა ხარებაჲ ანგელოზისაჲ: • აღდგა ქრისტე მკუდრეთით. • აჰა, საფლავი • და აღდგომილი • წინაგიძღჳს თქუენ.

მგლოვარეთა მათ • დედათა ვითარ ესმა • სანატრელი ჴმაჲ • ანგელოზისაჲ[4] მის[5], განიხარეს მათ • სიხარულით და[6] წარვიდეს საფლავით • თხრობად მოციქულთა • აღდგომასა მას • მეუფისასა • საფლავისაგან.

შენ, სიქადულ[7]...

[შენ, სიქადულო • მართლმადიდებლობისაო, • ყოვლადწმიდაო • ღმრთისმშობელო ქალწულო, ნუ დასცხრები • ვედრებად შენგან შობილისა მიმართ, • რაჲთა განვერნეთ ჩუენ • განსაცდელთაგან • ეშმაკისათა, • მოსავნი შენნი].

სხუანი[8].

მამისა თანა მჴდომარემან • მოუკლებელმან ნათელმან, გამოუთქუმელმან • სიბრძნემან • და სიტყუამან ყოვლისა დამბადებელმან, • რაჟამს განიზრახა • წყალობაჲ ჩუენი, • სიბრძნით • მოდრიკნა • ცანი მაღალნი და გარდამოჴდა, • სათნო-იყო • შობაჲ საშოჲსაგან წმიდისა • და აღასრულნა • წინაჲსწარმეტყუელთა ჴმანი • და წინაჲსწარვე იტყოდა: • ჯერ-არს მიცემაჲ ჩემი • ჴელთა კაცთა ცოდვილთა, • რომელთა საჯონ ჯუარცუმაჲ ჩემი, • დაფლვაჲ, • ხოლო მესამესა • დღესა აღვდგე და მოვჰმადლო სოფელსა • დიდი წყალობაჲ.

რომელმან ისრაჱლნი იჴსნნა • მოსეს მიერ სასწაულითა ჯუარისაჲთა • ყოველთა • ჭირთა და შრომათაგან ეგჳპტისათა[9] • და მოსცა საშუებლად • ბანაკსა მათსა • ზეცით • მანანაჲ, • და უძღოდა მათ მარჯუენე[10] მისი, • ესე აქა • დაფარეს ჰურიათა დაფლვითა • საფლავსა შინა • სოფლისა დამბადებელი, • ღმერთი კეთილისმყოფელი, • ჩუენდა მჴსნელად მოსრული, • არამედ აღდგა მკუდრეთით • მესამესა დღესა, ვითარცა თქუა, • ხოლო • მოსცა ძალი, • რომელნი თაყუანის-სცემენ[11], • და დიდი წყალობაჲ[12].

რომლისაგან იქმნა სიმართლე, • კურთხეულ არს ძელი ცხორებისა ჩუენისაჲ, • რამეთუ • მას ზედა ივნო უვნებელმან ჴორცითა • და მოკლნა ვნებანი • სულთა ჩუენთანი, • რაჟამს[13] • მკუდრად უსულოდ შეირაცხა საფლავსა შინა • და გარემოჲს • უჴორცონი ჴმობდეს ძლიერად[14]: • აწ განიღჳძე, • რომელსა გძინავს ჴორცითა, • ანგელოზთა მეუფეო! • აღდეგ და განაბნიენ • ყოველნი მტერნი შენნი • და ადიდენ მადიდებელნი[15], • შენ ხარ • თჳთმნათობი • ნათელი დაუღამებელი • და სიტყუაჲ მამისაჲ.

---

1 იგინი **D**. **2** ადგილი + იგი **HT**. **3** მძჴვარედ] მჭმუნვარედ **Q**. **4** ანგელოზისა **Q**. **5** მის – **H**, მის] მისგან **Q**. **6** ~და სიხარულით **H**. **7** შენ, სიქადულ... – **DHQT**. **8** სხუანი – **D**, სხუანი + გიხაროდენნი **T**. **9** ეგჳბტისათა **T**. **10** მარჯუენაჲ **T**. **11** თაყუანის-ცემენ **H**. **12** წყ... **H**. **13** რაჲჟამს **D**. **14** ძრიელად **A**. **15** მადიდებელნი + შენნი **H**.

გიხაროდენ, შენ, უმეტესო, • რომელმან გკშე[1]...

[გიხაროდენ, შენ, უმეტესო, • რომელმან გკშევ ჯორციელად ღმერთი ყოველთაჲ • და სიტყუაჲ • დამბადებელი, განკაცებული • შენგან, უსძლოო, • გამოგკბრწყინდა • ქრისტე • და კაცებაჲ განღმრთობილი უქცეველად ჰშევ, • რომლისაგან • აღვემართენით დაცემულნი, • შენ მიერ, ღირსო, • დიდებულო ღმრთისმშობელო, • ქალწულო უბიწოო, • დედაო მჯსნელისაო, • რომელსაცა გახარა • გაბრიელ სიხარული მოუკლებელი • და აწ • ძესა შენსა • ევედრე, რაჲთა მოგუმადლოს ჩუენ • დიდი წყალობაჲ].

***დასდებელნი[2] აღდგომისანი[3]. უფალო-ღაღადყავსა[4]. ჰმაჲ ა გუერდი[5].**

***პატიოსნისა ჯუარისა შენისა მიერ, ქრისტე, • ეშმაკი სირცხჳლეულ-ჰყავ • და აღდგომისა შენისა მიერ • საწერტელი ცოდვისაჲ მოაუძლურე • და მიჯსნენ ჩუენ ბჭეთაგან სიკუდილისათა, • და გადიდებთ შენ, მხოლოდშობილო[6].*

****რომელმან აღდგომაჲ მოსცა კაცთა ნათესავსა, • ვითარცა ცხოვარი კლვად მიიგუარა, • შემრწუნდეს მისგან მთავარნი[7] ჯოჯოხეთისანი • და აღეხუნეს ბჭენი სალმობისანი, • რამეთუ შევიდა მეუფჱ[8] დიდებისაჲ ქრისტე • და ეტყოდა კრულთა: გამოვედით[9]! • და – ბნელსა შინა მყოფთა: გამოჩნდით[10]!*

დიდი საკჳრველი! • უხილავთა დამბადებელმან კაცთმოყუარებისათჳს • ჯორცითა ივნო და აღდგა უკუდავი. • მოვედით, ტომნო წარმართთანო, • ამას თაყუანის-ვსცემდეთ, რამეთუ მოწყალებითა მისითა საცთურისაგან ვიჯსნენით • და სამთა გუამთა შინა • ერთღმრთეებისა გალობაჲ ვისწავეთ[11].

---

1 გიხაროდენ, შენ, უმეტესო, რომელმან გკშე... – **D**, რომელმან გკშე... – **H**, უმეტესო, რომელმან გკშე... – **T**. **2** დასდებელნი] კჳრიაკესა დასდებელნი **U**. **3** დასდებელნი აღდგომისანი] სტიქარონნი **Q**. **4** უფალო-ღაღადყავსა – **DKQS**. **5** ჰმაჲ ა გუერდი – **Q**. **6** პატიოსანსა ჯუარისა ... შენ, მხოლოდშობილო – **SU**. **7** მთავარნი] მთავრობანი **M**. **8** მეუფჱ **M**. **9** გამოედით **M**. **10** გამოუჩნდით **KM**, რომელმან აღდგომაჲ ... მყოფთა: გამოჩნდით – **Q**. **11** დიდი საკჳრველი ... გალობაჲ ვისწავეთ – **Q**.

* ***«დასდებელნი აღდგომისანი»*** ორი წყვილი ***«უფალო-ღაღადყავსა»*** შემდეგ ხელნაწერებში გვხვდება: **D (Ath. 24), K (Sin. 69), M (Sin. 77), N (Ath. 26), Q (Jer. 131), S (Jer. 63), U (Jer. 41).**

** **D (Ath. 24)** და **Q (Jer. 131)** ხელნაწერში დასდებელი ***«პატიოსნისა ჯუარისა შენისა»*** მოცემულია ძლისპირზე ***«რაჟამს შევიდეს».***

*** დასდებლები ***«რომელმან აღდგომაჲ მოსცა»*** და ***«დიდი საკჳრველი»*** **D (Ath. 24), S (Jer. 63)** და **U (Jer. 41)** ხელნაწერში განსხვავებული რედაქციისაა და მოცემულია ძლისპირზე ***«მოვედით, აღვიდეთ».***

სხუანი[1]**.**

**სამწუხროსა თაყუანისცემასა • შევსწირავთ შენდა დაუღამებელისა ნათლისა, • რომელი*[2] *დასასრულსა საუკუნეთასა, • ვითარცა სარკესა შინა, ჯორცთა მიერ • გამოუბრწყინდი სოფელსა • და ვიდრე ჯოჯოხეთადმდე*[3] *შთაჰჴედ • და მუნი*[4] *იგი წყუდიადი დაჰჴსენ • და ნათელი აღდგომისაჲ • ნათესავთა*[5] *უჩუენე, • ნათლისამომცემელო უფალო, დიდებაჲ*[6] *შენდა*[7]*.*

წინამძღუარსა ცხორებისა ჩუენისასა, • ქრისტესა დიდებისმეტყუელებდეთ, • რამეთუ მკუდრეთით აღდგომითა მისითა • საცთურისაგან იჴსნა სოფელი, • იხარებს გუნდი ანგელოზთაჲ, • ივლტის ეშმაკთა საცთური, • ადამ დაცემული აღემართა • და ეშმაკი დაითრგუნა.

დასისაგანთა ეტყოდეს უშჯულონი: • მიიღეთ ვეცხლი და დაფარეთ ქრისტეს აღდგომაჲ • და თქუთ: ვიდრეღა გუეძინა • საფლავისაგან წარიპარა მკუდარი. • ვის ესმა ესე ანუ ვინ იხილა • მკუდარი წარპარვად ოდესმე, • უფროჲსღა შემთხუევილი და შიშუელი, • და[8] *დატეეებად საფლავსა შინა **დასაფლავნი*[9]*? • ნუ სცთებით, ჰ, ჰურიანო! • ისწავენით თქუმულნი წინაჲსწარმეტყუელთანი • და სცანთ*[10]*, ვითარმედ ესე არს ჭეშმარიტად • მჴსნელი სოფლისაჲ და*[11] *ყოვლადძლიერი*[12]*.*

უფალო, რომელმან ჯოჯოხეთი წარმოსტყუენე • და სიკუდილი დასთრგუნე, • მჴსნელო ჩუენო, რომელმან განანათლე სოფელი • პატიოსნითა ჯუარითა შენითა, შეგჳწყალენ ჩუენ[13]*.*

დიდებაჲ. აწ და[14]**. თჳთი**[15]**.**

ზღუასა მას[16] *ზედა მეწამულსა • უქორწინებელისა სძლისა სახე გამოისახა ოდესმე. • მუნ იყო*[17] *მოსე, განმპებელი წყალთაჲ, • ხოლო აქა გაბრიელ, მსახური საკჳრველებისაჲ. • მაშინ ისრაჱლი წიაღ-ჴდა უფსკრულსა დაულტოველად, • ხოლო აქა ქალწულმან გჳშა*[18] *ქრისტე*[19] *უთესლოდ. • ზღუაჲ შემდგომად წიაღსლვისა ისრაჱლთაჲსა ეგო*[20] *უვალად • და უბრალოჲ*[21] *შემდგომად შობისა*[22] *ემმანოელისა*[23] *• დაადგრა უხრწნელად*[24]*. • რომელი იყავ და პირველითგან იყავ*[25] *• და გამოშჩნდი, ვითარცა კაცი*[26]*, შეგჳწყალენ ჩუენ*[27]*.*

---

1 სხუანი – **DKM. 2** რომელი] რამეთუ **M. 3** ჯოჯოხეთამდე **N. 4** მუნ **KN. 5** ნათესავსა **K. 6** დიდებაჲ + აღდგომასა **N. 7** შენსა **N. 8** და – **N. 9** დასაფლავნი – **N. 10** სცნათ **K. 11** და – **N. 12** დასისაგანთა ეტყოდეს ... და ყოვლადძლიერი – **MS. 13** უფალო, რომელმან ... შეგჳწყალენ ჩუენ – **KN. 14** აწ და – **KMS,** დიდებაჲ. აწ და] უფალო-ღაღადყავსა. დიდებასა ზედა **U. 15** თჳთი – **KMNS. 16** მას – **KSU. 17** იყო – **SU. 18** შვა **M. 19** ქრისტე – **M. 20** ეგო] დაადგრა **KN. 21** უბრალოჲ] უბიწოჲ **S. 22** და უბრალოჲ შემდგომად შობისა] ხოლო ქალწული შემდგომად შობისა მის **M. 23** ევმანოელისა **N. 24** უხრწნელად] ყოვლადუხრწნელად **MS. 25** იყავ] ხარ **M. 26** კაცი – **K,** კაცი + და **N. 27** ზღუასა მას ზედა ... შეგჳწყალენ ჩუენ – **DQ.**

* დასდებლები ***«სამწუხროსა თაყუანისცემასა», «წინამძღუარსა ცხორებისა», «დასისაგანთა ეტყოდეს»*** არ გვხვდება **D (Ath. 24)** და **U (Jer. 41)** ხელნაწერში. დასდებელი ***«უფალო, რომელმან ჯოჯოხეთი»*** **D (Ath. 24)** და **U (Jer. 41)** ხელნაწერში განსხვავებული რედაქციისაა და მოცემულია ძლისპირზე ***«სუფევსნი».***

დასდებლები ***«სამწუხროსა თაყუანისცემასა», «წინამძღუარსა ცხორებისა», «უფალო, რომელმან ჯოჯოხეთი»*** **Q (Jer. 131)** და **S (Jer. 63)** ხელნაწერში სხვა რედაქციისაა. ***«სამწუხროსა თაყუანისცემასა»*** და ***«წინამძღუარსა ცხორებისა»*** მოცემულია ძლისპირზე ***«სასწაულითა»,*** ხოლო ***«უფალო, რომელმან ჯოჯოხეთი»*** – ძლისპირზე ***«სუფევსნი».*** დასდებელი ***«დასისაგანთა ეტყოდეს»*** **Q** ხელნაწერში **(Jer. 131)** განსხვავებული რედაქციისაა და მოცემულია ძლისპირზე ***«სიბრძნე ღმრთისაჲ მოი...».*** დასდებელი ***«წინამძღუარსა ცხორებისა»*** ამგვარად იწყება: ***«ცხორებისა ჩუენისა წინამძღუარსა».***

** დასაფლავნი (ბერძ. τὰ ἐντάφια; სლავ. **погребальная**) - მიცვალებულის სამოსი.

დღე ორშაბათი. წმიდათა მთავარანგელოზთაჲ და სინანულისაჲ[1]. უფალო-ღაღადყავსა[2]. ჰმაჲ ა გუერდი[3]. *გიხაროდენნი[4].

[გიხაროდენ, სამკუდრებელო • შუენიერო ჭეშმარიტისა ღუაწლისაო, • აიღე • ჯუარი შენი მჯართა შენთა ზედა სიმჯნით • და შეუდეგ ქრისტესა, • ყოვლადქებულო, • ღირსად, • და ჯორციელი განზრახვაჲ დაიმორჩილე, • და განაბრწყინვე • სული შენი სათნოებითა • და მოსურნე ჰყავ • ღმრთეებისა დიდებასა. • ამისთჳს ჩუენ, მგალობელნი, • გარემოვადგთ დიდებულსა • საფლავსა შენსა, • საბა ღმერთშემოსილო, • ევედრე • ჩუენთჳს ღმერთსა, • რაჲთა მოსცეს სოფელსა შენ მიერ, ღირსო, • დღეს დიდი წყალობაჲ].

გიხაროდენ, რომელნი ჰმსთავრობთ[5] • ბევრის ბევრეულთა ზეცისა უჯორცოთა, • მიქაელ • და გაბრიელ, უფლისა[6] ერისმთავარნო, • რომელნი ნათელსა • უსხეულოსა • მკჳდრ ხართ • და ბრძანებასა ღმრთისასა წამისყოფითა • აღასრულებთ • ყოველთა შემოქმედისასა • და ყოველთავე • განუყოფთ ნიჭთა საღმრთოთა, • რომელთა ჰსურის[7] მიღებად[8], • რამეთუ უხრწნელებაჲ • განგამდიდრებს[9] ყოვლადვე, • რომელი ჰგიეს სამარადისოდ • და აწ • ევედრენით • ქრისტესა მონიჭებად ჩუენდა • დიდი[10] წყალობაჲ[11].

****გ**იხაროდენ, დიდო მნათობო, • შუენიერო ანგელოზთა ზედა[12] მთავარო, • რომელი • საყდართა სამეუფოთა წინაშე სდგა • დიდებით, მიქაელ, • სიხარულითა • სავსე • და შუენიერად აჩუენებ ბრწყინვალებასა • და რომელთა • უჴმს, მისცემ მათ წადიერებით, • ხოლო წარმართთა, • რომელთა არა უწყიან • ღმერთი, ყოველთა შემოქმედი, • გარეუკუნაქცევ მათ • და რომელთა ჰრწამს იგი, • შეუორგულებელად ადიდებ • და აწ • მას ევედრე • მონიჭებად სულთა ჩუენთა • დიდი წყალობაჲ[13].

„**გ**იხაროდენ“, უღაღადე შენ • უბიწოსა, გაბრიელ მთავარანგელოზო, • რამეთუ • საიდუმლოჲ[14] დაფარული გერწმუნა შენ • ყოველთა მჴსნელისაჲ – • ჩუენ კაცთა მომართ[15] • მოსლვაჲ, • და ესე მოართუ ქალწულსა განცხადებულად • და ეტყოდე: • „გიხაროდენ, უფალი შენ თანა, • შენ მუცლად-იღო • სულისა მიერ წმიდისა • და შვე[16] ძე დაუსაბამოჲ, • მჴსნელი დაბადებულთაჲ“, • რომლისა თანა შენცა • შემწე გიყოფთ ჩუენ წინაშე ღმრთისა • და აწ • მას ევედრე • მონიჭებად[17] სულთა[18] ჩუენთა • დიდი წყალობაჲ[19].

---

1 და სინანულისაჲ – **P**, ~სინანულისაჲ და წმიდათა მთავარანგელოზთაჲ **U**. **2** უფალო-ღაღადყავსა – **ADST**, უფალო-ღაღადყავსა] სტიქარონნი **Q**. **3** ჰმაჲ ა გუერდი – **QU**. **4** გიხაროდენნი] უფალო. გიხაროდენთაჲ ჰპოო **Q**, გიხაროდენთა ზედა **P**. **5** ჰმთავრობთ **S**. **6** უფლისა] ზეცისა **HT**. **7** სურის **S**. **8** მიღებაჲ **H**, მოღებად **T**. **9** განამდიდრებს **HT**. **10** დი... **D**. **11** წყალობაჲ – **D**. **12** ზედა – **T**. **13** წყალობაჲ – **D**, წ... **P**. **14** საიდუმლოჲ **AD**. **15** მომართა **Q**. **16** ჰშევე **Q**. **17** მო... **Q**. **18** სუ... **P**. **19** მონიჭებად სულთა ჩუენთა დიდი წყალობაჲ – **H**, სულთა ჩუენთა დიდი წყალობაჲ – **Q**, ჩუენთა დიდი წყალობაჲ – **P**.

* ***«დღე ორშაბათი. წმიდათა მთავარანგელოზთაჲ და სინანულისაჲ»*** სამი **წყვილი *«უფალო-ღაღადყავსა» («გიხაროდენნი»; «სუფევს ღმერთი»)*** წარმოადგენს **Ath. 45**-ის მასალას. ორივე **წყვილი** შემდეგ ხელნაწერებში მეორდება: **D (Ath. 24), H (Sin. 67), P** (სვან. 3), **Q (Jer. 131), S (Jer. 63), T (Jer. 86)**. ანდერძის თანახმად, ორშაბათის დასდებლები სამ წყვილად იყოფა: **„დღე ორშაბათი: სამი წყვილი უფალო-ღაღატყავსა“** (ჰიმნოგრაფიული კრებული 2020, I: 27). საერთო ძლისპირის გამო, პირველი და მეორე წყვილი ყველა ნუსხაში გაერთიანებულია.

U ხელნაწერში **(Jer. 41)** ერთი წყვილია მოცემული – ***«გიხაროდენნი».*** ამ წყვილის პირველი სამი დასდებელი **U** ხელნაწერს **(Jer. 41)** აკლია.

Q ხელნაწერში **(Jer. 131)** წყვილს ***«გიხაროდენნი»*** უძღვის შემდეგი სათაური: ***«მეცისა პალთაჲ».***

** **S** ხელნაწერს **(Jer. 63)** აკლია სამი დასდებელი: ***«გიხაროდენ, დიდო მნათობო», «გიხაროდენ, უღაღადე შენ», «ბრწყინვალებითა და ნათლითა».***

*ბრწყინვალებითა და ნათლითა • მიუწდომელითა განბრწყინვებულნი დასნი • და წესნი • უჯორცოთანი დიდებისგმეტყუელებენ[1] • ყოველთა მჭსნელსა • და მეუფესა • ღმერთსა • ყოვლადძლიერსა და ყოველთა განმგებელსა, • მოწყალესა, • რომელმან არარაჲსაგან[2] არსად • სიბრძნით დაჰბადენ • ყოველნი დაბადებულნი • სახიერებითა შენითა. • მათითა ვედრებითა • მოანიჭე ერთობაჲ • ერსა და ეკლესიასა შენსა, • ქრისტე, • და სულთა ჩუენთა • ზეცით გარდამოუვლინე მშჯდობაჲ • და დიდი წყალობაჲ[3].

ბიხაროდენ, ძალნო ცათანო, • რომელნი სიწმიდითა[4] ბუნებისაჲთა • მარადის • განიცდით პირსა დამბადებელისასა • და[5] საიდუმლოთა[6] • გამოცხადებაჲ • მიერ • უხუებით მოგეცემის[7], ყოვლადქებულნო, • მორწმუნეთა • ერი და ეკლესიაჲ შეზღუდეთ, • ვითარცა გაქუს თქუენ[8] • მაღალი კადნიერებაჲ, • უჯორცონო ანგელოზნო, • კაცთმოყუარისა მიმართ • ღმრთისა და მეუფისა • და იშუებთ ხილვითა მით[9] მისითა, • და აწ • ითხოვეთ, ღირსნო, • სულთა ჩუენთათჳს დიდი წყალობაჲ • და ჴსნაჲ ბოროტთაგან.

ერთი უფლებაჲ საწადელი, • ერთი მეუფებაჲ და ერთი ღმრთეებაჲ • მარადის • დიდებულისა და წმიდისა სამებისაჲ[10] • სერაბინთაგან • და ქერობინთა, • ძალთა, • ანგელოზთა, მთავარანგელოზთა[11] და საყდართა, • უფლებათა, • მთავრობათა და ჯელმწიფებათა • დაუცხრომელად • უნივთოჲთა[12] პირებითა • იქების და იდიდების, • რამეთუ მისმიერი • მადლი აღსძრავს მარადის • და ფრთოვან-ჰყოფს[13] გონებასა მათსა • და აწ • ევედრებიან, • რაჲთა მოსცეს სოფელსა მშჯდობაჲ • და[14] დიდი წყალობაჲ.

**ბეჭნი სულისა ჩემისანი • დამძიმებულ[15] არიან[16] ტჳრთითა ცოდვათაჲთა, • ქალწულო, • და ჭირთა და განსაცდელთა მიერ დადრეკილ • და ვერ შემძლებელ[17] ვარ • ახილვად ზეცად • თუალთა. • ამისთჳს ქუეყანად[18] დადრეკილი გიღაღადებ, • დედოფალო: • შემიწყალე მე[19], რომელმან ღმერთი • მრავალმოწყალე • ჰშევ უხრწნელით საშოჲთ შენით; • აჩუენე საკჳრველებაჲ • შენი ყოვლადძლიერი • და აღიპყრენ უხრწნელნი • ნებნი ძისა შენისა მიმართ, • რაჲთა • მომცეს[20] ცხორებაჲ • და მომმადლოს შენდობაჲ ცოდვათაჲ • და დიდი წყალობაჲ[21].

---

1 დიდებისმეტყუელებენ **H.** **2** არარაჲსაგან] არაჲ რაჲსაგან **Q.** **3** წყ... **H.** **4** სიწმიდით **D.** **5** და – **T.** **6** საჲდუმლოთა **ADQ.** **7** მოგეცემის + ჰ **DHSTU.** **8** თქუენ – **U.** **9** მით – **U.** **10** სამებისა **Q.** **11** მთავარანგელოზთა + ძალთა **T,** მთავარანგელოზთა] მთავრობათა **U.** **12** უნივთოეთა **H.** **13** ფრთოვან-ყოფს **U.** **14** და + სულთა ჩუენთა **U.** **15** დამძიმებულნი **T.** **16** არიან – **T.** **17** შემძლე **T.** **18** ქუეყანად + და **Q.** **19** მე – **HT.** **20** მოსცეს **H.** **21** ბეჭნი სულისა ... დიდი წყალობაჲ – **SU.**

* **P** ხელნაწერს (სვან. 3) ბოლო ოთხი დასდებელი აკლია. **U** ხელნაწერში **(Jer. 41)** აშიაზე მინაწერია: ***«მთავარანგელოჲ...».***

** **D** ხელნაწერში **(Ath. 24)** წინამდებარე დასდებლის შემდეგ მოცემულია ერთი დასდებელი, რომელიც არცერთ სხვა ხელნაწერში არ გვხვდება: ***«სული ჩემი განკურნე, უფალო, • ცოდვათა მიერ მრავალთა ბოროტად სნეული • და კუალად • წყლულებაჲ გულისა ჩემისაჲ განწმიდე • მდინარითა მით • მადლთა შენთაჲთა, • ღმერთო, • რამეთუ არაჲ მაქუს სულთქუმაჲ მსგავსად მეშუერისა, • არცა ცრემლნი • მსგავსად მეძვისა, არცა სინანული • უძღებისა მის • მიმსგავსებული, არამედ • შენ, ჲ, ყოვლისამხურობელო, • სინანული მომმადლე • პირველ აღსასრულისა, • რომლითა-იგი ვჰხოო ლხინებაჲ • ჟამსა • განკითხვისასა • ურიცხუთა ბრალთა ჩემთაჲ და მომეცეს • დიდი წყალობაჲ».***

სხუანი. *სუფევს ღმერთი*[1]*...*

სერაბინნი და ქერობინნი[2], • უფლებანი, ზეცისა წესნი, • საყდარნი და სიწმიდენი, • მთავრობანი[3], ჯელმწიფებანი და ძალნი, • გალობით ადიდებენ • სამებასა წმიდასა[4], • ერთარსებით განუყოფელსა.

8ეცისა განწყობილთა შორის • ერისმთავრად განწესებულთა, • მიქაელს და გაბრიელს, • აღმასრულებელთა წამისყოფითა • ბრძანებათა ღმრთისათა, • საცნაურად ბრწყინვალეთა, • პატივ-ვსცემდეთ[5] ძენი კაცთანი.

შღირსთა გალობაჲ უმსგავსი • მიიღეთ, მთავარანგელოზნო • დიდნო მიქაელ და გაბრიელ, • ერისმთავარნო გუნდთა მათ უჯორცოთანო, • და[6] გჯთხოვეთ შენდობაჲ • ცოდვათაჲ მაცხოვრისაგან • მგალობელთა სამებისათა.

ბუნებასა ღმრთეებისასა, • უხილავსა და[7] გამოუთქუმელსა, • განწყობანი[8] ანგელოზთანი • სამწიდაარსობით[9] გალობით ადიდებენ[10], • მამასა და ძესა • და სულსა ყოვლადწმიდასა, • სამებასა ერთარსებასა[11].

8ეცისა ძალნო უჯორცონო, • წინაშე მდგომელნო ღმრთისანო, • რომელნიცა ჯმითა ტკბილითა • გალობასა შესწირავთ მიქაელის თანა, • ვითარცა მსახურნი • საღმრთონი, მეოხ-გუეყვენით • ქებით მადიდებელთა თქუენთა[12].

თეოფანე.* *სტიქარონნი[13] ღმრთისმშობლისანი[14]. *გიხაროდენნი[15].

*ჴელთა აღვიპყრობ შენდა მიმართ[16] • და მწირკულევანთა[17] ბაგეთა აღვახუამ ვედრებად[18], • და მუჴლთა • გულისა ჩემისათა[19] მოვიდრეკ და ფერჴთა • შენთა გონიერად[20] • შეუვრდები[21] მე[22], • ღირსო, • და ტირილით[23] სალმობათა ჩემთა მიგითხრობ: • განკურნენი[24] • უკურნებელნი წყლულებანი ჩემნი[25] • და განმარინე • უხილავთა და ხილულთა • მტერთაგან და აღასუბუქე[26] • სიმძიმე მედგრობისა[27] • ჩემისაჲ, **დედოფალო, • რაჲთა გიგალობდე და გმადლობდე, • სძალო • ყოვლადდიდებულო, • რამეთუ შენ მიერ ჰოვა[28] სოფელმან[29] დიდი წყალობაჲ.*

---

1 სუფევს ღმერთი] სუფევსნი **DHPST**. **2** ქერაბინნი **P**, ~ქერობინნი და სერაბინნი **T**. **3** მთავრობანი + და **H**. **4** წმიდასა + და **Q**. **5** პატივ-სცემდეთ **PQS**. **6** და – **S**. **7** და – **HT**. **8** განწყობანი] განწყობილნი **HPQT**. **9** სამწმიდაარსობით] წმიდაარსობით **HT**. **10** გალობით ადიდებენ] გალობასა შესწირვენ **HT**. **11** მამასა და ძესა და სულსა ყოვლადწმიდასა, სამებასა ერთარსებასა] მამისა და ძისა, სულისა ყოვლადწმიდისა, სამებისა ერთარსებისა **H**, მამისა, ძისა და სულისა ყოვლადწმიდისა, სამებისა ერთარსებისა **T**, ბუნებასა ღმრთეებისასა ... სამებასა ერთარსებასა – **S**. **12** ზეცისა ძალნო ... მადიდებელთა თქუენთა – **HS**. **13** სტიქარონნი] დასდებელნი წმიდისა **B**, აღვივსენითი **M**, სტიქარონნი + წმიდისა **FI**, სტიქარონნი + ყოვლადწმიდისა **H**, სტიქარონნი – **Q**. **14** ღმრთისმშობლისანი + ჴმაჲ ა გუერდი. კვრიაკესა მწუხრი **B**, ღმრთისმშობლისანი + კვრიაკესა მწუხრი. ჴმაჲ ა გუერდი **F**, ღმრთისმშობლისანი + ჴმაჲ ა გუერდი **H**, ღმრთისმშობლისანი – **M**, სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი – **N**. **15** გიხაროდენნი] გიხაროდენთა ზედა **BQ**, გიხაროდენთაჲ **H**. **16** მომართ **IN**. **17** მწიკულევანთა **BHIMNU**. **18** ვედრებად] მვედრებელად **U**. **19** ჩემისაჲთა **H**. **20** გონიერად] საცნაურად **B**. **21** შეურდები **HIN**. **22** მე – **N**. **23** ტირილითა **N**. **24** განკურნენ **I**. **25** ჩემნი] ჩუენნი **M**. **26** აღმისუბუქე **F**. **27** მედგრობისაჲ **IMNQ**. **28** ჰოა **I**. **29** სოფელმან + დღეს **N**.

* პირველი გვერდითი ხმის ორშაბათის ***«სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი»*** შემდეგ ხელნაწერებში გვხვდება: **B (A 93), F (Jer. 123), H (Sin. 67), I (Ath. 44), M (Sin. 77), N (Ath. 26), Q (Jer. 131), U (Jer. 41).**

** **H** ხელნაწერში **(Sin. 67)** აშიაზე მინაწერია: **„დიდებულო“**.

გიხარიდენ, რომელმან ძე ღმრთისაჲ • გამოუთქუმელად[1] მუცლად-იღე, უბიწოო, • და ესე • ყოველადწმიდათა მათ სისხლთა შენთაგან • ჴორციელქმნული • ჰშევ, უბიწოო • სძალო, • სულითა სანატრელითა და თუთმფლობელითა, • რომელმანცა • ყოველითურთ ადამი შეიმოსა • და მოწყალებით • განაახლა სახიერმან[2]. • ამისთჳსცა ვქადაგებთ მას • ორითა ბუნებითა, • რომლითა[3] ორკერძოვე • იქმოდა ძალთა და სასწაულთა • ქრისტე, • რომელსა ევედრე • მადიდებელთა შენთათჳს, ქალწულო, პოვნად დიდი წყალობაჲ.

გიხარიდენ, შუენიერებაო • იაკობისო, რომელი შეგიყუარა ღმერთმან, • და ბჭეო • ცხოვნებულთაო და დამჭსნელო წყევისაო, • ყოველადკურთხეულო • ღმრთისა დედაო, • ერთა • და ნათესავთა დაცემულთა აღმმართებელო, • უწმიდესო • ქერობინთა და სერაბინთაო[4], • დაბადებულთა • ყოველთა[5] აღმატებულო, • განუცდელო ჩუენებაო, • ახალო სასმენელო[6], • სიტყუაო უთარგმნელო, • ეტლო და ღრუბელო სულმცირეო[7], • ვინაჲ • გამობრწყინდა ქრისტე, • მზე სიმართლისაჲ, და განანათლნა ბნელისა მყოფნი.

***დღე სამშაბათი[8]. წმიდისა[9] წინამორბედისაჲ[10]. უფალო-ღაღადყავსა[11]. ჰმაჲ[12] ა გუერდი[13]. **გიხაროდენნი[14].**

***ბერწისაგან საშოჲსა უქმისა • აღმოსცენდი ნერგი ყოვლადშუენიერი • და უქმსა • უდაბნოსა შინა დანერგულ იქმენ • ღმრთისა მადლითა • და გამოიხუენ, • ღირსო, • ნაყოფნი ღმრთისა სათნონი და მოუწოდე • ყოველთავე • დამაშურალთა და ტკრთმძიმეთა • სინანულითა • მეგობარყოფად ქრისტესა • და[15] აწ გევედრებით[16], წმიდაო • ქადაგო უფლისაო, • გჳთხოვე[17] ჩუენ შენ მიერ • ნათელღებულისაგან შენდობაჲ • ბრალთაჲ, • რაჲთა ვიჴსნნეთ[18] • სატანჯველთაგან მერმეთა და ვპოოთ[19] • დიდი წყალობაჲ.

---

1 გამოუთქმელად **F**. **2** სახიერმან + მან **U**. **3** რომლითავე **N**. **4** სერაბინთაო + და **IN**, ~სერაბინთა და ქერობინთაო **M**, სერაბინთა **N**. **5** ყოველთა] უაღრეს **B**. **6** ~სასმენელო ახალო **B**. **7** სულმცირეო] სიტყჳსაო **B**. **8** სამშაბათი + სინანულისაჲ და **U**. **9** წმიდისა + იოვანე **P**, წმიდისა – **Q**. **10** წინამორბედისაჲ] წინამორბედისა იოვანესი **H**, ნათლისმცემელისაჲ **IPT**, ნათლისმცემლისაჲ **N**, სინანულისა და ნათლისმცემელისაჲ **Q**, ნათლისმცემელისა იოვანესი **S**, იოვანე ნათლისმცემელისაჲ **U**, წინამორბედისაჲ + და სინა... **IN**. **11** უფალო-ღაღადყავსა – **ADHINST**, უფალო-ღაღადყავსა] სტიქარონნი **Q**. **12** ჰმაჲ – **NP**. **13** ჰმაჲ ა გუერდი – **IQ**. **14** გიხაროდენნი] გიხაროდენთა ზედა **P**, გიხაროდენთა **Q**. **15** და – **H**. **16** გევედრებით] შეგივრდებით **S**. **17** მითხოვე **H**. **18** ვიჴსნნეთ + ჩუენ **H**, ვიჴსნეთ **INT**. **19** ვპოოთ **P**.

* ***«დღე სამშაბათი. წმიდისა წინამორბედისაჲ»*** სამი წყვილი ***«უფალო-ღაღადყავსა» («გიხარიდენნი»; «რაჟამს შევიდეს მეუფე»)*** წარმოადგენს **Ath. 45**-ის მასალას. ორივე წყვილი შემდეგ ხელნაწერებში მეორდება: **D (Ath. 24), H (Sin. 67), I (Ath. 44), N (Ath. 26), Q (Jer. 131), S (Jer. 63), T (Jer. 86)**. ანდერძის თანახმად, სამშაბათის დასდებლები სამ წყვილად იყოფა: **„დღე სამშაბათი: სამი წყვილი უფალო-ღაღატყავსა“** (ჰიმნოგრაფიული კრებული 2020, I: 27). საერთო ძლისპირის გამო, პირველი და მეორე წყვილი ყველა ნუსხაში გაერთიანებულია.

P (სვან. 3) და **U (Jer. 41)** ხელნაწერს აკლია ერთი წყვილი – ***«რაჟამს შევიდეს მეუფე»***.

** წყვილს ***«გიხარიდენნი»*** **Q** ხელნაწერში **(Jer. 131)** უძღვის შემდეგი სათაური: ***«ნათლისმცემელისაჲ»***.

*** **U** ხელნაწერში **(Jer. 41)** აშიაზე მინაწერია: ***«ნათლისმცემელისაჲ»***.

8ამთარი იგი უღმრთოებისაჲ • წარჯდა და[1] არე ცხორებისაჲ მოგუეახლა, • ვინაჲთგან • იქუხნა ჴმამან სიტყჳსა ღმრთისამან • უდაბნოს შინა • და შემოკრიბნა • ერნი • საბანელსა მას წმიდასა ნათლისღებითა • და გჳჩუენა • გზაჲ აღმყვანებელი სიმაღლედ • სინანულითა, • ცრემლითა და ვედრებითა, • ხოლო ჩუენ უდებებით • წარვლენით[2] დღენი ჩუენნი. • აწ მოვედით, შეუვრდეთ[3] • ნათლისმცემელსა მეუფისასა, • რაჲთა • გჳთხოოს[4] ჩუენ • მოტევებაჲ ცოდვათაჲ და მოგუცეს • დიდი წყალობაჲ[5].

*ჴმამან ტკბილმან სიტყუათა შენთამან, • ნათლისმცემელო და ქრისტეს მქადაგებელო, • ვითარცა • ოხრამან ნესტჳსამან, განაღჳძნა • ძილისა მისგან • მცონარებისა • გულნი • კაცთანი[6] დამძიმებულნი და მოიყვანნა • ბაძვად შენსა • სიწმიდისა მოყუარებასა[7]. • აწ გევედრებით, • მთიებო ყოვლადმნათობო • მზისა მის სიმართლისაო, • მომფინე[8] მადლი შენი • ჩუენ ზედა, რომელნიცა • დანთქმულ ვართ ბნელსა შინა ცოდვისასა, • რაჲთა • ვიხილოთ ჩუენ • ნათელი ქრისტესი და ვპოოთ[9] • დიდი წყალობაჲ[10].

ქადაგო და წინამორბედო • და მეგობარო სიძისა უკუდავისაო, • და ღმრთისა, • ყოველთა მეუფისა მაუწყებელო, • ყოვლადდიდებულო • და სანატრელო, • ჩუენცა • საკუთარ-გუყვენ[11] მისსა[12] მეოხებითა შენითა, • ვითარცა გაქუს • კადნიერებაჲ დიდებული[13] • უფროჲს ყოველთა • წინაჲსწარმეტყუელთა, ღირსო, • მოწყალებათაგან მისთა • და სახიერებათა • გჳთხოვე ჩუენ წყალობაჲ • და სოფელსა მშჳდობაჲ მოჰმადლე, • ღირსო, • და სულთა ჩუენთა • ჴსნაჲ სატანჯველთაგან[14] მერმეთა[15], • რაჲთა გადიდებდეთ[16].

მწუხარეთა ღოცვაჲ ყურად-იღე • და სნეულთა ვედრებასა მოხედენ[17], ბრძენო, • და სულთქუმაჲ ჭირვეულთაჲ ისმინე, წინამორბედო, • და ძლიერითა მით • მეოხებითა • იჴსნენ • მოსავნი შენნი ყოველთა განსაცდელთაგან[18] • და ყოველთა • შემწე-ექმენ და განარინენ, • რამეთუ გაქუს შენ • კადნიერებაჲ წინაშე • მრავალმოწყალისა ღმრთისა, • იოვანე ნეტარო, • სოფლისათჳს მშჳდობაჲ • ითხოვე ქრისტეს მჴსნელისაგან, • რაჲთა • სარწმუნოებით • მგალობელთა შენთა მოვიღოთ • დიდი წყალობაჲ[19].

სხუანი. *რაჟამს შევიდეს[20] მეუფე[21]...*

რაჟამს დასდგე[22] შენ • წინაშე საყდართა მათ • მეუფისათა, • ნათელღებულისა შენ მიერ, • მაშინ[23] მოწყალე-ყავ იგი ჩუენ ზედა, • შეცოდებულთა ამათ, • ნათლისმცემელო, • და მეოხ-გუეყავ • მოსავთა შენთა.

ყოველთა თანა • წინაჲსწარმეტყუელთა წმიდათა • და მოციქულთა, • მღდელთმოძღუართა და მოწამეთა • ევედრე ჩუენთჳს მაცხოვარსა ქრისტესა, • ნათლისმცემელო, და • ბრალთა შენდობაჲ • გჳთხოვე მისგან, • მოსავთა შენთა.

---

1 და – **T. 2** წარვვლენით **IN. 3** შეურდეთ **INP. 4** გჳთხოოს **HPT. 5** ზამთარი იგი უღმრთოებისაჲ ... დიდი წყალობაჲ – **U. 6** კაცთა **DS. 7** სიწმიდისა მოყუარებასა] სიწმიდისმოყუარებასა **Q. 8** მოგუფინე **HT. 9** ვპოოთ **H. 10** ჴმამან ტკბილმან ... დიდი წყალობაჲ – **U. 11** საკუთარ-გუყუვენ **H. 12** მისა **T. 13** დიდებულო **Q. 14** სატანჯველთაგან] ტანჯვათაგან **H. 15** მერმეთა] მწარეთა **Q. 16** რაჲთა გადიდებდეთ] და დიდი წყალობაჲ **H**, ქადაგო და წინამორბედო ... რაჲთა გადიდებდეთ – **INS. 17** მიხედენ **H. 18** ~ყოველთაგან განსაცდელთა **QU. 19** მწუხარეთა ღოცვაჲ ... დიდი წყალობაჲ – **NS. 20** შევი... **H. 21** მეუფე – **HINQT. 22** დასდეგ **ST. 23** მაშინ] და შენ **IN.**

* **I** ხელნაწერში **(Ath. 44)** აშიაზე მინაწერია: ***„სინანულისაჲ ყოველი ორშაბათსა ჰჳთო“***.

ასხურე გულსა • ჩემსა, გუალულსა ცოდვითა, • წყაროჲსა მისგან • მადლთა შენთაჲსა, წინამორბედო, • და ცუარითა სიწმიდისაჲთა აღმაორძინე, • რაჲთა მოვიხუნე მე • ნაყოფნი იგი • ღმრთისა სათნონი სინანულითა[1].

ჰელნი, რომელნი • განჰმარტენ თავსა ზედა • მეუფისასა, • აწ აღიპყრენ მისსა[2] მიმართ ვედრებად, • წინამორბედო, და გჳთხოვე შენდობაჲ • მოსავთა შენთათჳს • და მოტევებაჲ • ცოდვათა ჩუენთა • აურაცხელთაჲ[3].

აჰა-ესერა, • ჟამი არს სინანულისაჲ. • რაჲსა უდებ ხარ, • უბადრუკო სულო ჩემო? • რაჲსა შეპყრობილ ხარ მცონარებითა? • არამედ განიფრთხვე • სინანულითა, • რაჲთა განერე • სატანჯველთაგან[4].

შენ, სიქადულ[5]...

[შენ, სიქადულო • მართლმადიდებლობისაო, • ყოვლადწმიდაო • ღმრთისმშობელო ქალწულო, ნუ დასცხრები • ვედრებად შენგან შობილისა მიმართ, • რაჲთა განვერნეთ ჩუენ • განსაცდელთაგან • ეშმაკისათა, • მოსავნი შენნი].

თეოფანე. *სტიქარონნი[6] ღმრთისმშობლისანი[7]. გიხაროდენნი[8].

გიხაროდენ, ურნატო პოხილო[9], • რომლისაგან ნაყოფი[10] წყალობისაჲ აღმოჴდა[11] • და პური • ცხორებისაჲ, მშრდელი დაბადებულთაჲ, • ქალწულო წმიდაო • და მომფენელო • წყლისა[12] • საღმრთოჲსა ცხოველისა უშურველისაო • და ვენაჴო, • გამომღებელო ტევანსა ტკბილსა, • შენ გეეედრები[13], • შეჰრისხენ სულთა ბოროტთა • და დაჰჴსნენ ზაკუანი[14] მათნი • და დააცხრვე სიცბილი • და მიჴსენ მონაჲ შენი • საცთურთა მათთაგან[15] მრავალთა, • ღირსო, • ვითარცა ხარ დედაჲ • ჭეშმარიტებისაჲ[16], და მომმადლე[17] დიდი წყალობაჲ.

ნივთი ცოდვათაჲ[18] საძაგელი • ფრიად შეეკრიბე და დაუუნჴე თავსა თჳსსა[19] • და ვბრწი მე • პირისაგან ძისა შენისა, სახიერო, • ვითარ წარმოუდგე • სამშჯავროსა მას[20], • რაჟამს • მდინარე ცეცხლისაჲ დიოდის წინაშე მისსა • და ურიცხუნი • ანგელოზნი დგენ[21] გარემოჲს მისსა[22] • და შეცოდებულთა • შთასთხევდენ[23] იგი მას შინა? • არამედ[24] სიკუდიდ ჩემდამდე[25] • და განსლვად ცხორებისა • ამისგან[26] მეოხ-მეყავ[27] • და ევედრე კაცთმოყუარესა • ქრისტესა[28], • რაჲთა შემინდვნეს მე • ცოდვანი და მოწყალე-მექმნეს[29], სძალო, ოხითა შენითა[30].

---

1 ასხურე გულსა ... სათნონი სინანულითა – **S. 2** მისა **T. 3** აურაცხელთა **H**, ჴელნი, რომელნი ... ჩუენთა აურაცხელთაჲ – **INS. 4** აჰა-ესერა, ჟამი არს ... განერე სატანჯველთაგან – **IN. 5** სი... **DS**, შენ, სიქადულ... – **HINQT. 6** სტიქარონნი] აღვივსენითი **M**, სტიქარონნი – **Q. 7** სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი] ორშაბათსა მწუხრი **BFH**, აღვივ... ა გუერდი **N**, ღმრთისმშობლისანი – **M. 8** გიხაროდენნი – **B**, გიხაროდენთა **Q. 9** ურნატო პოხილო] ქუეყანაო უქმო **B. 10** ნაყოფჲ **H. 11** აღმოჰჴდა **HQU. 12** წყლისა] წყალობისა **N. 13** ~გეეედრები შენ **BH. 14** ზაკუანი] ზრახვანი **F**, ზაკვანი **N. 15** მათგან **Q. 16** ჭეშმარიტებისაჲ] ღმრთისაჲ **M**, ცხორებისაჲ **N. 17** მომმადლე + მე **BH. 18** ცოდვისაჲ **N. 19** თჳსსა] თა **H**, ჩემსა **MN**, თავსა თჳსსა] სულსა ჩემსა **U. 20** მას – **M. 21** დენ **H. 22** და ურიცხუნი ანგელოზნი დგენ გარემოჲს მისსა – **U. 23** შთასხევდენ **H. 24** არამედ] აწ პირველ **B. 25** ჩემდამდე **N. 26** ამის **N. 27** მეოხ-მეყავ + მე **MQ. 28** ქრისტეს **BFHIMQU. 29** მოწყალე-მექმნეს **N. 30** ოხითა შენითა] და მომცეს წყალობაჲ **B**.

* პირველი გვერდითი ხმის სამშაბათის ***«სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი»*** შემდეგ ხელნაწერებში გვხვდება: **B (A 93), F (Jer. 123), H (Sin. 67), I (Ath. 44), M (Sin. 77), N (Ath. 26), Q (Jer. 131), U (Jer. 41).**

***დღე ოთხშაბათი. წმიდისა ღმრთისმშობლისაჲ და ჯუარისაჲ[1]. უფალო-ღაღადყავსა[2]. ჰმაჲ ა გუერდი[3]. *სუფევს ღმერთი*[4]...**

მარიამ მჴევალი და დედაჲ • და ყოვლადუბიწოჲ ქალწული, • ცაჲ მხოლოჲ, კიბე ღმრთისაჲ • კაცთა ცხორებად გარდამოსლვისაჲ, • საშინელი იგი • მოღუაწებისა ჩუენისა ქსელი, • რომელმან განაღმრთო კაცებაჲ.

არაჲთუ[5] რეცა უცნებით • ქრისტე კაც-იქმნა, ნუ იყოფინ! • არამედ წყალობით ჩუენისა • ჴსნისათჳს განკაცნა ჭეშმარიტებით • ყოვლადუბიწოჲსაგან • ქალწულისა წმიდისა, • დედად ღმრთისა განკუთნვილისა.

****რ**აჟამს მოხედვა-ყო წყალობით • მომავალმან მაღლით სიმდაბლით, • რომელი იყო არსებით • უდედო[6], ჩუენისა ჴსნისათჳს მჴევალი თჳსი • დედად სათნო-იყო, • რაჲთა ცთომაჲ იგი პირველი • ამის მიერ კურთხევად ცვალოს.

*****ი**ხარებდით დღეს სიმრავლე • მორწმუნეთაჲ დღესასწაულსა • ყოვლადუბიწოჲსა[7] ღირსისა • ქალწულისა, განმანათლებელისა[8] ჩუენისა[9], • რომელმან შვა ღმერთი, • ბუნებათა შემოქმედი, • მაცხოვარი და მჴსნელი ყოველთაჲ.

არაჲთუ[10] ლიტონსა კაცსა[11] • ღმერთყოფად[12] ვქადაგებთ ქრისტესა, • არამედ ღმერთსა ჯორცშესხმულსა, • რომელი იშვა ქალწულისაგან • და დაიცვა იგი • ქალწულადვე უვნებელად • და ჰგიეს ღმრთეებაჲ უცვალებელად.

მოსწრაფედ მოწოდებული • ერი მორწმუნე, მოხარული • დღესასწაულსა შენსა, ღირსო • მშობელო ღმრთისა სიტყჳსაო, შეამკობენ • ძნობითა და ქებითა • და შესხმითა სულიერითა • და გიგალობენ „გიხაროდენსა“.

******დ**ედად ნათლისად აღგიარებთ • და ღმრთისმშობელად შენ თაყუანის-გცემთ, • ძლევაჲ მოჰმადლე მეფესა, • შემსხმელთა შენთა შენდობაჲ და მოტევებაჲ, • ჴსნაჲ ერსა მტერთაგან, • მორწმუნეთა მეოხ-გუეყავ • და აღამაღლე რქაჲ ქრისტეანეთაჲ.

---

1 და ჯუარისაჲ – **P**, ~ჯუარისაჲ და წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ **QU**. **2** უფალო-ღაღადყავსა] სტიქარონნი **Q**. **3** უფალო-ღაღადყავსა. ჰმაჲ ა გუერდი – **ADINST**, ჰმაჲ ა გუერდი – **Q**. **4** ღმერთი + წარმართ... **H**, ღმერთი – **INP**, სუფევს ღმერთი] სუფევსნი **T**. **5** არათუ **HT**. **6** უდედოჲ **S**. **7** ყოვლადუბიწოჲსაჲ **S**. **8** განმანათლებისა **D**. **9** ჩუენისაჲ **T**. **10** არათუ **ST**. **11** ~კაცსა ლიტონსა **T**. **12** ღმერთყოფად] ღმერთად ყოფად **T**.

* ***«დღე ოთხშაბათი. წმიდისა ღმრთისმშობლისაჲ და ჯუარისაჲ. ჰმაჲ გ»*** ოთხი წყვილი ***«უფალო-ღაღადყავსა» («სუფევს ღმერთი»; «გიხაროდენსა»; «რაჟამს შევიდეს»; «მოვედით, აღვიდეთ»)*** წარმოადგენს **Ath. 45**-ის მასალას. ოთხივე წყვილი შემდეგ ხელნაწერებში მეორდება: **D (Ath. 24), H (Sin. 67), T (Jer. 86).**

I (Ath. 44), N (Ath. 26) და **P** (სვან. 3) ხელნაწერს აკლია ორი წყვილი – ***«რაჟამს შევიდეს»*** და ***«მოვედით, აღვიდეთ».***

Q ხელნაწერს **(Jer. 131)** აკლია ერთი წყვილი – ***«სუფევს ღმერთი».***

S ხელნაწერში **(Jer. 63)** ერთი წყვილი გვხვდება – ***«სუფევს ღმერთი».***

** აქედან **I (Ath. 44)** და **N (Ath. 26)** ხელნაწერს აკლია ამ წყვილის დანარჩენი დასდებლები, ბოლო მათგანის გამოკლებით.

*** აქედან **H** ხელნაწერს **(Sin. 67)** აკლია ამ წყვილის დანარჩენი დასდებლები.

**** ამ წყვილის ბოლო სამი დასდებელი აკლია **P (სვან. 3), S (Jer. 63)** და **T (Jer. 86)** ხელნაწერს.

საღმრთოსა ტაკუკსა წმიდასა, • სულისა წმიდისა სადგურსა, • საყდარსა ღმრთისა მაღლისასა, • მტკრთველსა ანგელოზთა მეუფისასა, • ცხორებისა მიზეზსა, • სასოსა ჩუენსა, მარიამს, • ვიოხებთ მას[1] ყოველსა ჟამსა.

სუფევს ღმერთი საყდართა ზედა • სიწმიდისა მისისათა • და ქალწული იხარებს • ძისა მისისა თანა სასუფეველსა • და ევედრების ჩუენთჳს, • რაჲთა მოგუმადლოს შენდობაჲ • ქებით მგალობელთა მისთა.

სხუანი[2]. *გიხაროდენნი*[3].

გიხაროდენ, ბჭეო[4] ცათაო, • წინაჲსწარმეტყუელთა მიერ ქადაგებულო, • რამეთუ • ღმერთი ჭეშმარიტი უქცეველად[5] შენგან • უფროჲს ბუნებისა[6] • ჯორცითა იშვა, • ქრისტე, • რომლისათჳსცა შენ მიერ ჩუენ მორწმუნეთა • მოვიღეთ დღეს • პირველი იგი აზნაურებაჲ • და სამოთხისა • დიდებაჲ და სიხარული, • ამისთჳს[7] შენ, მომატყუებელსა • ესევითარისასა, • გადიდებთ და მეოხად • გუაქუ[8] ღმრთისა მიმართ, ყოვლადწმიდაო, • და აწ • ძესა შენსა • ევედრე[9], რაჲთა მოგუმადლოს ჩუენ • დიდი წყალობაჲ.

გიხაროდენ, შენ, უმეტესო, • რომელმან გჳშევ ჯორციელად ღმერთი ყოველთაჲ • და სიტყუაჲ • დამბადებელი[10], განკაცებული • შენგან, უსძლოო, • გამოგჳბრწყინდა • ქრისტე • და კაცებაჲ განღმრთობილი[11] უქცეველად ჰშევ, • რომლისაგან • აღვემართენით[12] დაცემულნი, • შენ მიერ, ღირსო, • დიდებულო ღმრთისმშობელო[13], • ქალწულო უბიწოო, • დედაო მჯსნელისაო, • რომელსაცა გახარა • გაბრიელ სიხარული მოუკლებელი • და აწ • ძესა შენსა • ევედრე*, რაჲთა მოგუმადლოს ჩუენ[14] • დიდი[15] წყალობაჲ[16].

გიხაროდენ, უბრწყინვალესო • მზისა ბრწყინვალებასა, ყოვლადწმიდაო • ქალწულო, • რომელმან დაიტიე ცათა დაუტევნელი • საშოსა შენსა • და გჳშევ ღმერთი • სრული, • რომელმანცა მოწყალებით აღმადგინნა ჩუენ, • დაცემულნი, • ჯუარცუმითა და ვნებითა თჳსითა, • და აღმამაღლნა** • დიდებასა ზეცისასა. • ამისთჳს შენ, მომატყუებელსა • ჩუენდა ცხორებისასა, • გადიდებთ და გაკურთხევთ • და თაყუანის-ვსცემთ შენგან შობილსა • ღმერთსა. • ევედრე აწ, • რაჲთა მოჰმადლოს სულთა ჩუენთა • დიდი წყალობაჲ[17].

სხუანი. *რაჟამს შევიდეს*[18]...

შენ, კურთხეულო • შორის დედათა, ქალწულო, • გამოუცდელო • ქორწინებისაგან, სძალო უსძლოო, • წმიდაო ღმრთისა დედაო, მეოხ-გუეყავ, • რაჲთა უვნებელად • განვლნეთ ღელვანი • სოფლისა ამის[19] • საცთურისანი[20].

---

1 მას – **D**. **2** სხუანი] ღმრთისმშობლისანი **Q**. **3** გიხაროდენნი] გიხაროდენთა ზედა **PQ**. **4** ბჭე **H**. **5** უქცეველი **P**. **6** ბუნებაჲთა **T**. **7** ამისთჳს] არამედ **Q**. **8** გუაქუს **Q**. **9** ევედ **N**. **10** დამბადებელი + და **IN**, დამბადებელი + ღმერთი **T**. **11** განღმრთობილი] განკაცებული **H**. **12** აღვიმართენით **T**. **13** ღმრთისმშობელო] დედოფალო **T**. **14** ჩუენ – **T**. **15** დი... **P**. **16** ჩუენ დიდი წყალობაჲ – **H**, წყა... **I**, წყ... **N**, წყალობაჲ – **P**. **17** წყალობაჲ – **DI**, წ... **NT**. **18** შევ... **D**, შევი... **Q**. **19** ამას **Q**. **20** საცთურისანი] საწუთროჲსანი **Q**, საწუთოჲსანი **T**.

* **T** ხელნაწერში **(Jer. 86)** ამ ადგილას გვხვდება გადაშლილი სიტყვა *„მოხიჭებად“*, რომელიც, სავარაუდოდ, ფრაზის *„რაჲთა მოგუმადლოს“* ნაცვლად უნდა ყოფილიყო დაწერილი.

** **T** ხელნაწერში **(Jer. 86)** ამ ადგილას გვხვდება გადაშლილი სიტყვები *„ქუეყანისანი ცად მიმართ“*, რომლებიც, სავარაუდოდ, ფრაზის *„დიდებასა ზეცისასა“* ნაცვლად უნდა ყოფილიყო დაწერილი.

შენ სათნო-გიყო • მეუფემან ცათამან, • რომელი მაღლით • ყოვლისამპყრობელითა მკლავითა გფარვიდა • და ქერობინთა ზედა მჯდომარე იტჯრთე, • მას ევედრე, ღირსო, • რაჲთა მომფინოს[1] • წყალობაჲ მისი • და მაცხოვნნეს[2] ჩუენ.

ქრისტემან[3], მწყემსმან • პირმეტყუელთა ცხოვართამან, • გამოგირჩია[4] • *სამკჳდრებელად ორთა[5] ბუნებათა[6] • და შენ შორის, ღმრთისმშობელო[7], • ჯორცნი შეიმოსნა, • რომლითა განმიღო • სამოთხე იგი, • პირველ დაჯშული • ურჩებითა მით.

რომელსა ქერო•ბინნი დაეფარვიან, • ესე დღეს შენგან • მიუწდომელად გამოგჳბრწყინდა ჩუენ, • სანატრელო მარიამ, ევედრე მას, • რაჲთა მოტევებაჲ • მოგუანიჭოს ჩუენ, • მოსავთა შენთა, • და გუაცხოვნნეს ჩუენ[8].

თანამოღუაწე • და თანამზრუნველ მექმენ[9] ჩუენ, • ქრისტეანეთა, • შენდა მიმართ არს სასოებაჲ ჩუენი, • შენ ხარ სასოჲ და სიქადული ჩუენი, • დედაო ქრისტესო, • მომიჯსენენ ჩუენ • წინაშე ღმრთისა, • ყოვლადქებულო[10].

სხუანი. *მოვედით[11], აღვიდეთ[12]...*

მოვედით, მორწმუნენო, და ვადიდებდეთ უბიწოსა • ქალწულსა ღმრთისმშობელსა, • შუვამდგომელსა • შორის ღმრთისა და კაცთა, • ეტლსა და საყდარსა ღმრთისასა, • მიზეზსა ჴსნისა ჩუენისასა. • და გაბრიელის თანა ვიტყოდით: • გიხაროდენ, მიმადლებულო, • უფალი უფლებათაჲ შენ თანა.

მორწმუნეთა ზღუდეო და შესავედრებელო ჩუენო, • ღმრთისმშობელო ქალწულო, • ღელვაგუემულთა • ნავთსადგურო მყუდროო, • შეიწირე ვედრებაჲ უღირსთა[13] • ამათ მონათა შენთაჲ დღეს • და შეწირე შენგან შობილისა, • რაჲთა განვერნეთ ღელვათაგან • ცოდვათაჲსა ვედრებითა შენითა.

საშინელი და უფროჲსად დიდებული საიდუმლოჲ[14] – • შემოქმედი ყოველთაჲ, • დაუტევნელი • ცათაჲ[15] და ქუეყანისაჲ, • დატევნულ იქმნა საშოსა შინა • ყოვლადწმიდისა ქალწულისასა • და იშვა მისგან უხილავი ძე ღმრთისაჲ. • ამისთჳს** უღაღადებთ ყოველნი: • სახარულევანო, მეოხ-გუეყავ ჩუენ.

თეოფანე. ***სტიქარონნი[16] ღმრთისმშობლისანი[17]. გიხაროდენნი[18].

---

1 მოგუფინოს **H. 2** მაცხოვნეს **H. 3** ქრისტემან] რომელი **HT. 4** გამოგარჩია **HT. 5** ორთა + მათ **H. 6** ბუნეებათა **T. 7** ღმრთისმშობელო] ღმრთისა სიტყუამან **HT. 8** რომელსა ქერობინნი ... გუაცხოვნნეს ჩუენ – **T. 9** გუექმენ **Q. 10** თანამოღუაწე და თანამზრუნველ ... ღმრთისა, ყოვლადქებულო – **T. 11** მოვედით + და **Q. 12** აღ... **DHQ. 13** უღირსთაჲ **T. 14** საიდუმლოჲ **ADQ. 15** ცათა **T. 16** სტიქარონნი] აღვივსენითი **MN**, სტიქარონნი – **Q. 17** სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი] სამშაბათსა მწუხრი **BFH**, ღმრთისმშობლისანი – **MN. 18** გიხაროდენნი] გიხაროდენთა ზედა **BQ**.

* **სამკჳდრებელად ორთა ბუნებათა** – იგულისხმება, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა კაცობრივი ბუნებით მუცლად-იღო ორბუნებოვანი იესუ ქრისტე.

** ეს დასდებელი ასევე გვხვდება კვირადღეს, სადაც მას განსხვავებული წაკითხვა აღენიშნება: „ამისთჳს“-ის ნაცვლად „რომელსა“ წერია.

*** პირველი გვერდითი ხმის ოთხშაბათის ***«სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი»*** შემდეგ ხელნაწერებში გვხვდება: **B (A 93), F (Jer. 123), H (Sin. 67), I (Ath. 44), M (Sin. 77), N (Ath. 26), Q (Jer. 131), U (Jer. 41).**

Q ხელნაწერში **(Jer. 131)** აშიაზე მინაწერია: ***«გ ჲ ს ღ»*** [სამშაბათსა მწუხრი სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი].

ვგოდებ და მწუხარე ვარ მწარედ • შესაძრწუნებელისა მისთჳს სიტყჳსგებისა, • რამეთუ • საქმეთა[1] ჩემთაგან[2] არა[3] მაქუს სასოებაჲ[4]. • გევედრები შენ, • ღმრთისა დედაო, • პირველ • მოწევნადმდე[5] აღსასრულისა უჩინოჲსა • და მანგლისა • სასიკუდინოჲსა მოსრვადმდე[6] ჩემდა[7], • და ბრალთა ჩემთა • თანანადებთა მიჯდისა • და ცეცხლსა შინა დაშჯისა, • და მატლთა განლევისა • და სხუათა მათ ყოველთა • ძჳრთა და ტანჯვათა[8] მოწევნისა, • ბრალთა • შენდობაჲ მომმადლე • და მითხოვე ქრისტეს მეუფისაგან დიდი წყალობაჲ.

სძალო[9], უსასოთა სასო • და[10] შეუწევნელთა განმზადებულო შეწევნაო, • რომელმან • ჰშევ იესუ, ჯერმჩინებელი წყალობისაჲ[11], • უძლურებაჲ ჩემი • შეიწყალე შენ, • ღირსო, • და მომმადლე[12] გულისსიტყუაჲ სინანულისაჲ • და მდინარე • ცრემლთაჲ განმწმედელად[13] ცოდვათა[14] • ჩემთა ურიცხუთა • და წარმრღუნელად ბრალთა ჩემთა • და[15] დააცხრვე ვნებათა ჩემთა • ღელვაჲ განძჳნებული • და მყუდროებაჲ საღმრთოჲ • მოეც აღძრულსა გულსა ჩემსა • ქრისტეს[16] • მიმართ ვედრებითა, • რომელი მოანიჭებს სოფელსა დიდსა წყალობასა.*

გამომიბრწყინვე მე[17] ნათელი შენი[18], • ბნელსა შინა ვნებათასა მდებარესა, • რომელმან • ჰშევ ღმერთი, ნათელი უვნებელობისაჲ[19], • ჯორცითა, ქალწულო, • და სიღრმისაგან[20] • ბრალთა • ჩემთაჲსა და სასოწარკუეთილებისაგან • კლდესა ზედა • ცხორებისასა აღმამაღლე[21] • და დაამტკიცენ • სულისა ჩემისა სლვანი, • საჭჳრ მავნებელნი ჩემნი • და ჰბრძოდე მბრძოლთა ჩემთა • და დააცხრვე ტკივილი • უძლურისა გულისა[22] ჩემისაჲ, • ღირსო, • ყოველთა კიდეთა • სოფლისათა სასო[23], და მომანიჭე დიდი წყალობაჲ.

****დღე ხუთშაბათი[24]. წმიდათა მოციქულთაჲ. უფალო-ღაღადყავსა[25]. ჰმაჲ ა გუერდი[26]. გიხარიდენი.**

რაჟამს მოხედვა-ყო წყალობით • დაბადებულთა თჳსთა ზედა[27] • ღმრთისა სიტყუამან, • სიბრძნითა • აურაცხელმან, კაცთა ცხორებისათჳს • განკაცებითა • ქალწულისაგან, • მოგუცნა • მწყემსთმთავარნი, ყოვლადბრძენნი მონადირენი, • რომელთაცა•-იგი[28] სიბრძნით[29] მოინადირნეს • წარმართთა[30] ერნი[31], • უმეცრებითა დანთქმულნი

---

1 საქმეთაგან **BH. 2** ჩემთაგან – **BH. 3** არაჲ **BFHIMQ. 4** სასოებაჲ] სიტყჳსგებაჲ **B**, სასოებაჲ + და **B. 5** მოწევნამდე **IMN. 6** მოსრვამდე **N**, მოსრვადმდე] მოსლვამდე **H**, მოსლვად **U. 7** ~მოსრვად ჩემდამდე **F**, ჩემდამდე **U. 8** და ტანჯვათა] მწარეთა **BH. 9** სძალო] მხოლოო **B. 10** და – **B. 11** ~იესუ, ჯერმჩინებელი წყალობისაჲ, ჰშევ **B. 12** მომადლე **I. 13** განმწმედელი **U. 14** ცოდვათაჲ **H. 15** და – **BH. 16** ქრისტეს] ღმრთისა **U. 17** მე – **B. 18** შენი – **FHIMNQU. 19** ~ღმერთი, ნათელი უვნებელობისაჲ, ჰშევ **B** უვნებელობისა **F. 20** და სიღრმისაგან] უფსკრულისაგან **B**, სიღრმეთაგან **U. 21** აღმამაღლე] აღმომიყვანე **B**, აღმამაღლე + მე **MQ. 22** გულისა] სულისა **N. 23** სასოო – **N. 24** დღე ხუთშაბათი] ოთხშაბათსა მწუხრი **N. 25** უფალო-ღაღადყავსა – **ADHINST. 26** ჰმაჲ ა გუერდი – **INQ. 27** ზედა – **HT. 28** რომელთაცა **H. 29** სიბრძნითა **HT**, სიბრძნით + მით **H. 30** წარმართნი **HT. 31** ერნი] იგი **HT.**

* **N** ხელნაწერში **(Ath. 26)** ამ ადგილას შემდეგი მითითებაა: ***«წმიდათაჲ. იძიე».***

** ***«დღე ხუთშაბათი. წმიდათა მოციქულთაჲ»*** სამი წყვილი ***«უფალო-ღაღადყავსა» («გიხარიდენი»; «მოვიდეთ და აღვიდეთ», «სუფევსთა ზედა»)*** წარმოადგენს **Ath. 45**-ის მასალას. სამივე წყვილი შემდეგ ხელნაწერებში მეორდება: **D (Ath. 24), H (Sin. 67), I (Ath. 44), Q (Jer. 131), T (Jer. 86).**

N (Ath. 26) და **S (Jer. 63)** ხელნაწერს აკლია ერთი წყვილი – ***«სუფევსთა ზედა».***

P ხელნაწერს (სვან. 3) აკლია ერთი წყვილი – ***«გიხარიდენი».***

• უფსკრულსა ბნელისასა, და[1] • საჭითა ჯუარისაჲთა • აღმოიყვანნეს ნათლად • ცხორებისა მის საუკუნოჲსა • და აწ • ევედრებიან • ქრისტესა მონიჭებად ჩუენდა • დიდი[2] წყალობაჲ[3].

0სარნი საღმრთოჲსა სიტყჳსანი, • გამოჯურვებულნი ცეცხლითა სულისაჲთა, • სიონით • გამოჰკრთეს ყოვლადქებულნი მოციქულნი • და განაწონნეს მათ • გულსა კაცთასა • სიბრძნით • მახჳლის სახედ მკუეთელნი სიტყუანი მათნი • და მოჰკუეთნეს • ნერგნი ურწმუნოებისანი • გონებათაგან[4] • განჴმელთა და აღაყუავეს • თავწარსხმული ცხორებისაჲ, • რომელიცა მოვისთულეთ • მორწმუნეთა კრებულმან • სარწმუნოებაჲ და სასოებაჲ • და აწ • ევედრებიან • ქრისტესა მონიჭებად ჩუენდა • დიდი წყალობაჲ[5].

3ითარცა ცანი მიუთხრობდით • დიდებასა ღმრთისა ყოვლისამპყრობელისასა • და ვითარ • ღრუბელნი საღმრთონი სცუროდეთ[6] სიმართლესა • მაღლითგარდამო[7] • თქუენ, მოციქულნო • ღირსნო, • სიტყუათა მათ მადლისათა სოფელსა შინა • და[8] ნაკადულნი • ცხორებისანი გამოვიდოდეს[9], • მომდინარენი[10] • პირით თქუენით, განმწმედელნი[11] • ნაბრძჳლსა ცოდვისასა, • რომლითაცა წარირღუნა • ბნელი უმეცრებისაჲ • და აღყუავილნა მადლი სინანულისაჲ, • და აწ • ევედრენით[12] • ქრისტესა მონიჭებად ჩუენდა • დიდი წყალობაჲ[13].

Bიხაროდენ, საგალობელნო • სათნონო, სამებისა მქადაგებელნო, • წმიდისა • ღმრთისმშობელისა ქებით შემამკობელნო, • ჯუარითა მოქადულნო, • სიბრძნით სოფლისა • ღირსად[14] • მონადირენო, ცხორებად მართლმორწმუნეთა • დანერგულნო • უკუდავებისა დიდებასა • მაღალთა შინა • ნათლისაგან უჟამოჲსა, • ნათელნო სოფლისანო, • წმიდანო მოციქულნო, • ევედრენით ქრისტესა • მოცემად ჩუენდა მადლი მისი[15], • რაჲთა • თქუენმიერითა • ოხითა მოვიღოთ ქრისტესგან • დიდი წყალობაჲ[16].

სხუანი[17]. *მოვედით, და*[18] *აღვიდეთ*[19]...

Cასა და ქუეყანასა დაუკჳრდა[20] სიბრძნე უსწავლელთა[21] • მოციქულთა წმიდათაჲ, • რომელთა ძალი • მჴდომისაჲ განიოტეს • და წარმართნი მოაქცინეს • ღმრთისა მიმართ აღსაარებასა[22] • და დაუცხრომელად დიდებასა, • რომელთა ღირსად საჴსენებელსა • მათსა აღვასრულებთ[23] მარადის[24].

Jენი კაცთანი ანგელოზთა თანა დღესასწაულობენ • ჴსენებასა წმიდათა • მოციქულთასა, • რამეთუ ათორმეტთა • ურიცხუნი მოინადირნეს, • განსწავლულთა მოძღურისა მისგან, • რომელ არს სიბრძნე და ძალი ღმრთისაჲ, • რომლისათჳს ყოველი განყიდეს • და იგი მხოლოჲ მოიყიდეს[25].

---

1 და – HQ. **2** დი... H. **3** წყალობაჲ – H. **4** გონებათაგან] ბუნებათაგან Q. **5** ჩუენდა • დიდი წყალობაჲ – I. **6** სცროდეთ QST. **7** მაგლითგარდამო T. **8** და – HT. **9** გამოვიდოდეს] გარდმოდიოდეს HT. **10** მომნადირენი D. **11** განწმედილნი H. **12** ევედ... Q. **13** ვითარცა ცანი ... დიდი წყალობაჲ – IN, ქრისტესა მონიჭებად ჩუენდა • დიდი წყალობაჲ – Q. **14** ღირსნო T. **15** მისი + დღეს Q. **16** გიხაროდენ, საგალობელნო ... დიდი წყალობაჲ – S. **17** სხუანი – IN. **18** და – HPT. **19** აღვი... AHTS, აღ... DI, ა... N, აღვიდ... P. **20** დაუკურდა Q. **21** უსწავლელთაჲ HQ. **22** აღსარებასა ADINPQS. **23** აღვასრულებდეთ T. **24** მარადის – T. **25** რომლისათჳს ყოველი განყიდეს • და იგი მხოლოჲ მოიყიდეს – H.

Oთხთა მახარებელთა ოთხნი კიდენი სოფლისანი • განანათლნეს ბრწყინვალედ[1] • სახარებითა • მოძღურისა მათისაჲთა, • რომელმან წარავლინნა იგინი, • ვითარცა კრავნი შორის მგელთა, • მეცნიერებით[2] ვითარცა გუელნი, • უბიწოებით ვითარცა ტრედნი, • ქადაგებად სახელსა მისსა[3].

გიხაროდენ, ღმრთისმშობელო[4]...

[გიხაროდენ, ღმრთისმშობელო, მორწმუნენი გიღაღადებთ, • რამეთუ შენგან იშვა • ღმერთი უფალი, • მეუფჱ საუკუნოჲ • იხილვა მსგავს ძეთა კაცთა. • იჱრუსალემისა ასულნო, • მოვედით და გალობით ღაღადებდით: • კურთხეულ არს, რომელმან გჳშვა • ჯორციელად უფალი ყოველთაჲ].

სხუანი. *სუფევსთა ზედა[5].*

მოციქულნო ქრისტეს ღმრთისანო, • ყოვლისა სოფლისა მნათობნო, • სამკჳდრებელნო სიბრძნისანო, • მგალობელთა თქუენთათჳს ევედრენით • ქრისტესა ღმერთსა, რაჲთა • ღირს-ვიქმნნეთ[6] ჩუენ აღსრულებად • ბრძანებათა მისთა სიწმიდით.

მევედრებითა მოციქულთაჲთა • ღირს-მყვენ, მაცხოვარ, აღსრულებად • დღენი ჩუენნი სიწმიდით • და ლმობიერებით ვედრებად შენდა, • კაცთმოყუარეო[7] ღმერთო[8], • რაჲთა გიგალობდეთ მარადის • მომცემელსა ცხორებისასა.

მოციქულნო მაცხოვრისანო, • ნათელნო[9] ყოველთა კაცთანო, • ქადაგნო ღმრთისა მაღლისანო[10], • შემკობილნო სათნოებათა სიმრავლითა, • მეოხ-გუეყვენით ჩუენ • ქრისტეს მიმართ მეუფისა[11], • რაჲთა აცხოვნნეს სულნი ჩუენნი.

Ევედრენით ქრისტესა ღმერთსა, • ჲ, მოციქულნო სანატრელნო, • რაჲთა ღირს-ვიქმნნეთ[12] ჩუენ სიწმიდით • თაყუანისცემად პატიოსანსა ჯუარსა • და წმიდასა ქრისტეს • მაცხოვრისა აღდგომასა, • რაჲთა ვპოოთ დიდი წყალობაჲ[13].

დიდ არს და საშინელ, უფალო, • მოსლვისა შენისა დიდებაჲ, • რაჟამს დაშჯდე საყდართა ზედა • განკითხვად ცხოველთა და მკუდართა სიმართლით, • მაშინ, მეუფეო, • ნუ განმიკითხავ მე რისხვით, • არამედ წყალობით მომხედენ[14].

---

1 ბრწყინვადლედ **S** (მსგავსი გადამწერისეული შეცდომები ხშირია ამ ხელნაწერში, რომლებსაც შემდგომში აღარ მივუთითებთ). **2** მეცნიერებითა **H**. **3** უბიწოებით, ვითარცა ტრედნი, • ქადაგებად სახელსა მისსა – **P**. **4** გიხაროდენ, ღმრთისმშობელო – **HINQT**, ღმრთისმშო... **S**. **5** სუფევსთა ზედა] სუფევს... **HP**, სუფევსნი **IQT**. **6** ღირს-ვიქმნეთ **I**. **7** კაცთომოყუარე **H**. **8** ღმერთო] უფალო **H**. **9** ნათელნო] მნათობნო **P**. **10** მაღლისანო] მადლისანო **P**. **11** მეუფისა] მაცხოვრისა **Q**. **12** ღირს-ვიქმნეთ **H**. **13** ევედრენით ქრისტესა ... დიდი წყალობაჲ – **I**. **14** დიდ არს და საშინელ ... წყალობით მომხედენ – **HI**.

* ამ დასდებლის შემდეგ **Q** ხელნაწერში (**Jer. 131**) დამატებით მოცემულია ერთი დასდებელი: ***«საღმრთოჲსა მადლისა ქადაგთა • და სიბრძნისა ჭურთა რჩეულთა, • მოციქულთა ქრისტესთა, • რომელთა განანათლნეს გულნი მორწმუნეთანი, • რომელნი მარადის • ადიდებენ სამებასა, • ერთარსებით განუყოფელსა».***

თეოფანე. *სტიქარონნი[1] ღმრთისმშობლისანი[2]. გიხაროდენნი[3].

არმური ცოდვათაჲ სასტიკი • უფსკრულსა[4] შინა საწუთროჲსასა[5] მეწია • და ღელვაჲ • სამნაკეცი სასოწარკუეთილებისაჲ[6] • გულსა ჩემსა შთანსთქამს[7] • ქუესკნელთა შინა, • სძალო • ღმრთისაო[8], მეოხებითა[9] შენითა[10] წარმიძეღუ[11] • ნავთსადგურად • ცხორებისა მის უღელვოჲსა, • სინანულისა • და კეთილთა მოგებისა. • იხილე უძლურებაჲ ჩემი, • ყოველთა შეწევნაო, • იხილე ჭირი ჩემი • და მომეც ლხინებაჲ და[12] განსუენებაჲ, • ქრისტეს • მჴსნელისა დედაო, • რომელი მოანიჭებს სოფელსა დიდსა[13] წყალობასა[14].

*დააცხრევენ ღუარნი ვნებათანი • და ცოდვათა ჩემთა უფსკრულნი[15] განაჯმენ[16], სძალო, • წუმითა • ოხათა შენთაჲთა და ნავთსაყუდელსა[17] • ღმრთისა ნებისასა • წარმიმართე მე, • ხოლო[18] • მტერნი დღითიდღე[19] მაშფოთებელნი სულისა[20] ჩემისანი[21] • და[22] გემოთა • ბოროტთა[23] მიერ მაშფოთებელნი • დაანთქენ[24] მთხრებლსა • მას შინა წარწყმედისასა • და[25] აღავსე მხიარულებითა • და შუებითა გული ჩემი. • დაჰჴსენ ნისლი წყუდიადი • სულთმოკლებისა ჩემისაჲ მწარე • ქრისტეს • ღმრთისა ვედრებითა • და მომანიჭე მე[26], ქალწულო, დღეს[27] დიდი **წყალობაჲ[28].*

დაჰჴსენ ბნელი სულისა ჩემისაჲ, • რომელმან გჴშევ მზე სიმართლისაჲ, ქრისტე ღმერთი, • და მომეც[29] • ნათელი სინანულისაჲ[30] და მჴმუნვარებაჲ • გულისა[31] ჩემისაჲ • განდევნე ჩემგან, • ღირსო, • და მრისხანებითა[32] აღძრული გონებაჲ ჩემი • სიმშჳდითა • საღმრთოჲთა დააყუდე, უსძლოო, • ხოლო აღმძრველნი • მისნი ეშმაკნი წარდევნენ • ოხათა შენთა კუერთხითა • და დაშრიტე საჯუმილი • ბილწებათა მათ ჩემთა[33] • და უძლებებისა ბოროტისაჲ • ძისა • შენისა სისხლითა, • რომელმან აღმოჰიცენა[34] ჩუენ დიდი წყალობაჲ[35].

---

1 სტიქარონნი] აღვივსენითი **MN**, სტიქარონნი – **Q**. **2** სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი] ოთხშაბათსა მწუხრი **BFH**, ღმრთისმშობლისაჲ **U**, ღმრთისმშობლისანი – **MN**. **3** გიხაროდენნი] გიხაროდენთა ზედა **B**. **4** უფსკრულ **M**. **5** საწუთოჲსასა **FIMNU**. **6** სასოწარკუეთილობისაჲ **B**. **7** შთანთქამს **M**, შთანქამს **Q**, დანსთქამს **U**. **8** ღმრთისაო – **B**. **9** მეოხებითა] ოხითა **B**. **10** შენითა + სულსა ჩემსა **B**. **11** წარუძეღუ **B**. **12** ლხინებაჲ და] ქალწულო **B**. **13** დიდი **H**, დიდს **N**. **14** წყალობაჲ **H**, სოფელსა დიდსა წყალობასა – **I**. **15** უფსკრული **MQ**. **16** განაჯმე **MQ**. **17** ნავთსაყუდელსა] ნავთსადგურსა **M**. **18** ხოლო – **B**. **19** დიღითიდღე **H**. **20** სულისანი **HU**. **21** ჩემისანი – **HU**. **22** და – **B**, და + უჯეროთა **B**. **23** ბოროტთა – **B**. **24** დაანთქმენ **U**. **25** და – **B**. **26** მე – **M**. **26** ქალწულო, დღეს – **F**. **28** და მომანიჭე მე, ქალწულო, დღეს • დიდი წყალობაჲ] რომელი მოანიჭებს სოფელსა • დიდსა წყალობასა **H**. **29** და მომეც – **B**. **30** ნათელი სინანულისაჲ] ნათლითა სინანულისაჲთა **B**, სინანულისა **Q**. **31** გულისა] სულისა **B**. **32** მრისხანებითა] გულისწყრომითა **B**. **33** ჩემთაჲ **FINU**. **34** აღმოგჳცენა **B**. **35** რომელმან აღმომიცენა ჩუენ • დიდი წყალობაჲ] რომელი მოანიჭებს სოფელსა • დიდსა წყალობასა **H**.

* პირველი გვერდითი ხმის ხუთშაბათის ***«სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი»*** შემდეგ ხელნაწერებში გვხვდება: **B (A 93), F (Jer. 123), H (Sin. 67), I (Ath. 44), M (Sin. 77), N (Ath. 26), Q (Jer. 131), U (Jer. 41).**

** **N** ხელნაწერში **(Ath. 26)** ამ ადგილას შემდეგი მითითებაა: ***«წმიდათაჲ. თქჳ».***

***დღე პარასკევი. ჯუარისაჲ და წმიდათაჲ[1]. უფალო-ღაღადყავსა[2]. ჰმაჲ ა გუერდი[3]. *გიხაროდენნი*[4].**

გიხაროდენ, ცხოველსმყოფელო • ჯუარო, ქრისტეანეთა შესავედრებელო, • ზეცისა • ნიჭთა მომატყუებელო და სამოთხისა • კარო და ყოველთა • მართლმორწმუნეთა • ძალო, • ეკლესიისა ზღუდეო, რომლისა მიერ • დაჰჴსნდა ძალი • ცოდვისაჲ და სიკუდილი განქარდა • და ავმაღლდით[5] ჩუენ, • ქუეყანისანი, ცად მიმართ, • საჭურველო ყოვლადძლიერო, • ეშმაკთა წარმდევნელო[6], • მოწამეთა გჳრგჳნო • და მღდელთმოძღუართა შუენიერებაო, • და აწ • დაგჳცვენ ჩუენ • და მოჰმადლე[7] სულთა ჩუენთა • დიდი წყალობაჲ[8].

გიხაროდენ, ძელო ცხოველო, • რომლისა მიერ იჴსნნეს[9] კაცნი წყევისაგან, • საღმრთოჲსა • სიხარულისა სასწაულო, რომელი • დაამდაბლებ მტერთა ამაღლებითა • შენი•თა. ჵ, ძელო ყოვლადწმიდაო, შემწეო ჩუენო, • სიმტკიცეო • მეფეთაო და ძალო მართალთაო • და მღდელთმოძღუართა • ბრწყინვალეო სამკაულო, • საჭურველო მშჯდობისაო, • კუერთხო სიმტკიცისაო, • რომელსა გადიდებენ • ანგელოზნი კაცთა თანა მარადის, • ქრისტეს • დიდებაო, • რომელმან მოეც სოფელსა • დიდი წყალობაჲ[10].

გიხაროდენ, ბრმათა ნათელო, • უძლურთა ძალო და მკუდართა აღდგომაო, • რომელმან • აღგუამაღლენ[11] ჩუენ[12], ცოდვითა დაცემულნი, • ჯუარო დიდებულო, • რომლისა მიერ • დაჰჴსნდა • წყევაჲ და • აღყუავილნა დღეს კურთხევაჲ საღმრთოჲ • და მოკუდავნი • უკუდავ-მყვენ[13] და მტერი დაეცი[14]. • ამისთჳსცა დღეს • გხედავთ შენ ამაღლებულად[15] • ჯელითა მღდელთმოძღუართაჲთა • და ვადიდებთ ქრისტესა, • რომელი დაემშჭუალა[16] • შენ ზედა, და შენ თაყუანის-გცემთ, • ძელო • ცხორებისაო, • რომლისაგან პოვა[17] სოფელმან • დიდი წყალობაჲ[18].

სხუანი. *რაჟამს შევიდეს*[19]...

რაჟამს განიპყრენ • ჯელნი თჳსნი ჯუარსა ზედა • ნებსით ჴსნისათჳს • ჩუენ, მოსავთა[20] შენთაჲსა[21], ქრისტე ღმერთო, • და ლახურითა მოწყლვაჲ გუერდისაჲ თავს-იდევ, • მაშინ განმეღო[22] ჩუენ • სამოთხე იგი, • პირველ დაჴშული • ადამის მიერ.

რაჟამს უგუმირეს • გუერდსა შენსა ლახურითა, • ცხოველსმყოფელსა[23] • ყოველთა დაბადებულთასა, ქრისტე ღმერთო, • მაშინ მეწამულ იქმნა ჯუარი სისხლითა, • რომლითა განმიღე • კარი მადლისაჲ • და ღირს-მყვენ შესლვად • სასუფეველსა.

---

1 და წმიდათაჲ – **INU. 2** უფალო-ღაღადყავსა – **ADHINS. 3** ჰმაჲ ა გუერდი – **HINT. 4** გიხაროდენნი] გიხაროდენთა ზედა **P**, გიხაროდენნი – **Q. 5** აღვმაღლდით **H. 6** წარმდევნელნო **Q. 7** მომადლე **Q. 8** წ... **H. 9** იჴსნეს **INQT. 10** წ... **H**, რომელმან მოეც სოფელსა • დიდი წყალობაჲ] რომელი მოანიჭებს სოფელსა დიდსა (დიდისა **I**) წყალობასა **IN**, წყალ... **T. 11** აღგუამაღლენ] აღგუმართენ **Q. 12** ჩუენ – **P. 13** უკუდავ-ყვენ **S. 14** დაეც **H. 15** ამაღლებულსა **Q. 16** დაემჭუალა **T. 17** პოა **INP. 18** წყალობაჲ – **H. 19** შე... **P**, შევიდეს – **S. 20** მოსავთა] მონათა **T. 21** შენთა **H. 22** განმიღო **DS. 23** ცხოველსა მყოფელსა **D**.

* ***«დღე პარასკევი. ჯუარისაჲ და წმიდათაჲ»*** ორი წყვილი ***«უფალო-ღაღადყავსა» («გიხაროდენნი»; «რაჟამს შევიდეს»)*** წარმოადგენს **Ath. 45**-ის მასალას. ორივე წყვილი შემდეგ ხელნაწერებშია მოცემული: **D (Ath. 24), H (Sin. 67), I (Ath. 44), N (Ath. 26), P** (სვან. 3), **Q (Jer. 131), S (Jer. 63), T (Jer. 86).**

რაჟამს მიუპყრეს[1] • ღრუბლითა აღზავებული • ძმარი ნავღლითა • უშჯულოთა – დამბადებელსა, • ცათა და ქუეყანისა შემოქმედსა, • მაშინ მოგუეცა[2] ჩუენ • სასუმელი ტკბილი • უკუდავებისა[3] და ცხორებისაჲ*.

თეოფანე. **სტიქარონი[4] ღმრთისმშობლისანი[5]. გიხაროდენნი[6].

ძესა თჳსსა ტარიგი უბიწოჲ • ჰხედვიდა[7] რაჲ კაცთათჳს[8] დაკლვად მიმავალსა, • მისდევდა • მდუღარე ცრემლითა და უღაღადებდა: • სადა წარხუალ, მჴსნელო, • სიტკბოებაო • ჩემო, • სულგრძელო, სასურველო ჩემო და საწადელო? • რაჲ არს ესე, • უცოდველო და მრავალმოწყალეო? • მომეც მე სიტყუაჲ, • მშობელსა შენსა, უფალო, • ნათელო თუალთა ჩემთაო, • ტკბილო და სახიერო, • და ნუ თანაწარმჴდები[9] • დუმილით მჴეველსა ამას შენსა, • ღმერთო • ყოვლადძლიერო, • რომელი მოსცემ[10] დაბადებულთა[11] დიდსა წყალობასა.

*გიხაროდენ, ტრედო წმიდაო, • ოქროვანო[12] ფრთითა[13] მით გონებისაჲთა • და გურიტო • შუენიერო და მერცხალო საწადელო[14], • ტარიგო, რომელმან • იტკრთე კრავი • ღმრთისაჲ • და[15] დიაკუნო საღმრთოო, ზუარაკისა მის • სოფლისათჳს • დაკლვად მოსრულისა მშობელო; • ტევანთა[16] ტკბილთა[17] • გამომღებელო ვენაჯო, • წყაროთა დაუწუეველთა, • განმაცხოველებელთა • ჩუენდა მომნიჭებელო[18], • რომელთა წმიდა-ყუენს[19] ცისკიდენი, • ქრისტეს • ღმრთისა დედაო, • რომელი მოანიჭებს[20] სოფელსა დიდსა ***წყალობასა[21].*

მჭონან[22] ცოდვათა სიმრავლენი • და უდებებაჲ მწარე[23], სულისა დამაბნელებელი • და შენთა • წყალობათა შეუვრდები[24], ღმრთისმშობელო[25], • ცოდვილთა მჴსნელო, • შემეწიე მე[26], • მომეც • განფრთხობაჲ ბოროტისა ამის სიბრმისაგან • სიმედგრისა • და[27] ულმობელისა[28] დაჴსნილობისა, • ნუუკუე მჰოს • მე სიკუდილმან უნანელი • და მიეცე

---

1 მიგიპყრეს **T. 2** მოგუეც **IN. 3** უკუდავებისაჲ **HINQT. 4** სტიქარონნი] აღვივსენითი **N**, სტიქარონნი – **Q. 5** სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი] ხუთშაბათსა მწუხრი **BFH**, ღმრთისმშობლისანი – **N. 6** სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი. გიხაროდენნი – **M**, გიხაროდენნი] გიხაროდენთა ზედა **Q. 7** ხედვიდა **HIN. 8** კაცთათჳს] კაცთა შორის **H. 9** თანაწარმჴდები + მე **HIMNQ. 10** მისცემ **INQU. 11** დაბადებულთა] სოფელსა **M. 12** ოქროანო **IN. 13** ფრთითა] ფერითა **M. 14** საწადელო + და **IMNQ. 15** და – **H. 16** ტევანსა **HIMNQU. 17** ტკბილსა **HIMNQU. 18** მომნიჭებელსა **HINU. 19** წმიდა-ყუნეს **H. 20** მოანიჭებ **U. 21** წყალობ... **H. 22** მჭუანან **M. 23** მწარე – **B. 24** შეურდები **INU. 25** ღმრთისმშობელო] დედოფალო **BHMQU. 26** ~შემეწიე მე, ცოდვილთა მჴსნელო **B. 27** და – **IN**, ~და სიმედგრისა **U. 28** ულმობელისა] მწარისა **B**, ულმობელობისა **U**, ულმობელისა + და **FU.**

* წყვილის ბოლოს **Q** ხელნაწერში **(Jer. 131)** მოცემულია ღვთისმშობლის დასდებელი: ***«რაჟამს გხედვიდა • ჯუარსა ზედა დაშჯილად • მშობელი შენი, ღმრთისა სიტყუაო, ესრეთ ჴმობდა: • რაჲ არს უშჯავრო ესე მოკლვაჲ შენი, • რამეთუ ვითარცა • ძჳრისმოქმედი • დაგსაჯეს, მჴსნელო, უშჯულოთა მათ».***

** პირველი გვერდითი ხმის პარასკევის ***«სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი»*** შემდეგ ხელნაწერებში გვხვდება: **B (A 93), F (Jer. 123), H (Sin. 67), I (Ath. 44), M (Sin. 77), N (Ath. 26), Q (Jer. 131), U (Jer. 41).**

ამ წყვილის პირველი ორი დასდებელი **B** ხელნაწერში **(A 93)** განსხვავებული რედაქციისაა.

Q ხელნაწერში **(Jer. 131)** აშიაზე მინაწერია: ***«ე ი ს ღ»*** [ხუთშაბათსა მწუხრი სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი]

*** **N** ხელნაწერში **(Ath. 26)** ამ ადგილას შემდეგი მითითებაა: ***«აქა წმიდათაჲ თქუ».***

სატანჯველთა • სასტიკთა[1] საუკუნოდ, • ღმრთისმშობელო ქალწულო, • სასოო ყოველისა სოფლისაო, • ძალო[2] • და შემწეო ჩემო, • რომლისაგან პოვა[3] სოფელმან დიდი წყალობაჲ[4].

***ღღე შაბათი[5]. წმიდათაჲ[6] და სულთაჲ[7]. უფალო-ღაღადყავსა[8]. ჰმაჲ ა გუერდი[9].**

****რ**ომელი ქებულ ხარ ქერობინთა[10] მიერ, • მეუფე ჩუენი ქრისტე, • ზეცით მამისა მიერ მოხუედ, • ქალწულისა წიაღთა, • ვითარცა ჩჩჳლი, იტჯრთე • და ნისლი ცოდვისა[11] ჩუენისაჲ • ღმრთეებით განაბნიე[12].

რომელსა გნებავს ***მოქცევაჲ[13] შეცთომილთაჲ • სინანულითა, მჯსნელო, • მომაქციე ცოდვილი ესე, • ქალწულისა შობილო, • ვითარცა[14] მეზუერე იგი • და ნისლი[15] ცოდვისა ჩუენისაჲ[16] • ღმრთეებით განაქარვე[17].

მცნებათა საღმრთოთა[18] არაჲ უდებ-ვიქმნეთ, • მორწმუნენო, ერთობით, • არამედ ვჰმონოთ უფალსა შიშით • და, ვითარცა იობ რაჲ[19], • განსაცდელნი დავითმინნეთ • და განათლებულნი მის თანა • ღირს-ვიქმნეთ[20] სასუფეველსა[21].

******რ**ომელმან ჯუარითა მოჰკალ სიკუდილი, • მეუფეო ქრისტე, • და ჯოჯოხეთისა საკრველნი • ჯელმწიფებით შეჰმუსრენ, • და სულნი პირველმომწყდარნი • ნათლად აღმოიყვანენ • ღმრთეებისა ძალითა[22].

ყოვლადსანატრელნო ქრისტეს მოწამენო, • რამეთუ ჰბაძევდით თქუენ • ვნებათა მჯსნელისათა[23], • მოიგეთ ქრისტესგან • სასუფეველი, ნეტარნო, • და სენთა ჩუენთა სიმძაფრესა[24] • ჰკურნებენ ძუალნი თქუენნი.

---

1 სასტიკთა] მწარეთა **B. 2** ძალო] სძალო **F. 3** პოა **HIN. 4** წ... **H,** წყა... **I. 5** შაბათი + ყოველთა **IP,** ღღე შაბათი] პარასკევსა მწუხრი **N. 6** წმიდათა **NQ. 7** სულთაჲ] სულისაჲ **U. 8** უფალო-ღაღადყავსა – **ADST. 9** ჰმაჲ ა გუერდი – **IN. 10** ქერაბინთა **A,** ქერაბინ... **P. 11** ცოდვისაჲ **N. 12** ქერობინთა მიერ ... ღმრთეებით განაბნიე – **H,** მიერ, მეუფე ჩუენი ... ღმრთეებით განაბნიე – **PQ,** ხარ ქერობინთა ... ღმრთეებით განაბნიე – **T. 13** მოქცევა **I. 14** ვითარ **P. 15** ნისლ **T. 16** ჩუენისაჲ] ჩემისაჲ **HPT. 17** განაქარვე] განაბნიე **H,** რომელსა გნებავს ... ღმრთეებით განაქარვე – **IN.18** საღმრთოჲთა **D. 19** ~რაჲ იობ **P. 20** ღირს-ვიქმნეთ **T. 21** მცნებათა საღმრთოთა ... ღირს-ვიქნნეთ სასუფეველსა – **IN. 22** რომელმან ჯუარითა ... ღმრთეებისა ძალითა – **INQ. 23** მჯსნელისათა + და **HQT. 24** სიმძაფრესა] სიმრავლესა **H.**

* ***«ღღე შაბათი. წმიდათაჲ და სულთაჲ. ჰმაჲ გ»*** სამი წყვილი ***«უფალო-ღაღადყავსა» («რომელი ქებულ ხარ»; «მოქცევაჲ და აღვიდეთ»; «რაჟამს შევიდეს»)*** წარმოადგენს **Ath. 45**-ის მასალას. სამივე წყვილი შემდეგ ხელნაწერებში მეორდება: **D (Ath. 24), H (Sin. 67), Q (Jer. 131), T (Jer. 86). I (Ath. 44)** და **N (Ath. 26)** ხელნაწერს აკლია ორი წყვილი – ***«მოქცევაჲ და აღვიდეთ»*** და ***«რაჟამს შევიდეს».***

P ხელნაწერს (სვან. 3) აკლია ერთი წყვილი – ***«მოქცევაჲ და აღვიდეთ».***

S ხელნაწერს **(Jer. 63)** აკლია ერთი წყვილი – ***«რაჟამს შევიდეს».***

** **Q** ხელნაწერში **(Jer. 131)** ძლისპირზე ***«რომელი ქებულ ხარ»*** შემდეგი მითითებაა: ***«სრულიად».***

*** **Q** ხელნაწერი **(Jer. 131)** დაზიანებულია და ტექსტი არ იკითხება.

**** **S** ხელნაწერში **(Jer. 63)** მომდევნო ხუთი დასდებელი არ გვხვდება.

ღაეცა საცთური მოწამეთა მიერ • მტერისა ბოროტისაჲ, • რამეთუ აქუნდა საჭურველად • ძელი იგი ჯუარისაჲ • და წინამძღუარ იქმნნეს[1] ჩუენდა[2] • ცხორებასა მას წარუვალსა, • რომელნი ვადიდებთ მათ[3].

შეურაცხ-ჰყავთ საშუებელი ქუეყანისაჲ, • მოწამენო ქრისტესნო, • და დიდებაჲ იგი ზეცისაჲ[4] • მოიყიდეთ სისხლითა • და სულნი განაბრწყინვენით, • ითხოვეთ ჩუენთჳს, მოწამენო, • ბრალთა ჩუენთა[5] შენდობაჲ.

ნუ შეურაცხ-ჰყოფ მონათა[6] შენთა, მჴსნელო, • ჟამსა განკითხვისასა, • არამედ მიჰმადლე, მოწყალე, • სამოთხისა დიდებაჲ, • რომელნი თანანერგ[7] ექმნნეს[8] • ნათლისღებასა შენსა, ქრისტე, • და ზიარ – აღდგომასა*.

ევედრე ძესა[9] შენსა დაუცხრომელად[10], • ღმრთისმშობელო ქალწულო, • რაჲთა განსაცდელთაგან მიჴსნნეს • ვედრებითა შენითა, • რომელნი გესავთ მარადის • და დაუცხრომელითა ჴმითა • გადიდებთ შენ ყოველნი[11].

სხუანი[12]. ***მოვედით და აღვიდეთ***[13]...

წმიდათა მოწამეთა ქუეყანასა ზედა იღუაწეს, • მოითმინნეს ურიცხუნი • მანქანებანი, • აღძრვანი მტერისანი, • სიმძაფრენი[14] სატანჯველთანი, • ცეცხლისა და მახჳლისანი, • და მოიგეს ღმრთისაგან გჳრგჳნი • და აწ ევედრებიან ქრისტესა • ცხორებისათჳს სულთა ჩუენთაჲსა.

წმიდანო, ქუეყანასა ზედა მორწმუნეთა ქრისტესთა • აღაშენნეს ტაძარნი • სადიდებელნი • სიმჴნისა თქუენისანი, • ხოლო უფალმან ცათა შინა • ჴელითუქმნელთა მათ ტაძართა[15] • განბრწყინვებულნი დაგამკჳდრნა თქუენ, • მეოხ-გუეყვენით ქრისტეს მიმართ • ცხორებისათჳს სულთა ჩუენთაჲსა.

მძლედ გამოშჩნდეს ღუაწლსა მტერისასა გჳრგჳნოსანნი • წმიდანი მოწამენი • ქრისტეს მიერ დღეს • მეუფისა ცათაჲსა, • განბრწყინდეს დიდებითა მით საღმრთოჲთა • შემკულნი ყოვლადშუენიერად, • რამეთუ თანაშემწედ აქუნდა მათ • მადლი წმიდისა სამებისაჲ • და მისთჳს[16] დასთხინეს სისხლნი მათნი.

საშინელი და უფრ[17]...

[საშინელი და უფროჲსად დიდებული საიდუმლოჲ – • შემოქმედი ყოველთაჲ, • დაუტევნელი • ცათაჲ და ქუეყანისაჲ, • დატევნულ იქმნა საშოსა შინა • ყოვლადწმიდისა ქალწულისასა • და იშვა მისგან უხილავი ძე ღმრთისაჲ, • რომელსა უღაღადებთ ყოველნი: • სახარულევანო, მეოხ-გუეყავ ჩუენ].

---

1 იქმნეს **IN**. **2** ~ჩუენდა იქმნნეს **Q**. **3** მათ – **Q**. **4** ~და ზეცისა იგი დიდებაჲ **H**. **5** ჩუენთაჲ **IN**. **6** მონათა] მოსავთა **Q**. **7** თანანერ **D**. **8** გექმნნეს **DT**, გექმნეს **INQ**. **9** ძე... **H**. **10** დაუ... **T**. **11** შენსა დაუცხრომელად ... შენ ყოველნი – **H**, ევედრე ძესა შენსა ... შენ ყოველნი – **INPQ**, ღმრთისმშობელო ქალწულო ... შენ ყოველნი – **T**. **12** სხუანი – **QS**. **13** აღვ... **A**, ა... **D**, აღ... **H**, აღვიდეთ – **Q**, აღვი... **S**. **14** სიმძლაფრენი **Q**. **15** ტაძართა] ტალავართა **Q**. **16** მისთჳს] მით **Q**. **17** საშინელი და უფრ... – **DHQST**.

* ამ დასდებლის შემდეგ **Q** ხელნაწერში **(Jer. 131)** შემოკლებულადაა მოცემული მითითება დასდებელზე: ***«გიხაროდენი»***.

სხუანი[1].

რაჟამს შევიდეს • მეუფე დიდებისაჲ • საქორწინესა • ბრძენთა მათ თანა[2] ქალწულთა თქუენ თანა, • წმიდანო მოწამენო, ევედრენით, • რაჲთა განმიღოს ჩუენ • კარი მადლისაჲ • და ღირს-მყვნეს[3] შესლვად • სასუფეველსა.

მეოხ-გუეყვენით, • მოწამენო ნეტარნო, • რაჲთა ვიჯსნნეთ[4] ჩუენ • შეცოდებათა ჩუენთაგან მრავალთა, • რამეთუ მოცემულ არს თქუენდა მადლი • მეოხებად ჩუენდა. • ნუ დამივიწყებთ • წინაშე ღმრთისა • სამგუამოვნისა.

ღუაწლი ძლიერი • მოიღუაწეთ[5], წმიდანო • ქრისტეს მჴედარნო, • რომლისათჳსცა გჳრგჳნი მოიგეთ[6] • მაცხოვრისაგან, ღირსნო მოწამენო, • მეოხ-გუეყვენით ჩუენ, • მოსავთა თქუენთა, • რაჲთა ღირს-ვიქმნეთ[7] სასუფეველსა.

წმიდათა შენთა • თანა, ქრისტე, მიჰმადლე • შესუენებულთა • სულსა მონათა შენთასა განსუენებაჲ, • სადა არა არს შიში, არცა ურვაჲ • შემაწუხებელი, • არამედ შუებაჲ • და სიხარული • სამარადისოჲ.

შენ, სიქადულო[8]***...***

[შენ, სიქადულო • მართლმადიდებლობისაო, • ყოვლადწმიდაო • ღმრთისმშობელო ქალწულო, ნუ დასცხრები • ვედრებად შენგან შობილისა მიმართ, • რაჲთა განვერნეთ ჩუენ • განსაცდელთაგან • ეშმაკისათა, • მოსავნი შენნი].

თეოფანე. *სტიქარონნი[9] ***ღმრთისმშობლისანი***[10]***. გიხაროდენ.***

იხარებდ[11]*, წინაჲსწარმეტყუელთა • ბეჭედო და მოციქულთა ქადაგებაო, • რამეთუ • ღმერთი ჴეშმარიტი ჴორცითა შენგან*[12] *• უფროჲს ბუნებისა • იშვა, უსძლოო, • ქრისტე, • რომლისა მიერ პირველი იგი აჩნაურებაჲ • მოვიღეთ ჩუენ*[13] *• შენ მიერ, ყოვლადდიდებულო*[14]*, • და სამოთხისა • დიდებაჲ და საშუებელი. • ამისთჳს შენ, მომატყუებელსა • ესევითარისასა, • გადიდებთ და მეოხად • შეწყნარებულად გუაქუ*[15]*, ღმრთისმშობელო, • რაჲთა საუკუნესა • ცხორებასა ღირს-ვიქმნეთ*[16] *მიმთხუევად ოხითა შენითა*[17]*.*

იხარებდ[18]*, ცაო სიტყჳერო, • რომელსა ღმერთი ჴორცშესხმული დაემკჳდრა, • ტაკუკო, • მტკრთველო საღმრთოჲსა მის მანანაჲსაო*[19]*, • მზეო ბრწყინვალეო, • მთაო ღმრთისაო • ღირსო, • ტაძარო ვრცელო და ტაბლაო ცხორებისაო, • სასანთლეო • ოქროჲსაო, ნათლითა სავსეო, • და სამოთხეო • და მაყუალო შეუწუველო, • კიდობანო სიწმიდისაო, • კბეო ზეცათაო, • ღრუბელო სულმცირეო, • კუერთხო ძირთაგან იესესთა*[20]*, • ქრისტეს • გამომღებელო*[21] *• ყუავილად*[22]*, რომელსა ევედრე ცხორებად სულთა ჩუენთათჳს**.*

---

1 სხუანი] აქებდითსა **D. 2** თანა – **Q. 3** ღირს-მყუნეს **H. 4** ვიჯსნეთ **ADT. 5** მოიღუაწეთ + თქუენ **PQ. 6** მოიღეთ **P. 7** ღირს-ვიქმნეთ **ADQT. 8** შენ, სიქადულო... – **DPQ**, სიქადუ... **T 9** სტიქარონნი] აღვივსე... **N**, სტიქარონნი – **Q. 10** სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი] პარასკევსა მწუხრი **BFH**, ღმრთისმშობლისანი – **N. 11** იხარებდ] გიხაროდენ **B. 12** შენგან] შენ მიერ **FINQU. 13** ჩუენ + და **B. 14** ყოვლადდიდებულისა **B. 15** გუაქუს **F. 16** ღირს-ვიქმნეთ **IN. 17** ოხითა შენითა] ძისა შენისა მიერ **B. 18** იხარებდ] გიხაროდენ **B. 19** მანანაჲსო **IN. 20** ძირთაგან იესესთა] იესეს ძირისაო **B. 21** გამომღებელო] აღმომაცენებელო **B. 22** ყუავილად – **B.**

* პირველი გვერდითი ხმის შაბათის ***«სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი»*** შემდეგ ხელნაწერებში გვხვდება: **B (A 93), F (Jer. 123), H (Sin. 67), I (Ath. 44), N (Ath. 26), Q (Jer. 131), U (Jer. 41).**

** **N** ხელნაწერში **(Ath. 26)** ამ ადგილას შემდეგი მითითებაა: ***«წმიდათაჲ თქჳ».***

დაჰვსენ სალმობაჲ ესე[1] ჩემი, • რომელი შემწუავს[2] სასტიკად[3], მონასა[4] შენსა, • მხოლოო • მშობელო ქრისტეს[5] ღმრთისაო, რომელმან დაჰვსნნა • ცოდვისა საკრველნი; • და ვნებათა მათ • ჩემთა • სენნი[6] ბოროტნი[7] აღმისუბუქენ[8], დედოფალო, • და წყლულებაჲ • ჩემი მოწყალებით განკურნე[9] • და დააყუდენ • სულთქუმათა ჩემთა ოხრანი • და[10] დაშრიტე ცუარითა შენითა • საკუმილი საშინელი, • რომელი-იგი განჰლევს • უწყალოდ სულსა და ჯორცთა ჩემთა, • ღირსო • ღმრთისა დედაო, • რომელი მოანიჭებ[11] სოფელსა დიდსა წყალობასა.

---

1 ესე – **B. 2** შესწუავს **F**, შემწუავს + მე **U. 3** სასტიკად] და განმლევს მე **B. 4** მონასა + ამას **B. 5** ქრისტეს – **B. 6** სენი **B. 7** ბოროტი **B. 8** აღმისუბუქე **B. 9** განჰკურნე **INQ. 10** და – **B. 11** მოანიჭებს **IN.**

***დასდებელნი აღდგომისანი[1]. უფალო-ღაღადყავსა[2]. ჰმაწ ბ გუერდი.**

რომელმან[3] სიბრძნით მოდრიკნა ცანი • და სიმდაბლით ქუეყანად მოვიდა ცხორებად კაცთა[4], • რაჲთა ადამ აღადგინოს • დაცემისაგან, მას ვადიდებდეთ.

****X**უარითა შენითა, ქრისტე, ვიქადით • და აღდგომასა შენსა უგალობთ და ვადიდებთ დღეს, • რამეთუ შენსა გარეშე • სხუაჲ ღმერთი ჩუენ არავინ[5] ვიცით.

ვადიდებთ მარადის ღმერთსა ჩუენსა • და აღდგომასა მისსა უგალობთ ჩუენ ყოველნი[6], • რამეთუ ჯუარცუმაჲ თავს-იდვა • და სიკუდილი ღმრთეებრ დათრგუნა.

რომელი ნებსით თჳსით ჯუარს-ეცუ[7] ჩუენთჳს • და მესამესა დღესა აღდეგ საფლავისაგან, • ყოვლისაშემძლებელო • მჴსნელო ჩუენო, დიდებაჲ შენდა.

ბიხაროდენ, ქალწულო უბიწოო; • გიხაროდენ, ტაკუკო ოქროჲსაო; გიხაროდენ, შენ, • მეუფისა დამტევნელო; • გიხაროდენ, მაღლისა საყდარო[8].

სხუანი. *შენ, რომელი გარდა[9]...*

[შენ, რომელი • გარდამოჰჯედ ქუეყანად, • მამისაგან შობილი, • ძალთაგან უხილავი, • კაცთა შორის იქცეოდე, • განკურნენ უძლურებანი • მვედრებელთა შენთანი, რომელნი • მარადის გადიდებენ შენ].

შენ, რომელი • ჯუარსა ზედა აჰმაღლდი • შორის ავაზაკთაჲსა, • განიგუმირე ლახურითა, • ცხორებისმომცემელო[10], • რაჲთა ჴელისწერილი[11] იგი • ცოდვისა ჩუენისაჲ განაქარვო • მოწყალებითა შენითა.

შენ დაიდევ • მკუდართაებრ[12] სამარესა, • სულგრძელ დიდადმოწყალე, • ხოლო ჯოჯოხეთს[13] მყოფნი • შენ თანა აღმოიყვანენ[14], • რაჟამს აღდეგ ჴელმწიფებითა • ღმრთეებისა[15] შენისაჲთა, ქრისტე, • ჩუენ ყოველთა მეუფეო.

---

1 დასდებელნი აღდგომისანი] დღე წმიდაჲ კჳრიაკე, აღდგომაჲ ქრისტესი **P. 2** უფალო-ღაღადყავსა – **ADST. 3** რომელმანცა **H. 4** კაცთაჲ **H. 5** არაჲვინ **ADPT**, არავინ] არა **S. 6** ყოველნი] მორწმუნენი **T. 7** ჯუარს-ეცჳ **S. 8** უბიწოო, გიხაროდენ ... მაღლისა საყდარო – **H. 9** გარდ... **P**, გარდა... – **Q**, გარდამო... **S**, გარ... **T. 10** ცხორებისა მომცემელო **S. 11** ჴელითწერილი **HPQT. 12** მკუდართაებრ **T. 13** ჯოჯოხეთისა **Q. 14** აღმოიყვანენ] აღადგინენ **S. 15** ღმრთეებისაჲ **H**

* ***«დასდებელნი აღდგომისანი»*** შვიდი წყვილი ***«უფალო-ღაღადყავსა» («რომელმან სიბრძნით»; «შენ, რომელი გარდა...»; «უფალო, საჴსენებელ...»; «მძლე-ექმენ შენ, ქრისტე»; «ანგელოზთა მჴედრობაჲ», «უბიწოო, ღმრთის...», «ყოველი სასოებაჲ»)*** წარმოადგენს **Ath. 45**-ის მასალას. შვიდივე წყვილი მხოლოდ **D** ხელნაწერში **(Ath. 24)** მეორდება.

H (Sin. 67) და **S (Jer. 63)** ხელნაწერს აკლია სამი წყვილი – ***«მძლე-ექმენ შენ, ქრისტე», «ანგელოზთა მჴედრობაჲ»*** და ***«უბიწოო, ღმრთის...».***

P ხელნაწერში (სვან. 3) სამი წყვილია მოცემული – ***«რომელმან სიბრძნით», «შენ, რომელი გარდა...»*** და ***«უფალო, საჴსენებელ...».***

Q ხელნაწერს **(Jer. 131)** აკლია სამი წყვილი – ***«რომელმან სიბრძნით», «მძლე-ექმენ შენ, ქრისტე»*** და ***«ყოველი სასოებაჲ».***

T ხელნაწერს **(Jer. 86)** აკლია ერთი წყვილი – ***«მძლე-ექმენ შენ, ქრისტე».***

** დასდებლები ***„ჯუარითა შენითა, ქრისტე“*** და ***„ვადიდებთ მარადის“*** ჰგავს კვირადღის თვითავაჯებს (იხ. წინამდებარე გამოცემა, გვ. 47). აღსანიშნავია, რომ **Q** ხელნაწერში **(Jer. 131)** საგალობელი ***«გიხაროდენ, ქალწულო უბიწოო»*** კვირადღის თვითავაჯი დასდებლების მეორე წყვილის ღვთისმშობლის დასდებლადაა მოცემული.

დედანი იგი, • რომელნი ჰმსახურებდეს • პირველ ჯუარცუმისა მჯსნელსა, • მსთუად მოვიდეს საფლავად • ნელსაცხებლითა სურნელითა[1] • და შიშისათჯს ჰურიათაჲსა[2] • უზრუნველ იქმნნეს[3] და ეძიებდეს • აღდგომილსა მეუფესა.

ანგელოზმან • საფლავით გამო ჯმა-ყო, • დედათა მათ ეტყოდა: • რაჲსათჯს მგლოვარე[4] ხართ, • სანატრელნო, მჯსნელისათჯს? • რამეთუ აღდგომილ არს მკუდრეთით • და აღვალს ზეცას[5] მამისა თანა • ცხორებად მორწმუნეთა.

ღ მრთისმშობელო[6]...

[ღმრთისმშობელო, • დედაო მჯსნელისაო, • სანატრელო მარიამ, • რომელმან ჰშევ უფალი • და დაადგერ ქალწულადვე, • განკურნენ უძლურებანი • მორწმუნეთა შენთანი, რომელნი • მარადის გადიდებენ შენ].

ს ხ უ ა ნ ი. *უ ფ ა ლ ო, ა ჯ ს ე ნ ე ბ ე ლ[7]...*

[უფალო, საჯსენებელსა მოწამეთასა • ყოველივე დაბადებული • დღესასწაულობენ, ცანი და ანგელოზნი • და ქუეყანაჲ იხარებს • კაცთა თანა დღეს, • მათითა მეოხებითა • შეგჯწყალენ ჩუენ].

შფალო, ზეცით ქუეყანად გარდამოჰჯედ • და ქალწულისაგან ჯორცნი შეიმოსენ, • ვნებაჲ ნებსით ჯუარსა ზედა თავს-იდევ • დაბადებულთა ჯსნისათჯს, • ყოვლადძლიერო, • მიჯსნენ ჩუენ ხრწნილებისაგან • და მაცხოვნენ ჩუენ[8].

შფალო, საფლავსა დაიდევ[9] ჯორცითა • და დაგბეჭდეს შენ ჰურიათა, • ხოლო ღმრთეებით შთაჰჯედ ჯოჯოხეთად • და შეყენებულნი სულნი • აღმოიყვანენ • ძალითა აღდგომისაჲთა[10] • და მაცხოვნენ ჩუენ.

შფალო, ცისკარსა მას ერთშაბათისასა • დედათა მოსრულთა[11] საფლავად • ხარებაჲ მიჰმადლე ანგელოზისა მიერ • და მათ ახარეს მოციქულთა • შეურვებულთა: • აღდგა ცხორებისმომცემელი • და ცხოვნდა[12] სოფელი[13].

შფალო, რაჟამს აღდეგ საფლავისაგან[14], • ეჩუენე მოწაფეთა შენთა, • დამალულთა შიშისათჯს ჰურიათაჲსა[15] • ეტყოდე[16]: გიხაროდენ, • მე ვსძლე სიკუდილსა. • წარვედით თქუენ გალილეას • და მუნ მიხილოთ[17] მე[18].

შფალო, მთისაგან ზეთისხილთაჲსა • აღმავალსა ზეცად გხედვიდეს • სანატრელნი იგი მოწაფენი შენნი • და ღრუბელმან ნათლისამან • შეგიწყნარა შენ, • რომელსა ყოველი სული გაქებს, • შეგჯწყალენ ჩუენ[19].

---

1 სულნელითა **HQS**. **2** ჰურიათასა **S**. **3** იქმნეს **H**. **4** მგლოვარე] მწუხარე **H**, მდგომარე **S**. **5** ზეცას – **H**. **6** ღმრთისმშობელო... – **DPQST**. **7** საჯსენე... **DH**, უფალო, საჯსენებლ... – **PQ**, საჯსენ... **S**, საჯსე... **T**. **8** ქუეყანად გარდამოჰჯედ ... და მაცხოვნენ ჩუენ – **Q**. **9** დაადევ **A**. **10** აღდგომისაჲთა] ღმრთეებისაჲთა **T**. **11** მოსრულთა] აღმოსრულთა **Q**. **12** ცხონდა **P**, ცხოვნდა] აცხოვნა **QT**. **13** ცხოვნდა სოფელი] გუაცხოვნნა ჩუენ **H**. **14** საფლავისაგან + და **T**. **15** ჰურიათაჲსა + და **H**. **16** ეტყოდა **D**. **17** მიხილონ **H**. **18** უფალო, რაჟამს ... მიხილოთ მე – **S**. **19** უფალო, მთისაგან ... შეგჯწყალენ ჩუენ – **HPQS**.

უფალო, მთისაგან[1]...

[უფალო, მთისაგან წმიდისა, ქალწულისა, • ლოდი საკიდური უჯელოდ • გამოეკუეთე უზეშთაეს ცნობისა, • ხოლო მთაჲ იგი წმიდაჲ, • რომელი გთნდა შენ, • მას ღმრთისმშობელად აღვიარებთ, • სასოსა ჩუენსა].

ხხშანი.

მძლე-ექმენ შენ, ქრისტე, • ქუესკნელს ჯოჯოხეთსა, რაჟამს ჯუარს-ეცუ გოლგოთას, • რაჲთა მსხდომარენი ბნელსა აღმოიყვანნე • ვნებითა შენითა ჩუენთჳს, • აღდგომაო მკუდართაო • და მჴსნელო ყოველთაო, რომელნი გესავთ შენ, • კაცთმოყუარეო ღმერთო, • შეგჳწყალენ ჩუენ.

ზღეს მოკლა ქრისტემან • სიკუდილი და აღდგა, • ვითარცა თქუა, და მოსცა • კაცთა სიხარული, • რომელნი ადიდებენ • და იტყჳან: დიდებაჲ შენდა, • მხოლოო ღმერთო ჩუენო, • დაუსაბამოო და გამოუკულეველო • და მრავალმოწყალეო, • შეგჳწყალენ ჩუენ.

იხარებს დღეს გუნდი • მთავარანგელოზთაჲ • ცათა შინა და იშუებს • კაცთა ნათესავი • აღდგომასა ქრისტესსა • მესამესა დღესა მკუდრეთით, • რომელმან განაქარვა • საცთური მტერისაჲ და მიჴსნნა ჩუენ ყოველნი • ღმრთეებისა ძალითა • და მაცხოვნნა ჩუენ.

მოეც, ქრისტე, ძლევაჲ • მეფესა მორწმუნესა • მტერთა მიმართ უღმრთოთა • და ურწმუნოთა, მჴსნელო, • მშობელისა შენისა • ყოვლადწმიდისა ოხითა, • ყოვლადძლიერო ღმერთო, • და დააფუძნე მტკიცედ წმიდაჲ ეკლესიაჲ, • რაჲთა მას შინა ქებით • გადიდებდეთ შენ.

ხხშანი.

ანგელოზთა მჴედრობაჲ ზარგანჴდილ იქმნა დღეს, • იხილეს რაჲ ყოველთა უფალი, • განკითხვად მიმავალი • და შეკრული უშჯულოთა ჴელითა, • რომელმან განჰჴსნნა[2] საკრველნი • და აცხოვნნა მან სულნი ჩუენნი.

მზე დაბნელდა ჯუარცუმასა შემოქმედისასა • და დაფლვასა მისსა განბრწყინდა • სიბნელე ქუესკნელისაჲ, • და განაღჳძნა დაძინებულნი • დასაბამითგანნი მკუდარნი • უფალმან საუკუნეთამან.

პირველ მცველთა ქადაგეს აღდგომაჲ ქრისტესი, • ხოლო კრებულმან მოშურნეთამან • დააღუმნა ქრთამითა, • არამედ ვერაჲ შემძლებელ-იქმნნეს[3] • აღდგომისა სიხარულსა • დაფარვად უმადლონი იგი.

ცეცხლისფერი ელვარე ხატი უსხეულოჲ • მცველთა მათ ქრისტეს საფლავისათა • შესწუვიდა საშინელად, • ხოლო ცისკარსა მსთუად მიმავალთა • ნუგეშინისცემაჲ მისცა • და აღავსნა სიხარულითა.

ელვარებამან დასცნა ანგელოზისამან • მცველნი, რომელნი განკრძალულად სცვიდეს • საფლავსა მაცხოვრისასა, • ხოლო მგლოვარეთა მათ დედათა • მიაგება სიხარული • აღდგომისათჳს მაცხოვრისა[4].

---

1 მთისაგ... **D**, უფალო, მთისაგან... – **QST**, მთისაგან + წმიდისა **P**. **2** განჴსნნა **T**. **3** შემძლებელ-იქმნეს **T**. **4** მაცხოვარისა **T**.

ამაღლდა უზეშთაეს ცნობისა ჩუენისა, • უაღრესო[1] დაბადებულთაო, • ქალწულო უბიწოო, • ქებით შესხმაჲ შენი[2] ჯერისაებრ, • არამედ მსგავსად ძალისა • გიგალობთ, ყოვლადუბიწოო.

სხუანი. უბიწოო ღმრთოის[3]...

[უბიწოო ღმრთისმშობელო, • ნუსადა განმიშორებ • მვედრებელთა შენდამი, • არამედ შენ მეოხ-გუეყავ • ძისა შენისა მიმართ, • რაჲთა მიჯსნნეს მტერთაგან და მაცხოვნნეს ჩუენ].

იხარებდინ დღეს სიონი • შვილთა თანა ქებითა, • ერთბამად განსცხრებოდენ • აღდგომასა ქრისტესსა, • რამეთუ წარმოტყუენა[4] • ძალი ჯოჯოხეთისაჲ და მაცხოვნა ჩუენ.

ცისკარსა მოვიდეს დედანი • ძიებად მეუფისა, • სურნელითა[5] შემურვად • საღმრთოთა უფლისა ჯორცთა, • იხილეს აღებული • ლოდი იგი[6] და აღდგომილი საფლავით ქრისტე.

ჰრქუა დედათა ანგელოზმან: • ნუღარა მგლოვარე ხართ • მოძღურისა თქუენისათჳს, • რამეთუ აღდგომილ არს • საფლავით, ვითარცა თქუა, • და ღმრთეებით აღვალს ზეცად მამისა თანა.

სხუანი. ყოველი სასოებაჲ[7]...

[ყოველი სასოებაჲ • მათი დადვეს ცათა შინა, • საუნჯე წარუვალი • თავთა თჳსთა მოუგეს • ღირსთა წმიდათა, • უფასოდ მიიღეს, • უქრთამოდ მისცემდეს • ლხინებასა • სალმობათასა, • ოქროჲ გინა ვეცხლი • მცნებისა მისებრ არაჲ მიიღეს, • ხოლო კაცთა და პირუტყუთა • მსრწაფლ კურნებასა • მიანიჭებდეს, • რომლითა ყოვლადვე, ვითარცა მოღუაწენი ქრისტესნი, • კადნიერად მეოხ-არიან • ცხორებად სულთა ჩუენთათჳს].

დასაბამად ქმნა ღმერთმან • ყოველნი ესე ხილულნი: • ცანი სამკაულითა, • ქუეყანაჲ, ზღუაჲ ვრცელი • ყოვლით ძალითურთ – • და განუწესა მათ • წესი და საზღვარი, • და უქცეველად • შიშით ჰმონებენ; • და კუალად, ჯელითა • თჳსითა შექმნა მიწით მეტყუელი • და მისცა მას ჯელმწიფებაჲ • ყოველთა ზედა • ქუეყანისათა, • არამედ მასვე ჟამსა იძლია მაცთურისა სმენითა • და ღმრთისა ურჩებითა • და მოკუდა საწყალობელად[8].

იხილა რაჲ ქრისტემან • მომწყდარი ადამ შვილითურთ, • აღძრა მოწყალებამან • სიტკბოებისამან[9] – • მამისა მიერ • და ცანი ცათანი • ბრძანებით მოდრიკნა, • და გარდამოჯდა • ქუეყანად ღმერთი, • და ქალწულისაგან • იშვა ჯორცითა, ვითარცა კაცი, • და კაცთაებრ აღიზარდა • მზრდელი ყოვლისა • ჯორციელისაჲ. • ხოლო დრკუთა მათ ჰურიათა, ნებსით თავსდებითა მისითა, • ჯუარსა ზედა დამოჰკიდეს[10] • ანგელოზთა მეუფე.

ძლევისა საჭურველად • მომეც, ქრისტე, ჯუარი შენი • ბარბაროზთა წყობასა, • რომლითა[11] დასთრგუნე • ძალი მტერისაჲ • და ჯოჯოხეთისა • მოქლონნი[12] შეჰმუსრენ • და სოფელი • განანათლე შენ. • ამისთჳს ყოვლადვე • თაყუანის-ვსცემთ მას ჩუენ,

---

1 უვაღრესო Q. **2** შენი] ჩუენი Q. **3** ღმრთისმშო... D, ღმრთის... – Q. **4** წარმოიტყუენა Q. **5** სულნელითა Q. **6** იგი – T. **7** ყოველი სასოებაჲ + მათი T. **8** დასაბამად ქმნნა ... მოკუდა საწყალობელად – HST. **9** ~სიტკბოებამან მოწყალებისამან S. **10** დამოგკიდეს T. **11** რომლითა] რომელი S. **12** მოქლოლნი T.

მორწმუნენი, • გამოჯსნილნი სისხლითა მით, • რომელ[1] მას ზედა • გარდამოეცა, • რომლითა მაცხოვნენ მადიდებელნი შენნი და მგალობელნი • და ჯუარცუმისა და დაფლვისა • ძრწოლით თაყუანისმცემელნი.

*ჯუარცუმაჲ შენი ღაღად-ყო[2] • უშჯულოთა კრებულმან • და გოლგოთას აჰმართეს[3] • ძელი იგი[4] ჯუარისაჲ • და ავაზაკთა • შორის ჯუარს-გაცუეს შენ • ჯორციელად, მჯსნელო, • და ვითარცა • მკუდარი, დაგდვეს შენ • ახალსა საფლავსა[5], • მიუაჩრდილებელი[6] ნათელი, • და[7] მკუდართა თანა შეირაცხე. • არამედ აღდეგ • ღმრთეებრ ბრწყინვალე • და ხრწნილებაჲ იგი ძეთა კაცთაჲ უხრწნელებად გარდასცვალე • და განღმრთობილი აღამაღლე • ზეცად მამისა თანა.

ჲრსთა დამბადებელი, • მფლობელი საუკუნეთაჲ, • ჯორციელად მოსრული, • ძელსა ზედა ჯუარს-აცუეს • ძჯრისმოქმედებრ • ბილწთა ჰურიათა • ავაზაკთა შორის. • ხოლო მზემან • ბნელი შთაიცუა • და ზეცისა წესნი • განჰკრთეს უცხოჲსა მისთჯს ხილვისა, • რამეთუ მანანაჲსა წილ • ძმარსა ასუმიდეს • მედგარნი იგი • და ღრუბლისა წილ ნათლისა საფლავსა დადვეს და სამდღე სცვიდეს • გარეშეუწერელსა ღმერთსა • და გარეშეუცავსა.

მჯურვალედ სურვილითა • დედანი გეძიებდეს შენ • სურნელითა[8] შემურვად, • ქრისტე ყოვლადძლიერო • და სახიერო, • და რაჟამს მოვიდეს • საღმრთოსა საფლავსა, • ანგელოზთა • ხარებაჲ ესმა, • რომელნი ეტყოდეს[9]: • რად ეძიებთ მჯსნელსა მკუდართა თანა? • რომელი-იგი უკუდავ არს • და მჯსნელ მოკუდავთა[10] • და განწირულთა, • არამედ მსწრაფლ წარვედით და უთხართ მოციქულთა აღდგომაჲ მისი, • რაჲთა წარვიდენ გალილეას • და მუნ იხილონ იგი.

ორნი ერისმთავარნი, • ელვისსახედ მნათობნი, • სპეტაკითა მოსილნი, • საღმრთოსა მას შინა • საპყრობილესა • ეჩუენნეს დედათა • და ესრეთ ეტყოდეს: • ნუ განჰკრთებით • ხილვასა ჩუენსა, • შიში განიშორეთ! • რამეთუ აღდგა ქრისტე მეუფე, • იხილეთ ადგილი მისი • და მოციქულთა • სწრაფით ახარეთ, • რაჲთა წარვიდენ გალილეას და მუნ იხილონ აღდგომილი • მკუდრეთით, რომელმან დათრგუნა • სიკუდილისა მძლავრებაჲ[11].

---

1 რომელი **HS**. **2** ღაღატ-ყო **AD**. **3** აღჰმართეს **T**. **4** იგი – **HT**. **5** ~საფლავსა ახალსა **H**. **6** მიუაჩრდილებელი] მიურულებელი **T**. **7** და – **HT**. **8** სულნელითა **H**. **9** ეტყოდე **T**. **10** მოკუდავთა] მკუდართა **T**. **11** ორნი ერისმთავარნი ... სიკუდილისა მძლავრებაჲ – **H**

* **S** ხელნაწერში **(Jer. 63)** ბოლო ოთხი დასდებელი არ გვხვდება.

***დასდებელნი აღდგომისანი. უფალო-ღაღადყავსა[1]. ჰმაჲ[2] ბ გუერდი.**

ძლევაჲ გაქუნდა, ქრისტე, • ქუესკნელს ჯოჯოხეთისაჲ • და ჯუარსა ზედა აჰმაღლდი, • რაჲთა ბნელსა სიკუდილისასა მსხდომარენი • შენ თანა აღადგინნე, • მკუდართა თანა თავისუფალმან, • რომელი მოგუფენ ცხორებასა თჳსისაგან ნათლისა, • ყოველადძლიერო მაცხოვარ, შეგჳწყალენ ჩუენ.

დღეს ქრისტემან სიკუდილი დათრგუნა • და, ვითარცა თქუა, აღდგა • და სიხარული სოფელსა[3] მოანიჭა, • რაჲთა ყოველნი ვადიდებდეთ • და ესრეთ უღაღადებდეთ[4]: • წყაროო ცხორებისაო, ნათელო შეუხებელო, • ყოველადძლიერო მაცხოვარ, შეგჳწყალენ ჩუენ.

***შენ, უფალო, რომელი-ეგე ხარ • ყოველთა შინა დაბადებულთა, • ცოდვილნი ესე ვიდრემე ვივლტოდეთ[5]? – • ცათა შინა? შენ დამკვდრებულ ხარ! – • ჯოჯოხეთს შინა? დასთრგუნე სიკუდილი! – • სიღრმეთა შინა ზღუასთა? • მუნცა ჴელი შენი მეუფებს. შენდა მომართ მოვივლტით[6], • შენ შეგივრდებით და გევედრებით[7]: • რომელი აღდეგ მკუდრეთით, შეგჳწყალენ ჩუენ!*

[სხუანი].

****ჯუარითა შენითა, ქრისტე[8], ვიქადით • და აღდგომასა შენსა უგალობთ და ვადიდებთ, • რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩუენი[9] • და შენსა გარეშე სხუაჲ არავინ[10] ვიცით.*

მარადის ვაკურთხევდეთ ქრისტესა • და აღდგომასა მისსა უგალობდეთ, • რამეთუ ჯუარცუმაჲ თავს-იდვა • და სიკუდილითა სიკუდილი დაჰჴსნა.

დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო, • რამეთუ დასთრგუნე, რომელსა-იგი აქუნდა სიმტკიცე სიკუდილისაჲ, • და განმაახლენ ჩუენ ჯუარისა მიერ შენისა • და მომანიჭე ჩუენ ცხორებაჲ და უხრწნელებაჲ.

---

1 უფალო-ღაღადყავსა – **DFIKN**, დასდებელნი აღდგომისანი] დღესა კჳრიაკესა დასდებელნი აღდგომისანი **U. 2** ჰმაჲ – **M. 3** ~სოფელსა სიხარული **FKN. 4** უღაღადებდეთ] უგალობდეთ **FMN. 5** ვივლტოდეთ] ვივლტოდით **FK**, მივივლტოდეთ **M. 6** შენდა მომართ მოვივლტით – **K. 7** ~გევედრებით და შეგივრდებით **M. 8** ქრისტე + მაცხოვარ **K. 9** ჩუენი] ჩემი **N. 10** არაჲვინ **Q.**

* ***«დასდებელნი აღდგომისანი»*** ორი წყვილი ***«უფალო-ღაღადყავსა»*** შემდეგ ხელნაწერებში გვხვდება: **D (Ath. 24), F (Jer. 123), I (Ath. 44), K (Sin. 69), M (Sin. 77), N (Ath. 26), Q (Jer. 131), U (Jer. 41).**

S ხელნაწერში **(Jer. 63)** მხოლოდ პირველი წყვილია მოცემული და ის განსხვავებული რედაქციისაა. ეს წყვილი მოცემულია ძლისპირზე ***«დაიძინა».***

ორივე წყვილში წარმოდგენილი დასდებლები **D (Ath. 24), I (Ath. 44)** და **U (Jer. 41)** ხელნაწერში განსხვავებული რედაქციისაა. **Q** ხელნაწერში **(Jer. 131)** დასდებლები ***«ძლევაჲ გაქუნდა», «დღეს ქრისტემან», «შენ, უფალო, რომელი-ეგე ხარ», «მარადის ვაკურთხევდეთ»*** და ***«დიდებაჲ ძალსა შენსა»*** განსხვავებული რედაქციისაა. დასდებელი ***«ძლევაჲ გაქუნდა»*** ამგვარად იწყება: ***«ქუესკნელს ჯოჯოხეთისაჲ»,*** დასდებელი ***«შენ, უფალო, რომელი-ეგე ხარ»*** ამგვარად – ***«შენ, ქრისტე, რომელი-ეგე ხარ»,*** ხოლო დასდებელი ***«დიდებაჲ ძალსა შენსა»*** ამგვარად – ***«დიდებაჲ შენდა, ქრისტე».***

** **F** ხელნაწერი **(Jer. 123)** დაზიანებულია და ტექსტი ცუდად იკითხება.

*** წინამდებარე ოთხი დასდებელი **I** ხელნაწერში **(Ath. 44)** მოცემულია ძლისპირზე ***«ჯუარითა შენი...»,*** ხოლო **U** ხელნაწერში **(Jer. 41)** – ძლისპირზე ***«რომელმან სიბრ...».*** **D** ხელნაწერში **(Ath. 24)** დასდებელი ***«ჯუარითა შენითა, ქრისტე»*** შემოკლებულადაა მოცემული.

დაფლვამან შენმან, მეუფეო, • საკრველნი ჯოჯოხეთისანი შემუსრნა და განხეთქნა • და მკუდრეთით აღდგომამან შენმან • სოფელი განანათლა, • კაცთმოყუარე[1], დიდებაჲ შენდა[2].

დიდებაჲ[3]. [აწ და].

**ვინ არაჲ განატრიდეს შენ, ყოვლადწმიდაო ქალწულო? • ვინ არაჲ უგალობდეს • უხრწნელსა შობასა შენსა? • რამეთუ[4] რომელი-იგი უჟამოდ მამისაგან • გამობრწყინდა, ძე მხოლოდშობილი, • იგივე შენგან უბიწოჲსა[5] გამოვიდა • გამოუთქუმელად ჴორცშესხმული. • ღმერთი იყო ბუნებით • და ჩუენთჳს კაც-იქმნა ბუნებით[6], • არაჲ ორებად პირთაჲსა განიკუეთა, • არამედ ორითა ბუნებითა • შეურევნელად საცნაურ-იქმნა. • მას ევედრე, პატიოსანო და ყოვლადსანატრელო, • ცხორებისათჳს სულთა ჩუენთაჲსა[7].*

****დღე ორშაბათი[8]. წმიდათა მთავარანგელოზთაჲ. უფალო-ღაღადყავსა[9]. ჰმაჲ ბ გუერდი[10]. ***ყოველი სასოებაჲ[11]...**

****პირველ დაბადებისა • ყოველთა დაბადებულთაჲსა • დამბადებელმან ღმერთმან • დაჰბადნა ანგელოზნი • ალად ცეცხლისა, • უსხეულოდ ხატად, • მნათობად ბრწყინვალედ, • გონიერად, • სულად მეტყუელად • და გარემოჲს დგანან • საყდართა[12] მისთა თუალთშეუდგამთა, • მარადის ადიდებენ • და ჴმითა ტკბილითა • უგალობენ მას. • ამათ ვევედრნეთ, რაჲთა მეოხებითა მათითა • მათ თანა ღირს-მყვნეს[13] ქრისტემან • მადიდებელად თჳსად[14].

ყოვლადშეუძლებელ არს • უხილავთა მნათობთა, • თქუენ, უნივთოთა ხატთაჲ[15] • ნივთიერითა ენითა • ჯეროვნად შესხმაჲ, • წინაშე მდგომელნო • გამოუთქუმელსა მას

---

1 კაცთმოყუარე – **Q. 2** დაფლვამან შენმან ... დიდებაჲ შენდა – **N. 3** დიდებაჲ – **F,** დიდებაჲ] დიდებასა ზედა **SU. 4** რამეთუ – **K. 5** უბიწოდ **F. 6** ბუნებით] წყალობით **FN. 7** ცხორებისათჳს სულთა ჩუენთაჲსა] სულთა ჩუენთათჳს **K. 8** ორშაბათი + სინანულისაჲ და **QU. 9** უფალო-ღაღადყავსა – **ADHINPQS. 10** ჰმაჲ ბ გუერდი – **IQT. 11** სასოებაჲ + მ... **H. 12** საყდარ **H. 13** ღირს-მყუნეს **H. 14** თჳსა **HT,** პირველ დაბადებისა ... მადიდებებლად თჳსად – **Q. 15** ხატთა **DSU.**

* **F** ხელნაწერი **(Jer. 123)** ძალზე დაზიანებულია და, რიგ შემთხვევებში, ტექსტი შევსებულია გვიანდელი ხელით. **M (Sin. 77)** და **S (Jer. 63)** ხელნაწერში ღვთისმშობლის დასდებელი ***«ვინ არაჲ განატრიდეს»*** განსხვავებული რედაქციისაა.

წინამდებარე დასდებელი **Q** ხელნაწერში **(Jer. 131)** ოთხშაბათ დღეს გვხვდება **(74r)** და ის განსხვავებული რედაქციისაა. **I (Ath. 44)** და **U (Jer. 41)** ხელნაწერში ეს დასდებელი მოცემულია ძლისპირზე ***«კაცთათჳს».***

** ***«დღე ორშაბათი. წმიდათა მთავარანგელოზთაჲ»*** სამი **წყვილი *«უფალო-ღაღადყავსა» («ყოველი სასოებაჲ»; «უფალო, საჴსენებელსა»)*** წარმოადგენს **Ath. 45**-ის მასალას. სამივე წყვილი შემდეგ ხელნაწერებში მეორდება: **D (Ath. 24), H (Sin. 67), P** (სვან. 3), **Q (Jer. 131), S (Jer. 63), T (Jer. 86).** ანდერძის თანახმად, ორშაბათის დასდებლები სამ წყვილად იყოფა: **„დღე ორშაბათი: სამი წყვილი უფალო-ღაღადყავსა“** (ჰიმნოგრაფიული კრებული 2020, I: 28). საერთო ძლისპირის გამო, პირველი და მეორე წყვილი ყველა ნუსხაში გაერთიანებულია.

I (Ath. 44), N (Ath. 26) და **U (Jer. 41)** ხელნაწერს აკლია ერთი წყვილი – ***«უფალო, საჴსენებელსა».***

N ხელნაწერში **(Ath. 26)** აშიაზე მინაწერია: ***«კჳრიაკესა მწუხრი».***

*** წყვილს ***«ყოველი სასოებაჲ»*** **Q** ხელნაწერში **(Jer. 131)** უძღვის შემდეგი სათაური: ***«მეცისა ძალთაჲ»,*** **U** ხელნაწერში **(Jer. 41)** – ***«მთავარანგელოზთაჲ».***

**** **U** ხელნაწერს **(Jer. 41)** პირველი ხუთი დასდებელი აკლია.

• ღმრთეებისა • ბრწყინვალებასა. • არამედ მიიღეთ • ჩუენ, უღირსთაგან[1], უმსგავსი[2] ქებაჲ, • მიქაელ და გაბრიელ, • და გჳთხოვეთ ჩუენ • მადლი ღმრთისაგან • და გონებაჲ ყოვლადვე კეთილად განმგონებელი, • რაჲთა თქუენ თანა[3] ვადიდებდეთ[4] • სამებასა წმიდასა.

ზიდთა ამათ[5] მნათობთა, • საცნაურად ბრწყინვალეთა, • ზეცისა ერისთავთა, • აღმასრულებელთა • წამისყოფითა • ღმრთისა ბრძანებათა, • რომელნი ღირსებით • ნათელსა მისსა • ხედვენ მარადის, • მიქაელს და გაბრიელს • პატივ-ვსცემდეთ[6] ჩუენ, ძენი კაცთანი, • რომელთა აქუს ჴელმწიფებაჲ • სულთაჲ[7] ჯორცთაგან • მიცვალებისაჲ. • ამათ ვევედრებოდით[8], რაჲთა მეოხებითა მათითა • სულნი ჩუენნი ღირს-ყვნეს[9] ქრისტემან • ზეცისა სასუფეველსა.

*__რ__ომელი მჯდომარე ხარ • ქერობინთა ეტლთა ზედა • და გარემოგადგან შენ • ანგელოზთა ერნი • და სერაბინნი • ძლევით გიგალობენ • სამწმიდითა ჴმითა • და გაქებენ • დაუცხრომელად • სამებასა ღმერთსა, • სამგუამოვნად ცნობილსა ყოველთა • მიერ დაბადებულთა • შენთა, რომელნი • მგალობლად[10] შენდა • ზეცისა უჯორცოთა ძალთა თანა შეგუაერთენ, სახიერ, • და[11] მათითა მეოხებითა • გჳჴსნენ მონანი შენნი.

რომელი უხილავ ხარ • ზეცისა უჯორცოთაგან • და ყოვლად თუალთშეუდგამ • სერაბინთა[12] მიერ[13] • და ქერობინთა[14], • მოწყალებით მოხუედ • ქუეყანად, სახიერ, • და სიმდაბლით • განჰჯორციელდი • საშოსა წმიდისა[15] • ქალწულისასა, რომელსა-იგი • გაბრიელ მთავარანგელოზმან[16] • ხარებაჲ შენგან • მიუძღუანა მას. • მისითა მეოხებითა შეგჳწყალენ უღირსნი ესე • და მიჴსნენ სატანჯველთა[17] მათგან[18] • საუკუნეთა[19].

შდებით[20] აღვასრულენ • დღენი ჩემნი უბადრუკმან • და არა[21] დავიმარხენ • მცნებანი იგი შენნი, • კაცთმოყუარეო, • და შეძრწუნებულ ვარ, • რაჟამს მოვიჴსენნე[22] • სიმრავლენი • ბრალთა[23] ჩემთანი. • არამედ ვითხოვ აწ[24] • შენისა[25] სახიერებისაგან[26]: • მოწყალე-მექმენ[27], **ქრისტე[28], • დღესა მას დიდსა • განკითხვისასა, • ოდეს-იგი მიაგებდე კაცად-კაცადსა საქმეთაებრ, • მაშინ მთავარანგელოზთა შენთა[29] • ოხითა შემიწყალე[30].

ზატიკობისა[31] ჴმითა[32] • ანგელოზთა მჴედრობანი • დაუცხრომელად ჴმობენ, • ყოვლადძლიერო ღმერთო, • ქებასა შენსა • და განცხადებულად • განიცდიან შენსა • შუენიერსა[33] • ბრწყინვალებასა, • და განათლებულნი • შეუხებელად ჰგიან ვნებათაგან

---

1 ~ჩუენგან უღირსთა **T. 2** უმსგავსოჲ **T. 3** თანავე **HT. 4** ვადიდებდე **Q. 5** ამათ] მათ **S. 6** პატივ-სცემდეთ **HNPQS. 7** სულთა **HT. 8** ვევედრნეთ **H. 9** ღირს-ყუნეს **H. 10** მგალობელად **IN. 11** და – **H. 12** სერაბინთაგან **T. 13** მიერ – **T. 14** ქერობინთაგან **T. 15** წმიდისასა **P. 16** მთავარანგელოზმან] ანგელოსმან **T. 17** სატანჯველთაგან **T. 18** მათგან – **T. 19** რომელი უხილავ ხარ ... მათგან საუკუნეთა – **H. 20** უდებებით **U. 21** არაჲ **ADINQU. 22** მოვიჴსენენ **H. 23** ბრალთა] ცოდვათა **U. 24** ~აწ ვითხოვ **HT. 25** შენისა] შენ **Q. 26** სახიერებისაგან] სახიერისაგან **Q. 27** მოწყალე-მექმენ + მე **T**, მოწყალე-მექმენ] მიწყალე მე და შემიწყალე **U. 28** ქრისტე – **U. 29** შენთა – **HT. 30** შემიწყალენ **H**, შეგჳწყალენ **T. 31** ზატიკობითაჲ **U. 32** ჴმითა] შენითა **U. 33** შუენიერსა **H.**

* **S** ხელნაწერში **(Jer. 63)** ბოლო ექვსი დასდებელი არ გვხვდება.

** **U** ხელნაწერში **(Jer. 41)** ამ და რამდენიმე მომდევნო ადგილას აღინიშნება ჩასწორებული ტექსტი.

• და უაღრესისა[1] მიმართ • სამარადისოდ • ამაღლდებიან, • და ბრწყინვალებასა[2] ზედა ბრწყინვალებასა შეიწყნარებენ, • და კადნიერად მეოხ-არიან • ცხორებად სულთა ჩუენთათჳს[3].

0ჯსენ ქალაქი შენი • ანგელოზთა შეზღუდვითა, • რომელმან მჯედრობანი • მათნი სიტყჳთ დაჰბადენ, • ყოვლადძლიერო, • განსაცდელთა აღძრვაჲ • და მტერთა კუეთებაჲ • და წვალებათა • ღელვაჲ განმხრწნელი • გარეწარჰჯადე მას, • რამეთუ სისხლთა მიერ საღმრთოთა • მოიყიდე იგი, მჯსნელო, • და შჯულისაგან • ცოდვისა იჯსენ, • რაჲთა ჯსნილი შემაურვებელთა მათ[4] მწუხარებათაგან • კეთილად მსახურებითა • შიშით თაყუანის-გცემდეს[5].

მთავრობანი და ძალნი • და[6] სერაბინ-ქერობინნი, • უფლებანი, საყდარნი, • მთავარანგელოზნი და • ჯელმწიფებანი • ანგელოზთა თანა • სიმტკიცესა შენსა • საშინელსა, • ყოვლადძლიერო, • ძრწოლით ადიდებენ, • დიდადშუენიერსა დიდებასა • და განგებულებათა შენთა • გამოუთქუმელთა • თაყუანის-სცემენ • და განკჳრვებულნი სიბრძნეთა შენთათჳს, ქრისტე მეუფეო, • კადნიერად მეოხ-არიან • ცხორებად სულთა ჩუენთათჳს[7].

სხუანი. ***უფალო, საჯსენებელსა[8]...***

შფალო, ცანი და ქუეყანაჲ კაცთა თანა • დღესასწაულობენ დღეს ჯსენებასა • წმიდათა მთავარანგელოზთა შენთასა. • მათ მიერ მოგუმადლენ[9] ჩუენ • მშჯდობაჲ შენი, • მაცხოვარო სულთა[10] ჩუენთაო[11], • და[12] შეგჳწყალენ ჩუენ.

შფალო, მთავარანგელოზნი შენნი[13] გუქონან[14] • მეოხად და თანამზრუნველად • ცოდვათა და განწირულებათა ჩუენთათჳს. • მათითა მეოხებითა • მომეც შენდობაჲ, • მაცხოვარო სულთა ჩუენთაო, • და შეგჳწყალენ ჩუენ.

შფალო, მსახურთა მათ შენთა ანგელოზთა • აღვსძრავთ მეოხებად ჩუენდა: • მიქაელს, წინამძღუარსა უჯორცოთასა[15], • გაბრიელს, ქალწულისა • მახარებელსა. • მათითა მეოხებითა • შეგჳწყალენ ჩუენ.

უფალო, მთისაგან წმიდისა[16]...

[უფალო, მთისაგან წმიდისა, ქალწულისა, • ლოდი საკიდური უჯელოდ • გამოეკუეთე უზეშთაეს ცნობისა, • ხოლო მთაჲ იგი წმიდაჲ, • რომელი გთნდა შენ, • მას ღმრთისმშობელად აღვიარებთ, • სასოსა ჩუენსა].

---

1 უჳაღრესისა **HPT**. **2** ბრწყინვალებისა **ADPT**. **3** ზატიკობისა ჳმითა ... სულთა ჩუენთათჳს – **IN**. **4** მათ – **HT**. **5** იჯსენ ქალაქი ... შიშით თაყუანის-გცემდეს – **IN**. **6** და – **IT**. **7** მთავრობანი და ძალნი ... სულთა ჩუენთათჳს – **HNU**. **8** საჯსე... **D**, საჯსენებელსა + მოწ... **H**, საჯსენ... **P**, საჯსენებე... **QT**. **9** მოგუმადლე **AHPQS**. **10** სულთაო **H**. **11** ჩუენთაო – **H**. **12** და – **S**. **13** შენნი] შენ **Q**. **14** გუქუნან **A**, გქონან **H**. **15** უჯორცოთასა] ანგელოზთასა **T**. **16** წმიდისა – **DS**, უფალო, მთისაგან წმიდისა... – **HPQT**.

თეოფანე. *სტიქარონნი[1] ღმრთისმშობლისანი[2]. ყოველი სასოებაჲ[3]...

ფიცით, რომელ აღუთქუა • მამასა შენსა[4] პირველად • ღმერთმან ყოვლადძლიერმან, • ჟამთა[5] აღსასრულსა • აღგჳსრულა[6] ჩუენ[7] • და იშვა საშოჲსა • შენისაგან, ღირსო, • ჴეშმარიტებით • დამბადებელი, • რომელსა უპყრიან • ჴელითა კიდენი სოფლისანი. • იგი მხოლოჲ[8] მოწყალე-ყავ • ჩუენთჳს[9] ჟამსა მას • საშჯელისასა, • რაჲთა ღირს-ვიქმნეთ[10] შესლვად[11] სასუფეველსა ცათასა[12], სძალო, • სათნოებათა აღსლვითა • და ვნებათა მოკლვითა[13].

სულისა სიწმიდითა • წინაჲსწარვე მოასწავა • ესაია[14], ქალწულო, • დამბადებელისა • შობაჲ შენ მიერ • და შენ გქადაგებდა, • რომელი გამოშჩნდი • სანატრელად • საუკუნითგან. • და აწ გეუბედრები: • სული ჩემი ცოდვილი განწმიდე • და ბრწყინვალებისა[15] საღმრთოჲსა • ბისა შენისა • ზიარ-მყავ[16], ღირსო, • და[17] დადგომად[18] მარჯუენით მისსა, ვითარცა-იგი[19] წერილ არს, • და-რაჲ-ჯდეს საყდართა ზედა • განშჯად ადამეანთა[20].

*სიკუდილისა დარღუევაჲ • შობითა[21] შენითა[22] **იქმნა[23], • დედოფალო, რამეთუ • იქმენ ცხორებისა • სამკუდრებელ ვრცელ, • და აწ გეუბედრები, • ვნებათა უფსკრულსა • და წყუდიადსა • ქუესკნელისასა • შთავრდომილი მიჴსენ • და შუებად საუკუნოდ წარმიძეღუ • და მოსაგებელთა საღმრთოთა • და სანატრელთა • მიმთხუევად ღირს-მყავ[24], • სადა-იგი არს შუებაჲ უხრწნელი, სადა-იგი არს ნათელი • სამებისა წმიდისაჲ[25] • ყოვლადმოუკლებელი.*

---

1 სტიქარონნი] დასდებელნი წმიდისა **B**, სტიქარონნი – **Q**. **2** სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი] კჳრიაკესა მწუხრი სტიქარონნი **F**, კჳრიაკესა მწუხრი **H**, ორშაბათსა აღვივსენითი **M**, ღმრთისმშობლისანი + ჴმაჲ ბ გუერდი. კჳრიაკესა მწუხრი **B**, ღმრთისმშობლისანი + ჴმაჲ ბ გუერდი **FHI**, სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი – **N**. **3** ყოველი სასოებაჲ] უფსკრულნი **B**, ყოველი სასოებაჲ – **Q**. **4** შენსა] ჩუენსა **N**. **5** ჟამთა – **M**. **6** აღასრულა **B**. **7** ჩუენ] მან **B**. **8** იგი მხოლოჲ] რომელიცა **B**. **9** ჩუენთჳს] ჩემთჳს **BF**. **10** ღირს-ვიქმნე **B**, ღირს-ვიქმნეთ **IM**. **11** შესლვად] მიმთხუევად **B**. **12** ცათასა] მისსა **B**. **13** მოკლვითა] მოკუდინებითა **U**. **14** ესაჲა **FIQ**. **15** ბრწყინვალებისა + მის **HU**. **16** ზიარ-ყავ **FH**. **17** და – **HNU**. **18** დადგრომად **M**. **19** ვითარცა **M**. **20** ადამეანთა] ყოვლისა სოფლისა **B**, ადამიეანთა **H**, ადამიანთა **MNQ**. **21** შობამან **FHIMNQU**. **22** შენმან **FHIMNQU**. **23** იქმნა] მოგუატყუა **FHIMNQU**. **24** ~ღირს-მყავ მიმთხუევად **FHIMNQU**. **25** წმიდისა **I**.

* მეორე გვერდითი ხმის ორშაბათის ***«სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი»*** შემდეგ ხელნაწერებში გვხვდება: **B (A 93), F (Jer. 123), H (Sin. 67), I (Ath. 44), M (Sin. 77), N (Ath. 26), Q (Jer. 131), U (Jer. 41).**

Q ხელნაწერში **(Jer. 131)** აშიაზე მინაწერია: ***«კ ი ს ღ»*** [კჳრიაკესა მწუხრი სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი].

** ამ შემთხვევაში უპირატესობას ვანიჭებთ **B** ნუსხის **(A 93)** ვარიანტს, რადგან დანარჩენ ნუსხებში დადასტურებულ ფორმას – „მოგუატყუა“ (ესე იგი, შეგძინა) – თანამედროვე მკითხველი, დიდი ალბათობით, „ტყუილის“ მნიშვნელობით გაიგებს.

***დღე სამშაბათი[1]. ნათლისმცემელისა[2] და სინანულისაჲ[3]. უფალო-ღაღადყავსა[4]. ჰმაჲ[5] ბ გუერდი[6]. **ნაცვალად კეთ[7]...**

[ნაცვალად კეთილთა, რომელ უყვენ, ქრისტე, • ერსა ებრაელთასა, • ჯუარსა დამშჭუალვაჲ შენ დაგასაჯეს, • ძმარი და ნავღელი შენ მიგიპყრეს. • არამედ მიეც, უფალო, • საქმეთა მათთაებრ, • რამეთუ ვერ გულის-ჯმა-ყვეს შენი სიმდაბლჱ].

ნაშობთა ყოველთა უფროჲს წოდებულო, • ღირსო წინამორბედო, • რომელი ღირს-იქმენ ნათლისცემად • ღმერთსა[8], მაცხოვარსა[9] ჩუენსა[10], • არამედ აწ[11] მას ევედრე • ჯსნად ჩუენდა, ნეტარო, • ცეცხლისა მისგან მძაფრისა • საუკუნოჲსა.

ესერა ქადაგებს იოვანე უდაბნოს, • სინანულად მოუწოდს, • რომელთა გწადის უღელი ტკბილი • ქრისტეს მცნებათაჲ[12] ტჯრთვად თქუენ ზედა, • მოვედით და შევევედრნეთ • წინამორბედსა დღეს, • რაჲთა მითხოოს[13] ქრისტესგან • შენდობაჲ ცოდვათაჲ.

ესერა განაფრთხობს გულსა მგლოვარეთასა[14] • გურიტი[15] იგი უდაბნოჲსაჲ[16],• ჯმატკბილად მჯმობარე და ეკლესიასა • შინა მომიწოდს ჩუენ მგალობელად • ყოველთა მეუფისა ღმრთისა, • რომელი მოგუცემს[17] ჩუენ • ცხორებასა უკუდავსა • სინანულითა.

ესერა გჯჩუენებს იოვანე*** ჯელითა • კრავისა ღმრთისა მოსლვასა • ახუმად[18] ცოდვათა სოფლისათა, • მოვედით, მივეგებნეთ სიწმიდით • და შიშით თაყუანის-ვსცეთ[19], • რაჲთა ღირს-ვიქმნეთ[20] ჩუენ • ჭამად ჯორცსა მისსა წმიდასა • საჯსრად ცოდვათა[21].

სხუანი[22]. შენ, რომელი გარდამოჰჯედ[23]...

შენ, წმიდაო • ქადაგო უფლისაო, • ნეტარო იოვანე[24], • წარგჯმართე გზასა მას • სინანულისა ალაგთასა • და განკურნე[25] წყლულებაჲ ჩუენი, • უღირსთა მონათა შენთაჲ, • რომელნი გევედრებით[26].

---

1 სამშაბათი + წმიდისა იოვანე **PS**, სამშაბათი + წმიდისა **T**. **2** ნათლისმცემელისაჲ **INPST**. **3** ნათლისმცემელისა და სინანულისაჲ] წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისაჲ **H**, სინანულისაჲ და წმიდისა ნათლისმცემელისაჲ **Q**, სინანულისაჲ და წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისაჲ **U**, სინ... **N**, და სინანულისაჲ – **PT**. **4** უფალო-ღაღადყავსა – **ADHINQST**. **5** ჰმაჲ – **DINPS**. **6** ჰმაჲ ბ გუერდი – **HQT**. **7** კე... **DQ**, კეთილ... **IN**, კეთილად **P**, კეთი... **T**. **8** ღმრთისა **IN**. **9** მაცხოვრისა **IN**. **10** ჩუენისა **IN**. **11** აწ – **Q**. **12** მცნებათა **H**. **13** მითხოვოს **PS**. **14** მგლოარეთასა **AP**. **15** გჯრიტი **T**. **16** უდაბნოჲსა **H**. **17** მუცემს **H**. **18** ახუმად] ამხუმელად **Q**. **19** თაყუანის-ვსცეთ + მას **HT**, თაყუანის-ვსცემდეთ **Q**. **20** ღირს-ვიქმნეთ **INT**, ღირს-ვიქმნენით **S**. **21** ცოდვათა] ცოდვილთა **Q**. **22** სხუანი] სხუაჲ **I**, ნათლისმცემელისაჲ **U**. **23** გარ... **DINPU**, გარდამ... **HT**, გ... **Q**, გარდამოჰ... **S**. **24** ~იოვანე ნეტარო **P**. **25** განჰკურნე **Q**. **26** გევედრებით + შენ **H**.

* ***«დღე სამშაბათი. ნათლისმცემელისაჲ და სინანულისაჲ»*** ორი წყვილი ***«უფალო-ღაღადყავსა» («ნაცვალად კეთ...»; «შენ, რომელი გარდამოჰჯედ»)*** წარმოადგენს **Ath. 45**-ის მასალას. ორივე წყვილი შემდეგ ხელნაწერებში მეორდება: **D (Ath. 24), H (Sin. 67), I (Ath. 44), N (Ath. 26), P** (სვან. 3), **Q (Jer. 131), S (Jer. 63), T (Jer. 86).**

U ხელნაწერს **(Jer. 41)** აკლია ერთი წყვილი – ***«ნაცვალად კეთ...».***

** წყვილს ***«ნაცვალად კეთ...»*** **Q** ხელნაწერში **(Jer. 131)** უძღვის შემდეგი სათაური: ***«ნათლისმცემელისაჲ».***

*** **N** ხელნაწერში **(Ath. 26)** აღნიშნული სიტყვა მოცემულია ქარაგმით „ი˜ე“, რომელსაც თან ახლავს სქოლიოს ნიშანი. იგივე ნიშანი მეორდება აშიაზეც, სადაც, თავის მხრივ, მითითებულია ქარაგმის სხვა ფორმა: „ი˜ნე“.

მდგომარენი, • ტაძარსა შინა შენსა • მოსრულნი გევედრებით: • ქრისტეს წინამორბედო, • მსწრაფლ მოვედ შეწევნად ჩუენდა • და ვნებათაგან განგუარინენ • და ბრალთა შენდობაჲ გუთხოვე • კაცთმოყუარისა ღმრთისაგან.

***მ**ანღებულ არს[1] • ტაძარსა შინა შენსა • წყაროჲ პატიოსანი, • უხუად აღმომდინარე, • წინამორბედო ქრისტესო, • და რომელნი შევლენან მას შინა, • განწმდებიან სულით და ჯორცით • და ღმერთსა ადიდებენ[2].

მოიღე შენ • ზეგარდამო ღმრთისა მიერ • მადლთა და ნიჭთა დიდთა • და ურიცხუთა სიმრავლე, • წინამორბედო ქრისტესო, • და შემსხმელთა შენთა განუყოფ, • ვითარცა სახიერი და ტკბილი, • უხუად საღმრთოსა სიმდიდრესა[3].

მედრებითა • შენითა შეწირულითა, • იოვანე ნეტარო, • დააცხრვენ განსაცდელთა • ღელვანი განძჯნებულნი • მგალობელთა ამათ შენთანი • და საღმრთოდ ნავთსადგურად მიმიძეღუ • მადიდებელთა შენთა[4].

ღმრთისმშობელო[5]...

[ღმრთისმშობელო, • დედაო მჴსნელისაო, • სანატრელო მარიამ, • რომელმან ჰშევ უფალი • და დააღგერ ქალწულადვე, • განკურნენ უძლურებანი • მორწმუნეთა შენთანი, რომელნი • მარადის გადიდებენ შენ].

თეოფანე. **სტიქარონნი[6] ღმრთისმშობლისანი[7]. ყოველი სასოებაჲ[8]...

შენთჳს მოასწავებდა • „ქებასა შინა ქებათასა“ • სოლომონ და იტყოდა: • ყოველითურთ შუენიერ ხარ, • მოყუასო ჩემო, • და ბიწი არა[9] არს • შენ თანა, რამეთუ • შემოქმედი • კეთილთაჲ ჰშევ შენ. • და აწ გევედრები, • განბოროტებული გული ჩემი • ვნებათა მძლავრებისაგან • და ეშმაკთა • სიბოროტისა, • დედაო ღმრთისა სახიერისაო, ღმობიერ-ყავ[10] და კეთილ • და ცხორებასა ღირს-მყავ • მადიდებელი შენი.

მოწყლული ავაზაკთა • ბოროტთა, ეშმაკთა მიერ • და უქმქმნილი[11] ყოველითურთ • და გზასა მას ზედა • ცხორებისასა[12] • მდებარე უღუაწად • აღმადგინე, სძალო, • და წყალობისა • ზეთი და ღუნოჲ • დამასხ წყლულთა ჩემთა • უკურნებელთა და განმკურნე მე, •

---

1 არს + არს **I**. **2** განღებულ არს ... ღმერთსა ადიდებენ – **NU**. **3** მოიღე შენ ... საღმრთოსა სიმდიდრესა – **HINQ**. **4** ვედრებითა შენითა ... მადიდებელთა შენთა – **IN**. **5** ღმრთისმშობელო... – **HNPQTU**. **6** სტიქარონი + წმიდისა **I**, სტიქარონნი] სამშაბათსა **M**, აღვივსენითი **N**, სტიქარონნი – **Q**. **7** სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი] ორშაბათსა მწუხრი **BFH**, ღმრთისმშობლისანი – **MN**, ღმრთისმშობლისანი + სინანულისა სტიქარონი და წარდგომაჲ ყოველი ორშაბათსა ჰპოო **I**. **8** სასოებაჲ + მათი **Q**. **9** არაჲ **BINQ**. **10** ღმობიერ-ყავ] სახიერ-ყავ **B**. **11** უქმქმნული **B**. **12** ცხორებისასა] საღმრთოჲსასა **U**.

* **H** ხელნაწერში **(Sin. 67)** ვხვდებით გადამწერისეულ შეცდომას: დასდებლის – ***«განღებულ არს»*** – საწყისი მონაკვეთი გაერთიანებულია მომდევნო დასდებლის – ***«მოიღე შენ»*** – მეორე მონაკვეთთან. მოვიყვანთ სრულ ტექსტს: ***«განღებულ არს • ტაძარსა შინა შენსა • წყაროჲ პატიოსანი, • უხუად აღმომდინარე, • წინამორბედო ქრისტესო, • და შემსხმელთა შენთა განუყოფ, • ვითარცა სახიერი და ტკბილი, • უხუად საღმრთოსა სიმდიდრესა».***

** მეორე გვერდითი ხმის სამშაბათის ***«სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი»*** შემდეგ ხელნაწერებში გვხვდება: **B (A 93), F (Jer. 123), H (Sin. 67), I (Ath. 44), M (Sin. 77), N (Ath. 26), Q (Jer. 131), U (Jer. 41).**

რაჲთა გადიდებდე შენ, • ღმრთისა დედაო • ყოველადწმიდაო, • და მადლობით[1] უგალობდე დიდებულებათა შენთა, უხრწნელო, • განწირულთა სასოო, • მხოლოო კურთხეულო.

*მიჴსენ მე ვეშაპისა • მუცლისაგან, რომელ არს ცოდვაჲ[2], • დედოფალო წმიდაო, • რომელმან იტკრთე • დაუტევნელი • ბოროტთა ღელვათა • განსაცდელისაგან • და ვნებათა • ნიავქარისა • აღმო*მიყვანე მე • და უშჯულოებათა ჩემთა სიღრმე • და უფსკრული განაჴმე შენ[3], • და სულთა ბოროტთა • კუეთებაჲ[4] დაჰჴსენ • და საბრჴენი მათნი შემუსრენ საღმრთოჲთა შეწევნითა შენითა[5], • რაჲთა მარადის გადიდებდე • შენ, ყოველადსანატრელო[6].*

****დღე ოთხშაბათი. წმიდისა ღმრთისმშობლისაჲ[7] და ჯუარისაჲ[8]. უფალო-ღაღადყავსა[9]. ჰმაჲ ბ გუერდი[10]. ***ყოველი სასოებაჲ[11]...**

ყოველნი ნათესავნი • გადიდებენ, ღმრთისმშობელო, • კრებულნი ზეცისანი • და ქუეყანასა ზედა • ძენი კაცთანი, • ცათა უვრცელესო, • რომელმან იტკრთე • შემოქმედი • საუკუნეთაჲ. • ამისთჳს ჯეროვნად • ღმრთისმეტყუელებით მამათმთავარნი[12] • გქადაგებდეს, უბიწოო, • მაღლისა საყდრად, • ცად სულიერად, • რომლისათჳს[13] აწცა[14] გევედრებით ლმობიერად მორწმუნენი: • მშობელო მაცხოვრისაო, • ჩუენთჳსცა მეოხ-გუეყავ.

ყოველნი ტომნი ერთად • სამართლად გნატრიან შენ, • ყოვლადსაგალობელო • უქორწინებელო • სძალო ღმრთისაო, • რომელმან საშოსა • იტკრთე მეუფე • და სოფელსა უშევ • მზე სიმართლისაჲ, • რომელმან წყალობით • სათნო-იყო ჴსნაჲ დაბადებულთაჲ • და შეწირა თავი თჳსი • მსხუერპლად მამისა • ჩუენ ცოდვილთათჳს. • მას ევედრე, ღირსო ყოვლადსანატრელო ღმრთისმშობელო, • რაჲთა გარდამოგჳვლინოს ჩუენ • ზეცით დიდი წყალობაჲ.

სიბრძნე მიუწდომელი, • ჟამთა უწინარესი • სიტყუაჲ დაუბადებელი, • დაბადებულთა • დამბადებელი, • მთავარანგელოზმან • გაბრიელ მოართუა • უბიწოსა • მარიამს ღირსსა • და ესრეთ ეტყოდა: • მხიარულ-იყავ და შეიწყნარე • სიტყუაჲ ზეცით მომავალი[15], • მამისა თანა•არსი მარადის, • ამიერითგან გნატრიდენ შენ ყოველნი ნათესავნი • და შენ მიერ აღვიდენ[16] ზეცად • ქუეყანით ძენი კაცთანი.

---

1 მადლობით] ღირსებით **B. 2** ~ვეშაპისა მუცლით მე, რომელ არს ცოდვაჲ, მიჴსენი **B. 3** შენ – **F. 4** კუეთებანი **F. 5** შენითა – **B. 6** ყოვლადსანატრელო] უბიწოო **F. 7** ღმრთისმშობელისა **DS. 8** ~ჯუარისაჲ და წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ **QU. 9** უფალო-ღაღადყავსა – **ADHINST. 10** ჰმაჲ ბ გუერდი – **HINQTU. 11** სასოე... **D. 12** მამადმთავარნი **P. 13** რომლისათჳსცა **S. 14** აწცა – **S. 15** მომავალი] მოსრული **Q. 16** აღვიდეს **H**

* აქედან **Q** ხელნაწერში **(Jer. 131)** ტექსტი წყდება, რადგან მას აკლია გვერდები.

***«დღე ოთხშაბათი. წმიდისა ღმრთისმშობლისაჲ და ჯუარისაჲ»* ორი წყვილი *«უფალო-ღაღადყავსა» («ყოველი სასოებაჲ»)* წარმოადგენს **Ath. 45**-ის მასალას. ორივე წყვილი შემდეგ ხელნაწერებში მეორდება: **D (Ath. 24), H (Sin. 67), I (Ath. 44), N (Ath. 26), P** (სვან. 3), **Q (Jer. 131), S (Jer. 63), T (Jer. 86).** ანდერძის თანახმად, ოთხშაბათის დასდებლები ორ წყვილად იყოფა: **„დღე ოთხშაბათი: ორი წყვილი უფალო-ღაღადყავსა“** (ჰიმნოგრაფიული კრებული 2020, I: 28). საერთო ძლისპირის გამო, პირველი და მეორე წყვილი ყველა ნუსხაში გაერთიანებულია.

*** წყვილს *«ყოველი სასოებაჲ»* **Q** ხელნაწერში **(Jer. 131)** უძღვის შემდეგი სათაური: *«ღმრთისმშობლისანი. უფალო-ღაღადყავსა».*

საიდუმლოდ[1] მოესწავა • შობაჲ შენი, ღმრთისმშობელო, • რამეთუ გამოშჩნდი საყდრად • მეუფისა მის • მეუფეთაჲსა, • ტაძრად სიწმიდისად[2], • ცათა უვრცელესად, • ეტლად ცეცხლისად[3] • და ბჭედ ზეცისად[4], • რამეთუ შენ მიერ • შობითა იჳსნნეს[5] ძენი კაცთანი • წყევისაგან პირველისა, • რაჟამს გჳშევ ჩუენ • მჳსნელი სოფლისაჲ. • მას ევედრე, ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო დედოფალო[6], • სასოო განწირულთაო, • ცხორებად სულთა ჩუენთა[7].

სიბრძნით დამბადებელმან • უხილავთა და ხილულთამან, • ანგელოზთა უფალმან, • რომელსა საყდრად ჰქონან • ცანი მაღალნი, • ქუეყანასა ზედა • ცათა უმაღლესი[8] • სულიერი • ცაჲ იშენა დღეს • და დაემკჳდრა მას, • ვითარცა პირველ მოასწავებდა • დავით მამათმთავარი • და იგავით თქუმულნი[9] • დაფარულთანი, • ვითარმედ: „სიბრძნემან იშენა თავისა თჳსისა სახლი“, • – ჯორცთა შესხმად მომავალმან • სიტყუამან – დედაჲ თჳსი.

ღმრთის[10] მოსლვისა ტაძარსა, • სამოთხესა პირმეტყუელსა, • სადგურსა სულიერსა, • სულისა წმიდისა • სამკჳდრებელსა, • სოფლისა სასოსა, • სიწმიდისა ეტლსა • და ღრუბელსა • მას სულმცირესა, • რომელი იქმნა დღეს • დედად[11] ქრისტეს ღმრთისა, ყოვლადწმიდაჲ, • წმიდათა უწმიდესი, • შუვამდგომელი[12] • ღმრთისა და კაცთაჲ, • თაყუანის-ვსცემდეთ, ჱ, მორწმუნენო, რომელი[13] დამაგებს ღმერთსა • და პირველსა მას წყევასა • კურთხევად შესცვალებს[14].

ღამჳსნელი პატიჟთა[15] მათ • პირველისა მამისათა[16] • და განმაქარვებელი • ევაჲს დანერგულსა მას • მწუხარებასა, • წმიდაჲ დედოფალი, • ქალწული მარიამ[17], • სანატრელი • დედათა შორის, • იშვა სიხარულად • ზეცისათა და ქუეყანისათა, • მთაჲ იგი გონიერი, • რომელსა ღმერთი • დაეშენა დღეს. • განმხიარულდეს[18] ცანი და ქუეყანაჲ შობასა მისსა, • რამეთუ გამოშჩნდა მიზეზი • საღმრთოთა მათ კეთილთაჲ[19].

თეოფანე. *სტიქარონნი[20] ღმრთისმშობლისანი[21]. სასოწა[22]...

***[სასოწარკუეთილმან • ცხორებისათჳს • და შეწყალებულმან • მოქცევისათჳს • აღიღო ნელსაცხებელი, • მოვიდა და გეტყოდა: • ეჰა, • ქალწულისა შობილო, • მეძავსა ნუ განმაგდებ, • ნუცა • უგულებელს-ჰყოფ ცრემლთა • ჩემთა, ანგელოზთა სიხარულო, • არამედ მიჳსენ • ცოდვილი ესე, რომელი • არაჲ უგულებელს-ჰყოფ ცოდვილთა • მრავალმოწყალებითა].*

---

1 საჲდუმლოდ **ADHS**. **2** სიწმიდისა **H**. **3** ცეცხლისა **IN**. **4** ზეცისა **H**. **5** იჳსნეს **INT**. **6** ~დედოფალო ღმრთისმშობელო **H**. **7** ჩუენთათჳს **HINQT**. **8** უმაღლესი] უვრცელესი **Q**. **9** თქმულნი **DN**. **10** ღმრთისა **Q**. **11** დედა **H**. **12** შუამდგომელი **ADHPQ**. **13** რომელი] რამეთუ **P**. **14** ღმრთის მოსლვისა ... კურთხევად შესცვალებს – **INS**. **15** პატიჟთაჲ **Q**. **16** მამისათაჲ **Q**. **17** მარიამი **T**. **18** გამხიარულდეს **DST**. **19** კეთილთა **DH**, დამჳსნელი პატიჟთა ... საღმრთოთა მათ კეთილთაჲ – **S**. **20** სტიქარონნი] აღვივსენითი **MN**, სტიქარონნი – **Q**. **21** სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი] სამშაბათსა მწუხრი **BH**, სხუანი ღმრთისმშობლისაჲ სტიქარ... **I**, ღმრთისმშობლისანი – **MN**. **22** სასოწარკუეთ... **H**, სასოწარკ... **IN**, სასოწა... – **M**, სასოწარკუჱ... **Q**, სასოწარკუ... **U**.

* მეორე გვერდითი ხმის ოთხშაბათის ***«სტიქარონნი ღმრთისმშობლისანი»*** შემდეგ ხელნაწერებში გვხვდება: **B (A 93), H (Sin. 67), I (Ath. 44), M (Sin. 77), N (Ath. 26), Q (Jer. 131), U (Jer. 41).**

** მეორე გვერდითი ხმის ძლისპირი ***«სასოწარკუეთილმან»*** პარაკლიტონში ასევე მეორე ხმას მიეკუთვნება, მაგ., იხ. ჰიმნოგრაფიული კრებული 2023, **II**: 121, 635.

სასოწარკუეთილი • უძლებებითა • და განშიშულებული ცოდვათა მიერ, • რომელმან-ესე განვყიდენ • მადლი მეუფისანი, • მიჴსენ, • მშობელო მჴსნელისაო[1], • მწარისა ტყუეობისაგან • ნებსით • თჳსით შებყრობილი და • მთხრებლსა შინა[2] წარწყმედისასა • უგუნურებით • შთავრდომილი, დედოფალო, • აღმომიყვანე და მაცხოვნე[3] • მრავალმოწყალებითა.

ტკბილითა[4] შენითა[5] • სიტკბოებითა[6] • და მოწყალითა[7] მით[8] მოღუაწებითა[9] • ტკივნეული გული ჩემი • განკურნე, დედოფალო, და[10] • დაჰჴსენ • წყლულებაჲ სალმობათა[11] • სულისა ჩემისათჳს, • უქმ-ყვენ • საბრჭენი[12] მტერისანი • შეთხზულნი, შემაშფოთებელნი • და დააყუდენ[13] • ვნებათა ჩემთა[14] ღელვანი[15] • მძუნვარენი, ჲ, კურთხეულო, • მრავალმოწყალებითა.

დაცემული მწარედ • ცოდვათა მიერ, • სული ესე ჩემი საწყალობელი • და მიწად[16] დამდაბლებული • აღადგინე, ქალწულო • ღირსო, • რამეთუ დაცემულთა • შენ ხარ აღმმართებელი[17] • და გაქუს • მსმენელად მაცხოვარი, • ვითარცა დედასა, წმიდაო[18], • და განხეთქე[19] შენ • მეოხებითა შენითა • ბრალთა ჩემთა ჴელითწერილი • მრავალმოწყალებითა.

***დღე ხუთშაბათი. წმიდათა მოციქულთაჲ. უფალო-ღაღადყავსა[20]. ჰმაჲ[21] ბ გუერდი[22]. *ყოველი სასოებაჲ*[23]...**

ზულსმოდგინედ ხედვითა • მოწევნადი დიდებაჲ თქუენ • აღსრულებულად[24] იხილეთ, • ღმრთივბრწყინვალენო • ბრძენნო, რამეთუ • გიჩუენა დიდებაჲ • მამისა თჳსისაჲ • ძემან მხოლომან • გამოუთქუმელი • და აღგავსნა, ღირსნო, • სულითა მით ცხოველსმყოფელითა. • ამისთჳსცა საწადელ ხართ • ყოველთა მიერ[25], • ყოვლადქებულნო, • მას ევედრენით ჩუენთჳს, წმიდანო მოციქულნო, რაჲთა • მოგჳტევნეს ცოდვანი ჩუენნი • და ღირს-მყვნეს[26] სასუფეველსა.

საღმრთოჲთა მით სიბრძნითა • აღივსენით[27], სანატრელნო, • ვითარცა პირველ მოსე • და ღმრთისმხილველ იქმნენით, • ყოვლადქებულნო, • და განცხადებულად • იხილეთ თქუენ ხატი • იგი მისი • დაუსაბამოჲ, • ძე მამისა სწორად • პატივცემული[28] სულით წმიდითურთ • ყოველთა მორწმუნეთაგან, • სამგუამოვნებით • და ერთღმრთეებით. • მას ევედრენით ჩუენთჳს, წმიდანო მოციქულნო, რაჲთა • მოგჳტევნეს ცოდვანი ჩუენნი • და ღირს-მყვნეს[29] სასუფეველსა.

---

1 მჴსნელისაო] მეუფისაო **M. 2** შინა – **U. 3** მაცხოვნე + მე **H. 4** ტკბილისა **B. 5** შენისა **B. 6** სიტკბოებისა **B**, სიტკბოებითა] მეოხებითა **H. 7** მოწყალისა **B. 8** მის **B**, მითა **IN. 9** მოღუაწებისა **B. 10** და – **B. 11** სალმობათაჲ **HMQ. 12** საფრჯენი **M. 13** დაყუდენ **U. 14** ჩემთა – **B. 15** ღელვანი] აღძრვანი **M. 16** მიწად] მწარედ **HI. 17** აღმმართებელი] აღმადგინებელი **U. 18** წმიდასა **MU. 19** განხეთქე **Q. 20** უფალო-ღაღადყავსა – **ADHINST. 21** ჰმაჲ – **P. 22** ჰმაჲ ბ გუერდი – **INQ. 23** სასოებაჲ + მათი **QT. 24** აღსრულებულად] მოწევნულად **HT**, აღსრულებად **Q. 25** მიერ] მიმართ **N. 26** ღირს-მყუნეს **H. 27** აღივსენით] აღვსებულ ხართ **H. 28** პატივცემულად **IN. 29** ღირს-მყუნეს **H.**

* *«დღე ხუთშაბათი. წმიდათა მოციქულთაჲ»* ორი წყვილი *«უფალო-ღაღადყავსა» («ყოველი სასოებაჲ»; «მძლე-ექმენ შენ»)* წარმოადგენს **Ath. 45**-ის მასალას. ორივე წყვილი შემდეგ ხელნაწერებში მეორდება: **D (Ath. 24), H (Sin. 67), I (Ath. 44), N (Ath. 26), P** (სვან. 3), **Q (Jer. 131), S (Jer. 63), T (Jer. 86).**

N ხელნაწერში **(Ath. 26)** მითითებაა: „დ. მწ.“ [ოთხშაბათსა მწუხრი].

ნესტუსა დაჰბერეთ, ღირსნო, • ზეცით მობერვითა მით • საღმრთოჲსა სულისაჲთა, • იქუხენით ჴმითა • სოფელსა შინა, • რამეთუ ჰქადაგეთ • სახარებაჲ იგი • ქრისტეს ღმრთისაჲ • მჴსნელად ყოველთა, • ცეცხლისა ენითა • მოსწჯთ ყოველი იგი საცთური • და ასწავეთ წარმართთა ერსა • მეუფე ჩუენი • იესუ ქრისტე, • რომელი ყოველთა ზედა მფლობელი არს ჴელმწიფებით, • მისსა[1] მიმართ მეოხ-გუეყვენით • ცხორებად სულთა ჩუენთათჳს.

მზისა მის სიმართლისა • საცნაურისა მხილველნო, • წმიდანო მოციქულნო, • ითხოვეთ[2] განათლებაჲ • სულთა ჩუენთაჲ[3] დღეს • და ჴსნაჲ ვნებათაგან, • ბნელისა საქმეთა, • და დღესა მას • საშინელებით • მოსლვასა ქრისტესსა • მეოხ-გუეყვენით ჩუენ, ცოდვილთათჳს. • ცრემლით შეგივრდებით თქუენ, • რომელნი-ესე • წოდებულ[4] ვართ[5] • მოწაფედ[6] ქადაგებისა თქუენისა და მგალობელად • სამებისა ერთარსებისა, • ღმრთისა სამგუამოვნისა[7].

სხუანი[8]. *მძლე-ექმენ[9] შენ[10]...*

მოწაფენი შენნი, • ქრისტე მეუფეო, გამოაბრწყინვენ • ნათლად მსხდომარეთა ბნელსა[11] ცოდვისასა, • რომელთა განანათლნეს • ყოველნი ცისკიდენი • და აუწყეს მათ ძალი ღმრთეებისა[12] შენისაჲ[13]. • მათ მიერ, სახიერო, • შეგჳწყალენ ჩუენ.

მოძღურისაგან ბრძნისა • ისწავეთ თქუენ[14] ჴელოვნებაჲ[15], ყოვლადქებულნო • მოციქულნო, და დაამტკიცეთ ეკლესიაჲ • კლდესა ზედა შეუძრავსა • მცნებათა მათ თქუენთასა • და მას შინა[16] შემკრიბენით ჩუენ მგალობელად • ქრისტესა და აწ ევედრენით მას • ჴსნად სულთა ჩუენთათჳს.

მეტყუელებაჲ ბრძენთაჲ • მოუძლურდა, რაჟამს • ესმა მოძღურებაჲ თქუენი • ღმრთივსწავლული, ყოვლად•წმიდანო მოციქულნო, • რომელსაცა მოგცემდა თქუენ • უხუებით[17] სულიწმიდაჲ • და[18] მსწრაფლ შეიწყნარეს მათ სწავლაჲ თქუენი, ღირსნო[19], • და განათლდეს[20] ცნობითა • ჭეშმარიტითა[21].

მოსლვასა მას შენსა • საშინელსა ზეცით • დიდებით მეორედ[22], • რაჟამს მიაგებდე[23] მოყუარეთა შენთა • საუკუნოდ ცხორებასა, • მაშინ ნუ მოიჯსენებ, • იესუ[24] სახიერო[25], • მრავალთა მათ ცოდვათა[26] ჩუენთა[27] სიმრავლესა[28]. • კაცთმოყუარეო ღმერთო, • შეგჳწყალენ ჩუენ[29].

---

1 მისისა **D**, მისა **PS**. **2** ითხოეთ **S**. **3** ჩუენთა **S**. **4** მოწოდებულ **H**. **5** ვარით **AQ**, ვართ + ჩუენ **T**. **6** მოწფად **QT**. **7** ღმრთისა სამგუამოვნისა] ყოველთა მეუფისა **HT**, მზისა მის სიმართლისა ... ღმრთისა სამგუამოვნისა – **N**. **8** სხუანი] სხოაჲ **S**. **9** მძლე-ექმ... **IN**, მძლე-ექმე... **Q**. **10** შენ + ქრისტე **DPST**, შენ – **HINQ**. **11** ბნელსა + მას **HT**. **12** ღმრთეებისაჲ **H**. **13** შენისაჲ – **H**. **14** თქუენ – **Q**. **15** ჴელოვნებაჲ] ჴელმწიფებაჲ **IN**. **16** შინა – **I**, მას შინა – **N**. **17** უხუებით] უხუად **P**. **18** და – **Q**. **19** ღირსნო – **T**. **20** განნათლდეს **Q**. **21** მეტყუელებაჲ ბრძენთაჲ ... ცნობითა ჭეშმარიტითა – **IN**. **22** ~მეორე დი **S**. **23** მიაგებდე + შენ **T**. **24** იესო **A**. **25** იესუ სახიერო – **T**. **26** ცოდვათა] შეცოდებათა **T**. **27** ჩუენთა] ჩემთა **S**. **28** სიმრავლესა – **Q**, სიმრავლესა] მჴსნელო და **T**. **29** მოსლვასა მას შენსა ... შეგჳწყალენ ჩუენ – **HIN**.

ჴადაგნო ქრისტესნო, • მოციქულნო, წინაჲსწარმეტყუელნო და მარტჳლნო, • ნუ დასცხრებით აწ[1] ვედრებად მისა[2] • ჩუენ, მოსავთა თქუენთათჳს, • რაჲთა ოხითა თქუენითა • მოგუანიჭოს[3] შენდობაჲ • შეცოდებათა ჩუენთაჲ, რომელნი ვღაღადებთ: • კაცთმოყუარეო ღმერთო, შეგჳწყალენ ჩუენ[4].

ღმრთისმშობელო, დედაო	**A** 194r, **D** 106v, **H** 228r, **S** 72v, **T** 75r.			
ყოველნი ნათესავნი	**A** 194r, **D** 107r.			
შენ, რომელი ჯუარსა ზედა	**A** 193v, **D** 106v, **N** 270v, **P** 202r, **S** 72v, **T** 75r.			
ჯსენებაჲ მოწამე-თაჲ	**A** 194r, **D** 107r, **H** 228r, **Q** 89v, **T** 75v, **e** 306v.	**j** 326.		
ჯუარი შენი, უფალო	**A** 194r, **D** 106v, **H** 228r, **Q** 89v, **T** 75r, **e** 306v, **j** 326.			

საგალობელთა სანოტო ხელნაწერების შესახებ

პარაკლიტონის ჰიმნოგრაფიული მასალა **XIX-XX** საუკუნეების მრავალ სანოტო ხელნაწერშია მოცემული. მათ შორისაა ძლისპირებიც და ცალკეული დასდებლებიც.

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოყენებული გვაქვს ექვთიმე კერესელიძის, ფილიმონ ქორიძის და რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერები[1]. რიგ შემთხვევებში თანამედროვე ბეჭდურ გამოცემებსაც ვიყენებთ. უნდა აღინიშნოს, რომ ერთი და იგივე საგალობელი სხვადასხვა ხელნაწერში განსხვავებული ვარიანტებით გვხვდება. ჩვენ, საჭიროებისამებრ, ყოველ მათგანს ვითვალისწინებთ.

ქვემოთ წარმოვადგენთ მცირე ცნობებს ამ ხელნაწერებისა და მათში შესულ საგალობელთა იმ ნიმუშების შესახებ, რომლებსაც წინამდებარე კრებულში ვაქვეყნებთ[2].

1. ხელნაწერები:

Q 672 – კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული წმ. ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი.

ამ კრებულიდან ჩვენ ვაქვეყნებთ კვირადღის პირველი გვერდითი და მეორე გვერდითი ხმების ***«უფალო-ღაღადყავსას»*** თვითავაჯ დასდებლებს, რომლებსაც შესაბამისი ხმის ***«უფალო-ღაღადყავსას»*** ჰანგი აქვთ. ისინი ხელნაწერში განთავსებულია შემდეგ გვერდებზე: 135-162. ეს საგალობლებია (№ 74-80, 82-89, 91):

ჴმაჲ ა გუერდი
პატიოსნისა ჯვარისა[3];
რომელმან აღდგომა;
დიდი საკვირველი;
სამწუხროსა თაყვანისცემასა;
წინამძღვარსა ცხოვრებისა ჩვენისასა;
დასისაგანთა ეტყოდეს;
უფალო, რომელმან ჯოჯოხეთი;
ზღვასა მას ზედა მეწამულსა.
ჴმაჲ ბ გუერდი
ძლევა გაქვნდა;

---

1 *ხელნაწერთა აღწერილობა მოცემულია შემდეგ პუბლიკაციებში: ქართული საგალობლების ხელნაწერთა აღწერილობა 2013; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა 1958. ჯერჯერობით არ არის გამოქვეყნებული დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერების აღწერილობა.*

2 *„ჰიმნოგრაფიული კრებულის“ II და III ტომში მოცემულ ხელნაწერთა აღწერილობას აქ აღარ ვიმეორებთ.*

3 *წინამდებარე თავში საგალობელთა დასახელებებს იმ ფორმით ვტოვებთ, როგორც ისინი სანოტო ხელნაწერებშია მოცემული.*

დღეს ქრისტემან;
შენ, უფალო, რომელი-ეგე ხარ;
ჟვარითა შენითა, ქრისტე;
მარადის ვაკურთხევდეთ;
დიდება ძალსა შენსა;
დაფლვამან შენმან;
ვინ არა განატრიდეს.

Q 672-დან ასევე დამოწმებული გვაქვს: პირველი გვერდითი და მეორე გვერდითი ხმების ჭრელი ***«უფალო-ღაღადყავსა»*** (გვ. 49-54, № 32-33) და ***«დიდება. აწ და»*** (გვ. 147, 159; № 81, 90); მეორე გვერდითი ხმის სადა ***«უფალო-ღაღადყავსა»*** (გვ. 62, № 36).

Q 673 – კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული წმ. ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი.

ამ ხელნაწერი კრებულიდან ჩვენ შემდეგ საგალობლებს ვაქვეყნებთ: ***«გუნდნი ანგელოზთანი»***[1]***, ხმა ა გვერდი*** (გვ. 461, № 249); ამავე საგალობლის გამშვენებული ვარიანტი – გვ. 475, № 258.

Q 684 – კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული წმ. ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი.

ამ ხელნაწერიდან ვაქვეყნებთ ძლისპირს: ***«ყოველი სასოება», ხმა ბ გვერდი*** (გვ. 5 **(6r)**, № 4). მოძახილისა და ბანის შეწყობა შეცვლილია საგალობლის – ***«იხარებს სული შენის»*** მიხედვით (იხ. ქართული საეკლესიო გალობა 2008, V: 10)[2].

ასევე, ამ კრებულიდან ჩვენ გამოვიყენეთ პირველი გვერდითი და მეორე გვერდითი ხმების ძლისპირთა ჰანგები, რომლებიც ერთმანეთის მსგავსი მელოდიური ფორმულებითაა აკინძული. ეს ჰანგები ჩვენ იმ სტიქარონთა ძლისპირებს მივუსადაგეთ, რომელთა ჰანგიც სანოტო ხელნაწერებში ვერ მოვიძიეთ. ესენია: ***«მღვა წიაღვლო ისრაელმან», ხმა ა გვერდი*** (გვ. 148 **(77v)**, № 124), ***«მიუძღვანეს უფსკრულსა», ხმა ა გვერდი*** (გვ. 124 **(65v)**, № 102) და ***«წმიდანი შენნი ყრმანი», ხმა ბ გვერდი*** (გვ. 52 **(29v)**, № 42).

Q 686 – კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული წმ. ფილიმონ ჭორიძის, წმ. ექვთიმე კერესელიძისა და დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერი.

---

1 *წმ. გიორგი მთაწმინდელის პარაკლიტონის ავტოგრაფულ ნუსხაში* ***«გუნდნი ანგელოზთანის»*** *და მისი შემდგომი დასდებლების დედან ჰანგად მითითებულია ძლისპირი* ***«მოვედით, აღვიდეთ მთასა»*** **(***იხ.* **Ath. 45, 250r).**

2 *აღვნიშნავთ, რომ ხსენებული ძლისპირის ჰანგი მრავალ ხელნაწერშია დაცული, რომელთა შორის გვხვდება ვარიანტული სხვაობები. მარცვლების რაოდენობიდან გამომდინარე, ჩვენ ბოლო მუხლი აღებული გვაქვს შემდეგ ხელნაწერებიდან:* ***Q 686****, გვ. 60 (32v) № 38;* ***Q 690****, გვ. 187 (82r), № 80;* ***Q 690*** *- გვ. 27 (142r), № 121;* ***Q 693****, გვ. 68 (36v), № 76;* ***Q 693****, გვ. 112 (58v), № 123.*

წინამდებარე კრებულიდან ჩვენ შემდეგ საგალობლებს ვაქვეყნებთ: ***«საცნობელნი ჩვენნი», ხმა ა გვერდი*** (გვ. 5 (**5r**), № 2), ***«ნაცვალად კეთილთა», ხმა ბ გვერდი*** (გვ. 65 (**35r**), № 41), ***„ცხორება არს და სიქადულ», ხმა ბ გვერდი*** (გვ. 89 (**47r**), № 55).

Q 689 – კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული წმ. ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი.

ამ ხელნაწერიდან გამოყენებული გვაქვს ერთი ძლისპირი:

«გიხაროდენ, ღვთისმშობელო», ხმა ა გვერდი (გვ. 19 (**15r**), № 20).

ასევე, ამ ხელნაწერიდან ჩვენ გამოვიყენეთ მეორე გვერდითი ხმის შემდეგი ძლისპირის ჰანგი: ***«რომელმან დაფარა»*** (გვ. 151 (**82r**), № 134). მისი მელოდიური ფორმულები სხვა ძლისპირთა მელოდიურ ფორმულებთან ერთად მივუსადაგეთ სტიქარონთა ძლისპირს ***«შენ, რომელი გარდამოჰვედ»***, რომლის ჰანგიც სანოტო ხელნაწერებში ვერ მოვიძიეთ.

Q 691 – კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული წმ. ფილიმონ ქორიძისა და წმ. ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი.

ამ ხელნაწერიდან ვაქვეყნებთ ერთ საგალობელს: ***«იხარებენ ცანი და ქვეყანა»***[1], ***ხმა ა გვერდი*** (გვ. 19 (**83r**), № 20).

Q 692 – კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული წმ. ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი.

ამ ხელნაწერიდან გამოვიყენეთ ერთი საგალობელი: ***«პასექი ბრწყინვალედ», ხმა ა გვერდი*** (გვ. 147 (**76r**), № 95). ამ საგალობლის პარალელური ვარიანტები დართული გვაქვს პირველი გვერდითი ხმის კვირადღის ღვთისმშობლის დასდებელზე ***«საშინელი და უფროსად დიდებული», ხმა ა გვერდი*** (გამშვენებული კილო).

H 154/V – კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული წმ. ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი.

ხელნაწერი **H 154/V** წმ. ფილიმონ მგალობლის მიერ გურიაშია ჩაწერილი. კრებულში შემდეგი საგალობლებია მოცემული: რვა ხმის „ღმერთი უფალი“; რვა ხმის ***«უფალთა-ღაღადყავსას»*** დასდებლები (ცალ ხმაზეც და სამ ხმაზეც); სხვადასხვა დღის და განგების ჭრელი საგალობლები.

წინამდებარე კრებულიდან ჩვენ ერთ საგალობელს ვაქვეყნებთ: ***«გუნდნი ანგელოზთანი», ხმა ა გვერდი*** (გვ. 178).

2. **ბეჭდური გამოცემები:**

„ქართული საეკლესიო გალობა“ 2006, ტომი I.

„ქართული საეკლესიო გალობის“ I ტომიდან ჩვენს პუბლიკაციაში შესულია პირველი გვერდითი ხმის ***«უფალთა-ღაღადყავსა»*** (გვ. 40-42), რომელიც ჩაწერილია დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძის მიერ. ამ საგალობლის პირველწყაროა ფოლკლორის

1 *ძლისპირს მოპახილი და ბანი, ესე იგი, მეორე და მესამე ხმა, შევუწყვეთ ამავე ჰანგის მქონე სხვა საგალობლების მიხედვით.*

სახელმწიფო ცენტრის არქივის ხელნაწერები №2121 (გვ. 17) და №2124 (გვ. 30).

„ქართული საეკლესიო გალობა“ 2006, ტომი IV.

„ქართული საეკლესიო გალობის“ IV ტომიდან გამოყენებული გვაქვს შემდეგი საგალობელი: ***«აღდგომასა შენსა», ხმა ბ გვერდი*** (გვ. 146, № 96). წინამდებარე საგალობელი გადმოცემულია ცნობილი მომღერლის, დიმიტრი იმედაიშვილის მიერ.

„ქართული საეკლესიო გალობა“ 2017, ტომი VIII.

წინამდებარე პუბლიკაციაში „ქართული საეკლესიო გალობის“ VIII ტომიდან გამოყენებული გვაქვს შემდეგი ძლისპირების მელოდიური ფორმულები: ***«რომელმან დააფუძნე», ხმა ა გვერდი*** (ქსგ VIII, გვ. 57), ***«ესმა მოსლვა შენი», ხმა ა გვერდი*** (ქსგ VIII, გვ. 58), ***«შენ მხოლოსა დამბადებელსა», ხმა ა გვერდი*** (ქსგ VIII, გვ. 63), ***«უკვლეველად», ხმა ბ გვერდი*** (ქსგ VIII, გვ. 67), ***«არავინ არს წმიდა», ხმა ბ გვერდი*** (ქსგ VIII, გვ. 68), ***«სოფლისა მღვა», ხმა ბ გვერდი*** (ქსგ VIII, გვ. 71) და ***«ყრმათა მათ წმიდათა», ხმა ბ გვერდი*** (ქსგ VIII, გვ. 72). წინამდებარე საგალობლების პირველწყაროა ხელნაწერი **Q 673** (№ 449, გვ. 717; № 454, გვ. 724; № 456, გვ. 727; № 460, გვ. 731; № 462, გვ. 735). ჩამოთვლილი ნიმუშების გამოყენებით ავკინძეთ ის ძლისპირები, რომელთა ჰანგებიც სანოტო ხელნაწერებში ვერ მოვიძიეთ.

„ჰიმნოგრაფიული კრებული“ 2020, ტომი I.

„ჰიმნოგრაფიული კრებულის“ პირველი ტომიდან წინამდებარე პუბლიკაციაში ასახულია ერთი ძლისპირის ჰანგი: ***«რომელი ქებულ სარ», ხმა ა გვერდი*** (გვ. 330). წინამდებარე საგალობლის პირველწყაროა ხელნაწერი **Q 674** (გვ. 716).

„ჰიმნოგრაფიული კრებული“ 2023, ტომი II.

„ჰიმნოგრაფიული კრებულის“ მეორე ტომიდან შემდეგი ჰანგია აღებული: ***«სასოწარკუეთილმან ცხორებისათჳს», ხმა ბ გვერდი***[1] (გვ. 635). წინამდებარე საგალობლის პირველწყაროა ხელნაწერი **Q 693** (გვ. 208, (**106v**), № 217).

ბოლოს ჩამოვთვლით წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციის პარაკლიტონის პირველი გვერდითი და მეორე გვერდითი ხმების ***«უფალო-ღაღადყავსას»*** ძლისპირებს ზემოდასახელებულ სანოტო წყაროებზე მითითებით:

ჴმაჲ ა გუერდი

«სუფევს ღმერთი» – ძლისპირის ჰანგი ავკინძეთ შემდეგი ოთხი ძლისპირის მელოდიური ფორმულების გამოყენებით: ***«მღვა წიაღვლო ისრაელმან»*** (**Q 684,** გვ. 148 (**77v**), № 124), ***«მიუძღვანეს უფსკრულსა»*** (**Q 684,** გვ. 124 (**65v**), № 102), ***«შენ მხოლოსა დამბადებელსა»*** (ქსგ VIII, გვ. 63) და ***«ესმა მოსლვა შენი»*** (ქსგ VIII, გვ. 58).

---

1 *მეორე გვერდითი ხმის ძლისპირი **«სასოწარკუეთილმან»** პარაკლიტონში ასევე მეორე ხმას მიეკუთვნება, მაგ., იხ. ჰიმნოგრაფიული კრებული **2023, II: 121, 635.***

«რომელი ქებულ სარ» – ძლისპირის ჰანგი ***„ჰიმნოგრაფიული კრებულის“*** I ტომიდან გვაქვს აღებული (გვ. 56, 330).

«მოვედით, აღვიდეთ» – ძლისპირის ჰანგს ვაქვეყნებთ შემდეგი ხელნაწერების მიხედვით:

Q 673, გვ. 461, № 249.

Q 673, გვ. 475, № 258[1].

Q 686, გვ. 5 **(5r)**, № 2.

Q 689, გვ. 19 **(15r)**, № 20.

H 154/V, გვ. 178.

«რაჟამს შევიდეს» – ძლისპირის ჰანგი ავკინძეთ შემდეგი ძლისპირის მელოდიური ფორმულების გამოყენებით: ***«რომელმან დააფუძნე»*** (ქსგ **VIII**, გვ. 57).

«მამისა თანა მჯდომარემან» – ძლისპირის აქვს ჰანგი ძლისპირისა ***«გიხარობდენნი»***[2].

«გიხარობდენნი» – ძლისპირის ჰანგზეა გაწყობილი დასდებელი ***«იხარებენ ცანი და ქვეყანა»***[3] **(Q 691,** გვ. 19 **(83r)**, № 20).

ჴმაჲ ბ გუერდი

«რომელმან სიბრძნით» – ძლისპირის ჰანგზეა გაწყობილი დასდებელი ***«აღდგომასა შენსა»***[4];

«შენ, რომელი გარდამოჰვედ» – ძლისპირის ჰანგი ავკინძეთ შემდეგი ოთხი ძლისპირის მელოდიური ფორმულების გამოყენებით: ***«უკვლეველად»*** (ქსგ **VIII**, გვ. 67), ***«ყრმათა მათ წმიდათა»*** (ქსგ **VIII**, გვ. 72), ***«წმიდანი შენნი ყრმანი»*** (**Q 684,** გვ. 52 **(29v)**, № 42) და ***«რომელმან დაფარა»*** (**Q 689,** გვ. 151 **(82r)**, № 134).

«უფალო, საკვირველებელსა» – ძლისპირის ჰანგი ავკინძეთ შემდეგი სამი ძლისპირის მელოდიური ფორმულების გამოყენებით: ***«წმიდანი შენნი ყრმანი»*** (**Q 684,** გვ. 52 **(29v)**, № 42), ***«ყრმათა მათ წმიდათა»*** (ქსგ **VIII**, გვ. 72) და ***«სოფლისა ზღვა»*** (ქსგ **VIII**, გვ. 71).

«მძლე-ექმენ შენ, ქრისტე» – ძლისპირის ჰანგი ავკინძეთ მეორე გვერდითი ხმის ორი ძლისპირის მელოდიური ფორმულების გამოყენებით: ***«არავინ არს წმიდა»*** (ქსგ **VIII**, გვ. 68) და ***«ყრმათა მათ წმიდათა»*** (ქსგ **VIII**, გვ. 72)

«ანგელოზთა მგვედრობაჲ» – ძლისპირის ჰანგი ავკინძეთ შემდეგი ორი

---

1 *პარალელური ვარიანტები ჩამატებულია შემდეგი ხელნაწერიდან: **Q 692,** გვ. 147 **(76r)**, № 95.*

2 ***«მამისა თანა მჯდომარემან»*** *Jer. 86-ში მოცემულია პირველ დასდებლად **(2r)**, რომელსაც ახლავს ინციპიტი **«გიხარობდენნი».** ორივე ძლისპირს ერთი და იგივე ღვთისმშობლის დასდებელი აქვს – **«გიხარობდენ, შენ, უმეტეს»** (იხ. ხელნაწ. **Sin. 3, 32r; Sin. 5, 4r).***

3 *დასდებელს **«იხარებენ ცანი და ქვეყანა»** ნოემბრის სადღესასწაულო თვეში მითითებული აქვს ძლისპირი **«გიხარობდენნი»** (იხ. სადღესასწაულო **2013, I: 421).***

4 *ეს ცნობილი ხდება შემდეგი გარემოებიდან: დასდებელი **«აღდგომასა შენსა»** **D** ხელნაწერში **(Ath. 24)** მოცემულია წყვილში, რომელსაც ახლავს მითითება ძლისპირზე **«ჯუარითა შენითა, ქრისტე»** **(60v)**. **«ჯუარითა შენითა, ქრისტე»** ავტოგრაფში **(Ath. 45, 166r)** და **Sin. 13**-ში **(128r)** მოცემულია პირველ დასდებლად წყვილში ძლისპირით **«რომელმან სიბრძნით». «აღდგომასა შენსას»** ჰანგი იხ.: ქართული საეკლესიო გალობა **2006, IV: 146.***

ძლისპირის მელოდიური ფორმულების გამოყენებით: ***«ყრმათა მათ წმიდათა»*** (ქსგ **VIII**, გვ. 72) და ***«წმიდანი შენნი ყრმანი»*** (**Q 684,** გვ. 52 **(29v)**, № 42).

«უბიწოთ ღმრთისმშობელთა» – ძლისპირის ჰანგზეა გაწყობილი დასდებელი ***„ცხორება არს და სიქადულ»***[1] **(Q 686,** გვ. 89 **(47r)**, № 55).

«ყოველი სასოებაჲ» – ძლისპირის ჰანგს ვაქვეყნებთ შემდეგი ხელნაწერის მიხედვით: **Q 684,** გვ. 5 **(6r)**, № 4.

«ნაცვალად კეთილთა» – ძლისპირის ჰანგს ვაქვეყნებთ შემდეგი ხელნაწერის მიხედვით: **Q 686,** გვ. 65 **(35r)**, № 41.

«სასოწარკუეთილმან ცხორებისათჳს» – ძლისპირის ჰანგი ***„ჰიმნოგრაფიული კრებულის“*** **II** ტომიდან გვაქვს აღებული (გვ. 121, 635).

სანოტო დანართში ძლისპირთა ინგლისური შესატყვისები დაზუსტებულია შემდეგი გამოცემების მიხედვით: **Andreev 2013; The Octoechos 1999/2005.** აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციის ლიტურგიკულ ხელნაწერებში მოცემული ზოგიერთი ძლისპირი თანამედროვე პრაქტიკაში გამოყენებულ ლიტურგიკულ კრებულებში აღარ გვხვდება. ასეთ შემთხვევაში, ძლისპირთა ინგლისური შესატყვისები ჩვენ მიერ არის თარგმნილი.

სანოტო დანართში გამოყენებული გვაქვს შემდეგი პირობითი აღნიშვნები:

ქსგ – ქართული საეკლესიო გალობა, **I-VIII** ტომები, კრებულები შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა: მალხაზ ერქვანიძემ

ჰკ – ჰიმნოგრაფიული კრებული, **I-III** ტომები

არტ. – არტემ ერქომაიშვილი, აუდიოჩანაწერი

შს – შემოქმედის სკოლა 2014

მგ – მონასტრული გალობა 2008-2014

---

1 *Ath. 38-ში* ***«უბიწოთ ღმრთისმშობელთა»*** *მოცემულია დასდებლის –* ***«ცხორება არს და სიქადულ»*** *– ძლისპირად* ***(328v).***

«უფალო-ღაღადყავსას» ძლისპირი «მოვედით, აღვიდეთ»

«უფალო-ღაღადყავსას» ძლისპირი ***«მოვედით, აღვიდეთ»*** **X-XI** საუკუნეების არაერთ ძლისპირთა ნუსხაშია შეტანილი. იგი მიეკუთვნება პირველ გვერდით ხმას. ქვემოთ მოგვყავს ხსენებული ძლისპირის ტექსტი, ხოლო სქოლიოებში ვუთითებთ ვარიანტულ სხვაობებს, რომლებიც სხვადასხვა ხელნაწერშია წარმოდგენილი. კრიტიკული ტექსტის დასადგენად გამოყენებული გვაქვს **X-XI** საუკუნეების ოთხი ხელნაწერი: **Sin. 1 (139r), Sin. 5 (342r), Sin. 13 (245r)** და **Sin. 34 (73r).**

მოვედით[1]***, აღვიდეთ მთასა ღმრთისასა***[2] ***ზეთისხილთასა***[3]***, • თავმოდრეკით ვის-მინოთ • ჴმაჲ იგი საღმრთოჲ, • კურთხევაჲ მოწაფეთაჲ***[4]***: • მამაო, რომელნი***[5] ***მოგცენ, • შენვე დაიცევნი მშჳდობით • ქუეყანასა ზედა მორწმუნენი***[6]***, • გა-მომთქუმელნი საიდუმლოთა***[7]***, • მაქებელნი სახელსა შენსა.***

ძლისპირზე ***«მოვედით, აღვიდეთ»*** მრავალი დასდებელია გაწყობილი, რომლებიც სხვადასხვა ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულში გვხვდება[8]. ჩვენი კვლევის მიზანია:

• იმ დასდებლების გამოვლენა, რომლებსაც წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციის სხვადასხვა კრებულში წამძღვარებული აქვთ ძლისპირი ***«მოვედით, აღვიდეთ».***

• იმავე დასდებლების გამოვლენა **XIX-XX** საუკუნეების სანოტო ხელნაწერებში.

• ხსენებული დასდებლების ნოტირებული ნიმუშების არსებობის შემთხვევაში, იმის დადგენა, აქვთ თუ არა მათ საერთო ჰანგი ძლისპირისა ***«მოვედით, აღვიდეთ»***.

პირველ ყოვლისა, წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციის პარაკლიტონზე გავამახვილებთ ყურადღებას. ხელნაწერში **Ath. 45 (XI ს.)** წარმოდგენილია ექვსი დასდებელი სახელწოდებით: „დასდებელნი ადგომისანი, რომელნი ითქუმიან კურ[ი]აკისა ღამისთევასა ნეტარარიანთა შემდგომად, საბაწმიდას. ჴმაჲ ა გუერდი“ **(250r)**. მათ ინციპიტით მითითებული აქვთ ძლისპირი ***«მოვედით, აღვი...»***[9]**,** ესენია:

---

1 მოვედით + და **Sin. 13**

2 ღმრთისასა] წმიდასა **Sin. 5**

3 ზეთისხილთასა + და **Sin. 13**

4 მოწაფეთაჲ] მოციქულთაჲ **Sin. 5**

5 რომელნი] რომელნი-ესე **Sin. 5**

6 მორწმუნენი + და **Sin. 1, Sin. 13, Sin. 34**

7 საჲდუმლოთა **Sin. 1,** საიდუმლოთა + და **Sin. 5**

8 *აღვნიშნავთ, რომ სანოტო ხელნაწერებში ამ ძლისპირის ჰანგი მრავალი დასდებლით არის მოღწეული, ხოლო უშუალოდ ძლისპირის ტექსტის ნოტირებული ნიმუში არ გვხვდება.*

9 *დასდებელთა ეს ჯგუფი გიორგი მთაწმინდელის რედაქციის პარაკლიტონის სხვა ნუსხებშიც დასტურდება:* ***Ath. 26 (XV-XVI), 392v; Jer. 131 (XI-XII), 13r; Jer. 41 (XIII-XV), 235r.***

«გუნდნი ანგელოზთანი»;
«ჴ, მოწაფენო ქრისტესნო»;
«ფრიად მსთუად მირბიოდეს»;
«დედანი, რომელნი განთიად»;
«თაყუანის-ვსცემთ მამასა»;
«ცხორებაჲ ადამის ბრალთაგან».

ექვსივე დასდებელი აღმოჩნდა გელათის სკოლის საგალობლების შემცველ **XIX-XX** საუკუნეების სანოტო ხელნაწერებში. მათ შორისაა როგორც სადა, ისე გამშვენებული ნიმუშები[1]. საგალობელთა შედარების შედეგად გაირკვა, რომ ექვსივე მათგანს საერთო ჰანგი აქვს. იგივე დასდებლები მოვიძიეთ ქართლ-კახური კილოს ნიმუშთა შორისაც, სადაც უკლებლივ ყველა მათგანი მოიპოვება. ნიშნეულია, რომ მათაც აქვთ საერთო ჰანგი, რომელიც გელათურის იდენტურია[2]. დავიმოწმებთ პირველი დასდებლის (***«გუნდნი ანგელოზთანი»***) გელათის სკოლის ნოტირებულ ნიმუშებს – როგორც სადას, ისე გამშვენებულს (იხ. **სანოტო მაგალითები №1,** გვ. 102 და **№2,** გვ. 104).

დასდებლები, რომლებსაც წამძღვარებული აქვთ ძლისპირი ***«მოვედით, აღვიდეთ»***, შუა საუკუნეების სხვა ქართულ ხელნაწერებშიც დასტურდება. ერთ-ერთი ასეთია, მაგალითად, წმ. გიორგი მთაწმინდელის მარხვანის შემცველი ხელნაწერი – **Ath. 38 (XII** ს.**),** რომელშიც დიდი პარასკევის ღამისთევის განგებაა წარმოდგენილი. აქ დასდებლების – ***«საცნობელნი ჩუენნი»*** **(322v)** და ***«ჯუარცუმად შენდა»***[3] **(325r)** –

აღსანიშნავია, რომ ინციპიტი ***«მოვედით, აღვიდეთ»*** *ანტონ I კათალიკოსის მიერ რედაქტირებულ პარაკლიტონშიც გვხვდება (პარაკლიტონი* ***1998: 683).***

1 *ექვსივე დასდებლის ნოტირებული ნიმუშები იხილეთ შემდეგ ხელნაწერებში:* ***Q 673, 461-474, 475-504; H 154/IV, 78r-84v; H 154/V, 178-196; H 154/VII, 84r-86v.***

დასდებლების გელათის სკოლის ნიმუშები გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში: ქართული საეკლესიო გალობა ***2006, I: 158;*** *ანთოლოგია* ***2020, XV: 361-401, 404-430;*** *იხ. ასევე წინამდებარე გამოცემა, გვ.* ***149, 163.***

2 *დასდებლების ნოტირებული ნიმუშები იხილეთ შემდეგ ხელნაწერში: ფსცხ* ***2126, 10-23.***

აღმოსავლეთის სკოლის ნიმუშები გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში: ცისკარი ***1898: 176-186;*** *ქართული საეკლესიო გალობა* ***2008, III: 173;*** *სვეტიცხოვლის სკოლა* ***2012: 35-53;*** *ანთოლოგია* ***2019, XI: 108-132.***

3 *ორივე დასდებელი გამოცემულია: ანთოლოგია* ***2022, XXIV: 56, 180.*** *ამ კრებულში დასდებლებთან –* ***«საცნობელნი ჩუენნი»*** ***(322v)*** *და* ***«ჯუარცუმად შენდა»*** ***(325r)*** *– დაკავშირებით აღნიშნულია, თითქოს მათი დედანი განსხვავებული ჰანგითაც გვხვდება. იხ. ერთ-ერთი სქოლიო: „დედანი განსხვავებული –* ***V*** *ხმის ტროპართა ჰანგით –* ***H154/II: 165r; Q 691:302r“*** *(ანთოლოგია* ***2022, XXIV: 56).*** *სინამდვილეში, ხსენებულ ორ სანოტო ხელნაწერში მოცემული დასდებელი არა* ***«უფალო-ღაღადყავსას»*** *ძლისპირი, არამედ ფერისცვალების ლიტიის თვითთავადი დასდებელია (სადღესასწაულო* ***2013, II: 394),*** *რომელიც დასაწყისი სიტყვებით ჰგავს* ***«უფალო-ღაღადყავსას»*** *ძლისპირის ტექსტს. სწორედ დასაწყისი სიტყვების მსგავსებამ გამოიწვია მცდარი დასკვნის გამოტანა. სიცხადისთვის ორივე საგალობლის ტექსტს მოვიხმობთ.*

«უფალო-ღაღადყავსას» *ძლისპირი:*

«მოვედით და (Sin. 13) აღვიდეთ მთასა ღმრთისასა მეთისხილთასა, თავმოდრეკით ვისმინოთ ჴმაჲ იგი საღმრთოჲ, კურთხევაჲ მოწაფეთაჲ: მამაო, რომელნი მოჰცენ, შენვე დაიცევენი მეშჯობით ქუეყანასა მედა მორწმუნენი, გამომთქუმელნი საიდუმლოთა, მაქებელნი სახელსა შენსა».

ინციპიტია ***«მოვედით, აღვიდეთ»***[1] (ხელნაწ. **Ath. 38, 322v, 325r;** ანთოლოგია 2022, **XXV**: 349, 354). **XIX-XX** საუკუნეების სანოტო ხელნაწერებში ორივე დასდებელია დამოწმებული (ეს ხელნაწერებია: **Q 686, 5r, 27v** და *ფსცხ* **2128, 12, 108**); ორივე მათგანი ზემოხსენებული ექვსი დასდებლის ჰანგს იმეორებს (მათი ნოტირებული ნიმუშები იხ. **სანოტო მაგალითებში №3**, გვ. 107 და **№4**, გვ. 109. ეს ფაქტი მყარ საფუძველს ქმნის იმისთვის, რომ გამოვლენილი კანონზომიერების მიზეზად ძლისპირი ***«მოვედით, აღვიდეთ»*** მივიჩნიოთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პარაკლიტონიდან და მარხვანიდან დამოწმებულ დასდებლებს მითითებული აქვთ ძლისპირი ***«მოვედით, აღვიდეთ».*** ნიშნეულია, რომ სანოტო ხელნაწერში (**Q 686**) ორივე დასდებელს სარჩევში ახლავს ინციპიტი ***«მოვედით, აღვიდეთ».*** მართალია, რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერში (*ფსცხ* **2128**) დასდებლებთან ძლისპირი ***«მოვედით, აღვიდეთ»*** არსად (არც სარჩევში და არც დასდებლების თავში) არ დასტურდება, თუმცა მათი ჰანგი ხსენებული ძლისპირის მსგავსია. ეს დასდებლები ანტონ **I** კათალიკოსის მიერ რედაქტირებულ მარხვანშიც მოვიძიეთ. აქაც მათ წინ უძღვის ძლისპირი ***«მოვედით, აღვიდეთ»*** (მარხვანი 1901: 523, 525). ეს ფაქტი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ რედაქტირებულმა ჰიმნოგრაფიულმა კრებულებმა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში საყოველთაო აღიარება და გავრცელება პოვა, რის შედეგადაც მთაწმინდელი მამის მიერ გამოყენებული ძლისპირები დღევანდელ დღემდე უცვლელად შენარჩუნდა.

ამჯერად შევეხებით წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციის ზატიკის შემცველ ერთ-ერთ ხელნაწერს, კერძოდ, **Ath. 34**-ს **(XI-XII)**, რომელშიც **5v**-ზე მოცემულია ***«აქებდითსას»*** ოთხი დასდებელი ინციპიტით ***«მოვედით, აღვიდეთ»***[2]. ეს დასდებლებია:

«პასექი ბრწყინვალედ»;
«ხილვით მოვედით»;
«მატიკად ჩუენდა»;
«აღდგომისა დღე არს და».

ამ ოთხი დასდებლიდან სანოტო ხელნაწერებში მხოლოდ სამია დაფიქსირებული. სამივე მათგანის ჰანგი გამშვენებული სახითაა წარმოდგენილი და თანხვდება ზემოთ

ფერისცვალების დღესასწაულის ლიტიის თვითთავადი დასდებელი (ვიმოწმებთ სანოტო ხელნაწერებში დაფიქსირებულ ტექსტს):

«მოვედით და აღვიდეთ მთად უფლისად და სახიდ ღმრთისა ჩვენისა, და ვიხილოთ დიდება ფერისცვალებისა მისისა, დიდება ვითარცა მხოლოდშობილისა მამისა მიერ, ნათლითა მოვიღოთ ნათელი, და აღმატებულ-ქმნილნი სულითა, სამებასა თანაარსსა უგალობდეთ საუკუნეთა».

*როგორც ვხედავთ, მოხმობილი საგალობლები მხოლოდ და მხოლოდ დასაწყისი სიტყვებით ჰგავს ერთმანეთს. შესაბამისად, **«უფალო-ღაღადყავსას»** ძლისპირის – **«მოვედით და აღვიდეთ მთასა ღმრთისასა»** – ჰანგი სანოტო ხელნაწერებში პირველი გვერდითი (**V**) ხმის ტროპართა ჰანგით არ გვხვდება, არამედ წარმოდგენილია იმ ერთადერთი ჰანგით, რომელიც წინამდებარე თავში გვაქვს განხილული.*

1 *როგორც ცნობილია, დიდი პარასკევის განგებაში წარმოდგენილი ჰანგები წმ. გიორგი მთაწმინდელმა თვითონ შეუფარდა დასდებლებს, ხოლო ბერძნულ დედანში ისინი სხვა ჰანგებზე იგალობებოდა (იხ. ჰიმნოგრაფიული კრებული **2023, II: 42**).*

2 *იგივე მონაცემი ზატიკის შემცველ სხვა ნუსხებშიც დასტურდება. მაგ., იხ. **Ath. 63 (XI-XII), 6r.***

ხსენებული პარაკლიტონის ექვსი დასდებლის ჰანგს[1]. დანართში მოგვყავს პირველი დასდებლის – ***«ჰასექი ბრწყინვალედ»*** – ნოტირებული ნიმუში (იხ. **სანოტო მაგალითი №5**, გვ. 111). განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ***«აქებდითსას»*** პირველი დასდებლის – ***«ჰასექი ბრწყინვალედ»*** – ერთადერთ აუდიოჩანაწერში, რომლითაც არტემ ერქომაიშვილის მიერ შესრულებულ ნიმუშს ვეცნობით, ზემოთ განხილული დასდებლების ჰანგი ჟღერს[2]. მისი ნოტირებული ნიმუში მოგვყავს **სანოტო მაგალითში №6**, გვ. 114. ამასთან, ხსენებული დასდებლები ქართლ-კახური კილოს ნიმუშებშიც მოიპოვება და ყველა მათგანი გელათის სკოლის ჰანგის იდენტურია[3].

აღსანიშნავია, რომ ბერძნულ-სლავურ ზატიკში წარმოდგენილი ***«აქებდითსას»*** სტიქარონები თვითავაჯ დასდებელთა ჯგუფს მიეკუთვნება და არსად არ დასტურდება მათი კავშირი ძლისპირთან ***«მოვედით, აღვიდეთ»***. მაგალითად, რომში 1884 წელს გამოცემულ ბერძნულ ზატიკში ***«აქებდითსას»*** დასდებლები უძლისპიროდაა მოცემული (**ΠΕΝΤΗΚΟΣΤΑΡΙΟΝ** 1884: 12), ხოლო კრებულში **Antologia Graeca Carminum Christianorum** („ქრისტიანული საგალობლების ბერძნული ანთოლოგია“) ***«აქებდითსას»*** საკვლევ წყვილს აქვს მითითება **ἰδιόμελα** (თვითავაჯნი) (**Antologia Graeca** 1871: 95). 1653 წლის სლავურ ზატიკში ხსენებული დასდებლები, ასევე, უძლისპიროა (**Свято-Троицкая Лавра № 1076, 203г**).

ანტონ I კათალიკოსის მიერ რედაქტირებულ ზატიკში დასდებელი ***«ჰასექი ბრწყინვალედ»*** ინციპიტის გარეშეა წარმოდგენილი (ზატიკი 1863: 9). ამას თავისი ახსნა მოეპოვება: მწყემსმთავარმა ქართული საღვთისმსახურო კრებულების რედაქტირება განახორციელა ბერძნულ-სლავური კრებულების მიხედვით, რომლებშიც ***«აქებდითსას»*** ზემოთ ხსენებული დასდებლები უძლისპიროა და თვითავაჯ სტიქარონთა ჯგუფს მიეკუთვნება.

საგულისხმოა, რომ ***«აქებდითსას»*** საკვლევი წყვილი საერთოდ არ გვხვდება შემდეგ იადგარებში: **Sin. 1** (X ს. I ნახ.), სვან. 488 (იელის იადგარი, X-XI სს.), **Sin. 14** (X ს.), **Sin. 18** (X ს. I ნახ.), **Sin. 26** (X ს.-ის შუა წლები), **Sin. 34** (X ს.-ის შუა წლები), **Sin. 64** (X ს. II ნახ.). მათ ნაცვლად ამ კრებულებში სხვა დასდებლებია დაფიქსირებული[4]

---

1 *ხსენებული სამი დასდებელი შემდეგ სანოტო ხელნაწერებში გვხვდება: **Q 692, 76r-79r, 83v-85r; Q 667, 58r-66v, 77r-81r; Q 678, 61r-67r, 75v-78v**. დასდებელები გამოცემულია (იხ.: ანთოლოგია **2019, IX: 218-224, 234**).*

2 *იხ.: შემოქმედის სკოლა **2014: 35**.*

3 *დასდებლების ნოტირებული ნიმუშები იხილეთ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ შემდეგ ხელნაწერებში: **N 264-II-01, 29-32; N 264-II-02, 23-26, 30-31**.*

4 *აღსანიშნავია, რომ უკლებლივ ყველა ამ კრებულში სხვადასხვა თანმიმდევრობით ფიქსირდება შემდეგი ოთხი დასდებელი: «**აქებდით ცანი**», «**მოვედით და მივეგებვოდით**», «**აღვსებაჲ ჩუენი ქრისტე**» და «**სიონი განშუენდების**». ყველა შემთხვევაში ისინი უძლისპიროდაა მოცემული. აღვსების კანონთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის ლილი ხევსურიანი: „აღვსების დამასკელისეული კანონის თარგმნას ქართულ ლიტურგიკულ მწერლობაში საკმაოდ სანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. იგი თავდაპირველად ითარგმნა მაშინ, როცა ქართულ ღვთისმსახურებაში უძველესი იადგარი იყო დამკვიდრებული და პირველად სცადეს წმ. იოანე დამასკელის თაობის ჰიმნოგრაფთა საგალობლების თარგმნა. ამ თარგმანში ჯერ კიდევ*

(იხ. უძველესი იადგარი 1980: 546-547; სვან. 488, **168v; Sin. 1, 125v-126r; Sin. 14, 160r**[1]**; Sin. 18, 119v; Sin. 26, 101r; Sin. 34, 70v-71r; Sin. 64, 143v**).

«აქებდითსას» პირველი დასდებლის – ***«პასექი ბრწყინვალედ»*** – ტექსტი განსხვავებული რედაქციით გვხვდება **Sin. 5**-ში (1052 წ.) და იწყება ამგვარად: ***«ბრწყინვალედ შუენიერი პასექი»* (310v).** მას ახლავს მითითება ძლისპირზე ***«მოვედით, ა...»***. იგივე რედაქცია მოცემულია **Sin. 70**-შიც **(XII-XIII, 245v)**, იმ განსხვავებით, რომ მას მითითება ძლისპირზე არ ახლავს.

განხილული ხელნაწერების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დასდებელი ***«პასექი ბრწყინვალედ»* XI** საუკუნემდე არ იყო თარგმნილი, ხოლო მის ნაცვლად სხვა დასდებლები იგალობებოდა. **XI** საუკუნეში ეს დასდებელი უცნობი მთარგმნელის მიერ ქართულად ითარგმნა ძლისპირზე ***«მოვედით, აღვიდეთ»***. იმავე საუკუნეში წმ. გიორგი მთაწმინდელმა კვლავ თარგმნა ეს დასდებელი იმავე ძლისპირზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ბერძნულ ზატიკში ეს საგალობელი თვითავაჯ დასდებელთა რიცხვს მიეკუთვნება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ცისკრის მეცხრე გალობის (***«ადიდებდითსა»***) ძლისპირი ***«გიხაროდენ, ღმრთისმშობელო»*** და მისი მიმართება ძლისპირთან ***«მოვედით, აღვიდეთ»***. პირველ ყოვლისა, დავიმოწმებთ მის ტექსტს:

***«გიხაროდენ, ღმრთისმშობელო, მორწმუნენი გიღაღადებთ, რამეთუ შენგან იშვა ღმერთი უფალი, მეუფჱ საუკუნოჲ, იხილვა მსგავს ძეთა კაცთა. იერუსალემისა ასულნო, მოვედით და გალობით ღაღადებდით: კურთხეულ ხარ შენ, რომელმან გჳშუე ჭორციელად ღმერთი ყოველთაჲ»* (მეტრეველი 1971: 145).

ეს საგალობელი **X-XI** საუკუნეების ძლისპირთა ნუსხებში წარმოდგენილია ცისკრის მეცხრე გალობის (***«ადიდებდითსა»***) ძლისპირად[2], ხოლო იმავე საუკუნეების ***«უფალო-ღაღადყავსას»*** ძლისპირთა ნუსხებში – ღვთისმშობლის დასდებლად (ე. წ. ღმრთისმშობლისად) ***«უფალო-ღაღადყავსას»*** ძლისპირისა ***«მოვედით, აღვიდეთ»* (Sin. 1, 139r; Sin. 5, 4r; Sin. 13, 118r, 245v; Sin. 34, 73r).**

მეცხრე გალობის (***«ადიდებდითსა»***) ძლისპირი – ***«გიხაროდენ, ღმრთისმშობელო»*** **XIX-XX** საუკუნეების სანოტო ხელნაწერში, **Q 689**-შია **(15r)** შესული და იმეორებს ზემოთ განხილული დასდებლების ჰანგს (საგალობლის ნოტირებული ნიმუში

---

*არ არის განხორციელებული ძლისპირ-ტროპართა მეტრული შენაფარდების ის პრინციპი, რაც ორიგინალში აღნიშნულ კანონს უდევს საფუძვლად. როგორც უკვე ცნობილია, ეს თარგმანი დამასკელის კანონისა აღმოჩნდა უძველესი იადგარის ერთ-ერთ ნუსხაში – **Sin. 18**-ში, და იგი მკითხველისთვის უკვე ცნობილია ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოცემით (უძველესი იადგარი **1980: 544-547**) ... აღვსების კანონის მეორე თარგმანი განხორციელდა იადგარის ახალი რედაქციის ჩამოყალიბების პროცესში, ჰიმნოგრაფიული კანონის სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც პირველ თარგმანში გათვალისწინებული არ ყოფილა. ეს თარგმანი შესულია **X** ს-ის დიდი იადგარის ნუსხათა უმეტესობაში **(Sin, 1, Sin. 14, Sin. 26, Sin. 34, Sin. 64,** წვირმისა და იელის ხელნაწერები). იგივე თარგმანი მცირედენი ტექსტობრივი შესწორებებით შეტანილია ტრიოდიონის გიორგი მთაწმინდელამდე არსებულ რედაქციაში, რომელიც **Sin. 5**-ის სახით შემოგვენახა“ (ნარკვევები **2016: 89**).*

1 *აქ ამ დასდებლებს აწერია „ქართულნი“.*

2 *იხ. მეტრეველი **1971: 145**; კოკნაძე **1982: 525**.*

მოგვყავს **სანოტო მაგალითში №7,** გვ. 117). ამდენად, საგალობელთა შედარების შედეგად ირკვევა, რომ მეცხრე გალობის (***«ადიდებდითსა»***) ძლისპირი ***«გიხარიდენ, ღმრთისმშობელო»*** ექვემდებარება ***«უფალო-ღაღადყავსას»*** ძლისპირს – ***«მოვედით, აღვიდეთ»***. გამოვლენილი თანხვედრა საკვლევი ძლისპირის ჰანგის არქაულობაზე მიუთითებს.

ძლისპირის – ***«მოვედით, აღვიდეთ»*** – ჰანგზე გაწყობილი დასდებლები ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის პარაკლისშიც გვხვდება. მათი საერთო რაოდენობა არის ხუთი (იხ. ხელნაწ. **Q 672, 730-738**[1]).

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ წარმოებული კვლევის შედეგად გამოვლენილია თორმეტი დასდებელი, რომლებიც სხვადასხვა ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულშია შესული. თორმეტივე მათგანს წამძღვარებული აქვს ***«უფალო-ღაღადყავსას»*** ძლისპირი ***«მოვედით, აღვიდეთ».*** თორმეტი დასდებლიდან თერთმეტი დადასტურდა **XIX-XX** საუკუნეების სხვადასხვა სანოტო ხელნაწერში. ნოტირებული ნიმუშების შედარების შედეგად გაირკვა, რომ თერთმეტივეს საერთო ჰანგი აქვს. ამასთან, დასდებელი ***«ჰასქი ბრწყინვალედ»*** გასული საუკუნის არტემ ერქომაიშვილისეული აუდიოჩანაწერის სახითაც არის მოღწეული, რომელიც იმავე ჰანგს გადმოგვცემს.

განხილულ დასდებელთა ჰანგის იდენტურობა განპირობებულია მათთვის საერთო ძლისპირით ***«მოვედით, აღვიდეთ».*** იგი ***«უფალო-ღაღადყავსას»*** ძლისპირია და წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციის ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულებში ზემოხსენებული თორმეტივე დასდებლის ირმოსადაა წარმოდგენილი. ეჭვი არ არის, რომ ეს წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქტორული ჩარევის შედეგია, რასაც ადასტურებს ბერძნულ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში მხოლოდ თვითავაჯი (უძლისპირო) სტიქარონების გამოყენება.

XIX-XX საუკუნეების სანოტო კრებულებში დაფიქსირებული ღვთისმშობლის დასდებლის – ***«გიხარიდენ, ღმრთისმშობელო»*** – ჰანგის დამთხვევა **X-XI** საუკუნეების მრავალ ხელნაწერში **(Sin. 1, Sin. 5, Sin. 13, Sin. 34)** დამოწმებული ძლისპირის – ***«მოვედით, აღვიდეთ»*** – ჰანგთან უდავოდ მოწმობს საკვლევი ძლისპირის ხანდაზმულობას და მის სიწმინდით დაცვას თაობათა შორის. ამასთან, აღვნიშნავთ, რომ მსგავსი თანხვედრა თავს იჩენს სხვა მრავალი ძლისპირის მიმართაც. ისინი მომდევნო ტომებში განიხილება.

---

1 *დასდებლები გამოცემულია: ქართული საეკლესიო გალობა **2020, VI: 79-85**; ანთოლოგია **2019, XIII: 425-434.***

სანოტო მაგალითი №1*

* სანოტო მაგალითების დამოწმებისას ხელნაწერისეული მონაცემები უცვლელად არის დაცული; გამონაკლისს მხოლოდ ალტერაციის ნიშნები წარმოადგენს, რომლებიც კრებულის მუსიკალური რედაქტორის მიერაა დასმული.

აღ - მად - გი - ნე - ბე - ლად, და ქვეს - კნე - ლი - სა პყრო - ბილ - თა
აღ - მად - გი - ნე - ბე - ლად, და ქვეს - კნე - ლი - სა პყრო - ბილ - თა
agh - mad - gi - ne - be - lad, da qves - kne - li - sa p'q'ro - bil - ta
ჯო - ჯო - ხე - თით აღ - მომ - ყვა - ნე - ბე - ლად, ქრის - ტე ღმერ -
ჯო - ჯო - ხე - თით აღ - მომ - ყვა - ნე - ბე - ლად, ქრის - ტე ღმერ -
jo - jo - khe - tit agh - mom - q'va - ne - be - lad, qris - t'e ghmer -
თო ყოვ - ლად - ძლი - ე - რო, და მად - - - -
თო ყოვ - ლად - ძლი - ე - რო, და მად - - - -
to q'ov - lad - dzli - e - ro, da mad - - - -
ლო - - ბით გი - გა - - ლობ - დეს შენ.
ლო - - ბით გი - გა - - ლობ - დეს შენ.
lo - - bit gi - - ga - - lob - des shen.

სანოტო მაგალითი №2

ძა - ღ - სა და - მა - რ - ღვე - - - ვე - - - ღად,
ძა - ღ - სა და - მა - რ - ღვე - - - ვე - - - ღად,
dza - l - sa da - ma - r ghve - - - ve - - - lad,
და ა - - - და - მი - ს აღ - - -
და ა - - - და - მის აღ - - -
da a - - - da - mi - s agh - - -
მად - გი - - - ნე - ბე - ლად, და ქვეს - კნე - - -
მად - გი - - - ნე - ბე - ლად, და ქვეს - კნე - - -
mad - gi - - - ne - be - lad, da qves - kne - - -
ღი - - სა პყრო - ბილ - თა ჯო - ჯო - ხე -
ღი - - სა პყრო - ბილ - თა ჯო - ჯო - ხე -
li - - sa p'q'ro - bil - ta jo - jo - khe -

თით ა - ღ - მომ - ყვა - ნე - ბე - ლად
თით ა - ღ - მომ - ყვა - ნე - ბე - ლად
tit a - gh - mom - q'va - ne - be - lad
ქრის - ტე ღმერ - თო, ყოვ - ლად - ძლი - ე - რო,
ქრის - ტე ღმერ - თო, ყოვ - ლად - ძლი - ე - რო,
qris - t'e ghmer - to, q'ov - lad - - dzli - e - ro,
და მად - - - - - ლო - - - ბი - -
და მად - - - - - ლო - - - ბი - -
da mad - - - - - - lo - - - bi - -
ი - - ით გი - - - გა - - - ლობ - დეს შენ.
ი - ით გი - - - გა - - - ლობ - დეს შენ.
i - - *it* gi - - - ga - - - lob - des shen.

სანოტო მაგალითი №3

თა და ნუ სოფ - ლი - სა ზრუნ - ვა - თა - გან ვიშ - ვებ - დით
თა და ნუ სოფ - ლი - სა ზრუნ - ვა - თა - გან ვიშ - ვებ - დით
ta da nu sop - li - sa zrun - va - ta - gan vis - veb - dit
ვი - თარ ი - - უ - და, ა - - რა - მედ სა - უნ - ჯე - თა ში -
ვი - თარ ი - - უ - და, ა - - რა - მედ სა - უნ - ჯე - თა ში -
vi - tar i - - u - da, a - - ra - med sa - un - je - ta shi -
ნა ჩვენ - თა ღა - ღად - ვყოთ: მა - მა - ო ჩვე - ნო ზე - ცა - თა - ვო
ნა ჩვენ - თა ღა - ღად - ვყოთ: მა - მა - ო ჩვე - ნო ზე - ცა - თა - ვო
na chven - ta gha - ghad - vqot: ma - ma - o chve - no ze - tsa - ta - vo
ბო - - რო - ტი - - - - სა - გან გვიხ - სენ ჩვენ.
ბო - - რო - ტი - - - - სა - გან გვიხ - სენ ჩვენ.
bo - - ro - ṭi - - - - - sa - gan gvikh - sen chven.

სანოტო მაგალითი №4

ქრის - ტე სდუ - მენ და მათ - სა მას წარ - მდე - ბე - ბა - სა თავს -
ქრის - ტე სდუ - მენ და მათ - სა მას წარ - მდე - ბე - ბა - სა თავს -
qris - ťe sdu - men da mat - sa mas ts'ar - mde - be - ba - sa tavs -
ი - დებდ, რა - მე - თუ გე - ნე - ბა ვნე - ბა,
ი - დებდ, რა - მე - თუ გე - ნე - ბა ვნე - ბა,
i - debd, ra - me - tu ge - ne - ba vne - ba,
რა - თა აც - ხოვ ნო სო - ფე - ლი, ვი - თარ - - - ცა
რა - თა აც - ხოვ ნო სო - ფე - ლი, ვი - თარ - - - ცა
ra - ta ats - khov no so - pe - li, vi - tar - - - tsa
კაცთ - - მოყ - - - ვა - რე - ხარ.
კაცთ - - მოყ - - - ვა - რე - ხარ.
katst - - moq' - - - va - re - khar.

სანოტო მაგალითი №5

ქა ყოვ - - - ლად - - - ქე - - - ბუ - ლი,
ქა ყოვ - - - ლად - - - ქე - - - ბუ - ლი,
q'a q'ov - - - lad - - - qe - - - bu - li,
პას - - ქა სა - - - ი - დუ - მ - ლო,
პას - - ქა სა - - - ი - დუ - მ - ლო,
p'as - - - qa sa - - - i - - du - m - lo,
პას - ქა სა - უფ - ლო, პას - ქა დი - დი და
პას - ქა სა - უფ - ლო, პას - ქა დი - დი და
p'as - qa sa - up - lo, p'as - qa di - di da
პას - ქა უ - ბი - წო, პას - ქა, რო - მე - -
პას - ქა უ - ბი - წო, პას - ქა, რო - მე - -
p'as - qa u - bi - ts'o, p'as - qa, ro - me - -

- ლ - მან სა - - მო - თხი - სა
- ლ - მან სა - - მო - თხი - სა
- l - man sa - - mo - tkhi - sa
ბჭე - ნი დახ - - შუ - - - ლ - ნი გა - ნ -
ბჭე - ნი დახ - - შუ - - - ლ - ნი გა - ნ -
bch'e - ni dakh - shu - - - l - ni ga - n -
გვიხ - ვნა ჩვენ, პას - ქა ყო - - - - - - -
გვიხ - ვნა ჩვენ, პას - ქა ყო - - - - - - -
gvikh - vna chven, p'as - qa q'o - - - - - - -
ვე - - - - - ლ - თა - - - ა
ვე - - - - - ლ - თა - - - ა
ve - - - - - l - ta - - - - *a*



სანოტო მაგალითი №6

ქა სა - მ - ღვდე - ლო, პა - ს - ქა ყოვ - -
ქა სა - მ - ღვდე - ლო, პა - ს ქა ყოვ - -
qa sa - m - ghvde - lo, p'a - s - qa q'ov - -
ლად - - ქე - - ბუ - ლი, პა - - ს - ქა სა -
ლა - *ი* - ად - ქე - *ი* - *ე* - ბუ - ლი, პა - - ს - ქა სა -
lad - - qe - *i* - *e* - bu - li, p'a - - s - qa sa -
ი - დუ - - მ - ლო, პას - ქა სა - უფ - ლო,
ი - დუ - - მ - ლო, პას - ქა სა - უფ - ლო,
i - du - - m - lo, p'as - qa sa - up - lo,
პას - ქა დი - დი და პას - ქა უ - ბი - წო,
პას - ქა დი - დი და პას - ქა უ - ბი - წო,
p'as - qa di - di da p'as - qa u - - bi - ts'o,

პას - ქა, რო - მე - *ი* - *ელ* - მან სა - მოთ - ხი - სა
პას - ქა, რო - მე - *ი* - *ელ* - მან სა - მოთ - ხი - სა
p'as - qa, ro - me - *i* - *el* - man sa - mot - khi - sa
ბჭე - ნი და - ხ - შულ - - - ნი გა - ნ - გვი - ხ - სნა ჩვენ,
ბჭე - ნი და - ხ - შულ - - - ნი გა - ნ - გვი - ხ - სნა ჩვენ,
bch'e - ni da - kh - shul - - - ni ga - n - gvi - kh - sna chven,
პას - ქა ყო - *ი* - *ო* - - ველ - - თა - - - -
პას - ქა ყო - *ი* - *ო* - - ველ - - თა - - - -
p'as - qa q'o - *i* - *o* - - - vel - - - ta - - - -
ა წმი - - - ნ - და - - - მყო - ფე - ლი
ა წმი - - - ნ - და - - - მყო - ფე - ლი
a - *i* - *a* ts'min - - - da - - - mq'o - pe - li

სანოტო მაგალითი №7

თა კაც - თა. ი - ე - რუ - სა - ლი - მი - სა ა - სულ - ნო,
თა კაც - თა. ი - ე - რუ - სა - ლი - მი - სა ა - სულ - ნო,
ta kats - ta. i - e - ru - sa - li - mi - sa a - sul - no,
მო - ვე - დით და გა - ლო - ბით ვღა - ღა - დებ - დეთ:
მო - ვე - დით და გა - ლო - ბით ვღა - ღა - დებ - დეთ:
mo - ve - dit da ga - lo - - bit vgha - gha - deb - det:
კურ - თხე - ულ არს, რო - მელ - მან გვიშ - ვა ხორ - - ცი - - -
კურ - თხე - ულ არს, რო - მელ - მან გვიშ - ვა ხორ - - ცი - - -
kur - tkhe - ul ars, ro - mel - man gvish - va khor - - tsi - - -
ე - ლად ღმერ - თი ყო - ველ - თა.
ე - ლად ღმერ - თი ყო - ველ - თა.
e - lad ghmer - ti qo - vel - ta.

სანოტო დანართი

წმ. ფილიმონ მგალობლის (ქორიძე), წმ. ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძე) და დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძის

ხელნაწერების მიხედვით



წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველისა და წმ. ბასილი დიდის შესახებ ნაუწყებია, რომ ისინი ათენში მრავალმხრივ განისწავლებოდნენ, მათ შორის – მუსიკაშიც. ამ უწყების თანახმად, ეკლესიის ორივე დიდებული წმინდანი ითვისებდა მხოლოდ ძველ, კეთილად შეწყობილ მუსიკას, ხოლო იმ მუსიკას, რომელიც ოდენ გემოთმოყვარეობით აღავსებს სულს – განაგდებდნენ:

„კუალად მუსიკობისაგან რაოდენი იყო ძუელ და შეწყობილ კეთილ, მისი დასწავებაჲ ყვეს, მომალობელ სულისა მრისხანებისა და ძნიად დასაპყრობელობისა, და რაოდენი გემოვნებად მიიზიდავს, თჳსადვე კარვად უკუნ-აქციეს“ (გრიგოლ ხუცესი 2022: 129).

უფალო-ღაღადყავსა ჴმაჲ ა გუერდი

Lord, I have cried the Plagal First Tone

I გუნდი

1

უ - ფა - ლო, ღა - ღად - ვყავ შენ - და - მი, ის - მი - ნე ჩე - მი,

უ - ფა - ლო, ღა - ღად - ვყავ შენ - და - მი, ის - მი - ნე ჩე - მი,

u - pa - lo, gha - ghad - vq'av shen - da - mi, is - mi - ne che - mi,

ის - მი - ნე ჩე - მი, უ - ფა - - - ლო. უ - ფა - ლო, ღა - ღად - ვყავ

ის - მი - ნე ჩე - მი, უ - ფა - - - ლო. უ - ფა - ლო, ღა - ღად - ვყავ

is - mi - ne che - mi, u - pa - - - lo. u - pa - lo, gha - ghad - vq'av

შენ - და - მი, ის - მი - ნე ჩე - მი, მო - ხე - დენ ხმა - - სა ლოც -

შენ - და - მი, ის - მი - ნე ჩე - მი, მო - ხე - დენ ხმა - - სა ლოც -

shen - da - mi, is - mi - ne che - mi, mo - khe - den khma - - sa lots -

ვი - სა ჩე - - მი - - - სა - - - სა,
ვი - სა ჩე - - მი - - - სა - - - სა,
vi - sa che - - mi - - - sa - - - sa,
ღა - ღა - დე - ბა - სა ჩემ - სა შენ - და - მი, ის - მი - ნე ჩე - მი,
ღა - ღა - დე - ბა - სა ჩემ - სა შენ - და - მი, ის - მი - ნე ჩე - მი,
gha - gha - de - ba - sa chem - sa shen - da - mi, is - mi - ne che - mi,
II გუნდი
უ - - ფა - ლო. წა - რემართენ ლოცვა ჩემი ვითარცა საკმე-
უ - - ფა - ლო. წა - რემართენ ლოცვა ჩემი ვითარცა საკმე-
u - - pa - lo. ts'a - remarten lotsva chemi vitartsa sakme-
ვე - ლი შენ წი - ნა - შე აღპყრობა ხელთა ჩემთა
ვე - ლი შენ წი - ნა - შე აღპყრობა ხელთა ჩემთა
ve - li shen ts'i - na - she aghp'q'roba khelta chemta

შენელებით


მსვერპლ სამწუხ - როდ, ის - მი - ნე ჩე - მი, უ - ფა - ლო.
მსვერპლ სამწუხ - როდ, ის - მი - ნე ჩე - მი, უ - ფა - ლო.
msverp'l samts'ukh - rod, is - mi - ne che - mi, u - pa - lo.



უფალო-ღაღადყავსა ქმაჲ ა გუერდი
(ჭრელი)
Lord, I have cried the Plagal First Tone
(ornamented version)

I გუნდი

* «შეურაცხ-ყო რა მცნება შენი», ქმაჲ გ – პირველი მუხლი, ჰკ, I ტ., გვ. 202.

უ - ფა - ლო, ღა - ღად - ვყავ შენ - და - მი, ის - მი - ნე ჩე - მი,
უ - ფა - ლო, ღა - ღად - ვყავ შენ - და - მი, ის - მი - ნე ჩე - მი,
u - pa - lo, gha - ghad - vq'av shen - da - mi, is - mi - ne che - mi,
მო - ხე - დენ ხმა - სა ლოც - ვი - სა ჩე - მი - სა - სა, ღა - ღა - დე - ბა - სა
მო - ხე - დენ ხმა - სა ლოც - ვი - სა ჩე - მი - სა - სა, ღა - ღა - დე - ბა - სა
mo - khe - den khma - sa lots - vi - sa che - mi - sa - sa, gha - gha - de - ba - sa
ჩემ - სა შენ - და - მი, ის - - - -
ჩემ - სა შენ - და - მი, ის - - - -
chem - sa shen - da - mi, is - - - -
მი - - ნე ჩე - მი, უ - ფა - - - - ლო.
მი - - ნე ჩე - მი, უ - ფა - - - - ლო.
mi - - ne che - mi, u - pa - - - - lo.

II გუნდი

წა - რე - მარ - თენ ლოც - ვა ჩე - მი ვი - თარ - ცა საკ - მე - ვე - ლი
წა - რე - მარ - თენ ლოც - ვა ჩე - მი ვი - თარ - ცა საკ - მე - ვე - ლი
ts'a - re - mar - ten lots - va che - mi vi - tar - tsa sak - me - ve - li
შენ წი - ნა - შე, აღ - პყრო - ბა ხელ - თა ჩემ - - -
შენ წი - ნა - შე, აღ - პყრო - ბა ხელ - თა ჩემ - - -
shen ts'i - na - she, agh - p'q'ro - ba khel - ta chem - - -
თა მსვერპლ სამ - წუხ - როდ, ის - - - -
თა მსვერპლ სამ - წუხ - როდ, ის - - - -
ta msverp'l sam - ts'ukh - rod, is - - - -
შ ე ნ ე ლ ე ბ ი თ
მი - - ნე ჩე - მი, უ - ფა - - - ლო.
მი - - ნე ჩე - მი, უ - ფა - - - ლო.
mi - - ne che - mi, u - pa - - - - lo.

[1]**დ**ასდევ, უფალო, საცა პირსა ჩემსა • და კარი ძნელი – ბაგეთა ჩემთა. •

ნუ მისდრეკ გულსა ჩემსა • სიტყვათა მიმართ უკეთურებისათა • **მ**იზეზებად მიზეზთა ცოდვისათა • კაცთა თანა, რომელნი იქმან უშჯულოებასა, •

და ნუმცა ზიარ ვარ მე რჩეულთა მათთა თანა. • მსწავლოს მე მართალმან წყალობითა და მამხილოს მე; •

ზეთი ცოდვილისა ნუ განაპოხებს თავსა ჩემსა • და მერმე ნუცაღა ლოცვა ჩემი ნებასა მათსა. •

დაინთქნეს მახლობელად კლდისა მსაჯულნი მათნი, • ისმენენ სიტყვანი ჩემნი, რამეთუ ტკბილ არიან. •

ვითარცა სისქე მიწისა განიპო ქვეყანასა ზედა, • განიბნინეს ძვალნი მათნი ჯოჯოხეთს შინა. •

რამეთუ შენდამი, უფალო, • უფალო, თვალნი ჩემნი; შენდამი ვესავ, ნუ მიმიღებ სულსა ჩემსა. •

მიცევ მე მახისაგან, რომელ დამირწყეს მე, • და საცთურისაგან, რომელნი იქმან უშჯულოებასა. •

შეითხინენ სათხეველთა მისთა ცოდვილნი; • მხოლო ვარი მე, ვიდრემდის თანაწარვჰხდე? •

ხმითა ჩემითა უფლისა მიმართ ღაღად-ვყავ, • ხმითა ჩემითა უფლისა მიმართ ვილოცე. •

---

1 *ფსალმუნის* „**დასდევ, უფალო**“ *სანოტო მასალა იხ. ჰიმნოგრაფიული კრებული 2023: 177. ნევმირების შესახებ იხ.: წერეთელი 2016:* xxii; *ჰიმნოგრაფიული კრებული 2023: 191.*

ᲒᲐᲜᲒᲐᲮᲤᲘᲜᲝ მის წინაშე ვედრება ჩემი • და ჭირი ჩემი წინაშე მისსა მიუთხრა. •

ᲛᲝ-ᲠᲐ-ᲐᲙᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ ჩემგან სული ჩემი, • და შენ უწყნი ალაგნი ჩემნი; •

ᲒᲖᲐᲡᲐ ამას, რომელსა ვიდოდე, დამირწყეს მე მახე. • ვხედევდ მარჯუულ ჩემსა, განვიცდიდ და არავინ იყო მცნობელ ჩემდა; • **ᲬᲐᲠᲬᲧᲛᲓᲐ** სივლტოლა ჩემგან • და არავინ არს გამომეძიებელ სულისა ჩემისა. •

ᲮᲐᲚᲓ-ᲕᲧᲐᲕ შენდამი, უფალო, • და ვთქუ შენ ხარ სასო ჩემი, ნაწილი ჩემი ქვეყანასა მას ცხოველთასა. •

ᲛᲝᲮᲔᲓᲔᲜ ვედრებასა ჩემსა, • რამეთუ დავმდაბლდი ფრიად; • **ᲛᲘᲮᲡᲔᲜ** მე მდევართა ჩემთაგან, • რამეთუ განძლიერდეს ჩემსა უფროს. •

ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲔ საპყრობილით სული ჩემი, • რათა აღუვარო სახელსა შენსა. •

X ᲓᲐᲡᲓᲔᲑᲔᲚᲘ

ᲛᲔ მელიან მართალნი, • ვიდრემდის მომაგო მე. •

IX ᲓᲐᲡᲓᲔᲑᲔᲚᲘ

ᲮᲠᲛᲘᲗᲐᲦᲛᲝ ღაღად-ვყავ შენდამი, უფალო; • უფალო, შეისმინე ლოცვისა ჩემისა; •

VIII ᲓᲐᲡᲓᲔᲑᲔᲚᲘ

ᲝᲗᲮᲜᲔᲓ ყურნი შენნი • მორჩილ ხმასა ვედრებისა ჩემისასა. •

VII ᲓᲐᲡᲓᲔᲑᲔᲚᲘ

შკეთუ უშჯულოებათაებრ მიაგებდე, უფალო, • უფალო, ვინ-მე დაუთმოს? რამეთუ შენ მიერ არს ლხინება. •

VI დასდებელი

სახელისა შენისათვის დაგითმე შენ, უფალო, • დაუთმოს სულმან ჩემმან სიტყვასა შენსა. ესავს სული ჩემი უფალსა. •

V დასდებელი

სახმილავითგან განთიადისა მიმწუხრამდე, • სახმილავითგან განთიადისა ესევდინ ისრაელი უფალსა. •

IV დასდებელი

რამეთუ უფლისა მიერ არს წყალობა, და მრავალ არს მის მიერ გამოხსნა. • და თავადმან იხსნას ისრაელი ყოველთაგან უშჯულოებათა მისთა. •

III დასდებელი

უგალობდით უფალსა ყოველი თესლები • და აქებდით მას ყოველი ერი; •

II დასდებელი

რამეთუ განძლიერდა ჩუენ ზედა წყალობა მისი, • და ჭეშმარიტება უფლისა ჰგიეს უკუნისამდე. :•

I დასდებელი

დიდება... **ა**წ და...[1]

ღმრთისმშობლის დასდებელი

1 «დიდება. ახ და» იხ. წინამდებარე გამოცემა, გვ. 130, 429.

დიდებაჲ. აწ და ქმაჲ ა გუერდი

Glory. Now and the Plagal First Tone

დასდებელნი აღდგომისანი. უფალო-ღაღადყავსა

ჴმაჲ ა გუერდი

Resurrectional Stichera on "Lord, I have cried"

the Plagal First Tone

ა დასდებელი

Troparion 1

ბ დასდებელი

Troparion 2



ქრის - ტე, ეშ - მა - კი მო - აკ - ვდი - ნე და აღ - დგო -
ქრის - ტე, ეშ - მა - კი მო - აკ - ვდი - ნე და აღ - დგო -
qris - ťe, esh - ma - ki mo - ak - vdi - ne da agh - dgo -
მი - თა შე - - ნი - - - თა ძა - ლი სიკ - ვდი - ლი - სა
მი - თა შე - - ნი - - - თა ძა - ლი სიკ - ვდი - ლი - სა
mi - ta she - - ni - - - ta dza - li sik - vdi - li - sa
დაჰ - ხსენ და მიხ - სნენ ჩვენ ცოდ - ვა - თა - გან, მორ - წმუ - ნე - ნი
დაჰ - ხსენ და მიხ - სნენ ჩვენ ცოდ - ვა - თა - გან, მორ - წმუ - ნე - ნი
dah - khsen da mikh - snen chven tsod - va - ta - gan, mor - ts'mu - ne - ni
შენ - - ნი, რო - მელ - ნი - ცა გი - ღა - - ღა - დებთ:
შენ - - ნი, რო - მელ - ნი - ცა გი - ღა - - ღა - დებთ:
shen - - ni, ro - mel - ni - - tsa gi - gha - - gha - debt:

გ დასდებელი
Troparion 3

დ დასდებელი
Troparion 4

ეტ - ყო - და მე - ნელ - საც - ხებ - ლე - თა: რა - სა ე - ძი -
ეტ - ყო - და მე - ნელ - საც - ხებ - ლე - თა: რა - სა ე - ძი -
et' - q'o - da me - nel - sats - kheb - le - ta: ra - sa e - dzi -
ებთ ცხო - ველ - - სა მას მკვდარ - თა თა - ნა? აღ - დგო -
ებთ ცხო - ველ - - სა მას მკვდარ - თა თა - ნა? აღ - დგო -
ebt tskho - vel - - sa mas mkvdar - ta ta - na? agh - dgo -
მილ არს! ა - ჰა, საფ - ლა - ვი ცა - რი - ე - ლი და
მილ არს! ა - ჰა, საფ - ლა - ვი ცა - რი - ე - ლი და
mil ars! a - ha, sap - la - vi tsa - ri - e - li da
მცველ - ნი და - ცე - მულ - ნი, ზარ - გან - ხდილ - ნი!
მცველ - ნი და - ცე - მულ - ნი, ზარ - გან - ხდილ - ნი!
mtsvel - ni da - tse - mul - ni, zar - gan - khdil - ni!

ე დასდებელი
Troparion 5

ღმრთისმშობლისაჲ

Theotokion



სუ - ლი - სა წმი - დი - სა სად - გურ - სა, საყ - დარ - სა ღმრთი -
სუ - ლი - სა წმი - დი - სა სად - გურ - სა, საყ - დარ - სა ღმრთი -
su - li - sa ts'mi - di - sa sad - gur - sa, saq' - dar - sa ghmrti -
სა მაღ - ლი - - სა - - სა, მტკვირ - თველ - სა ან - გე - ლოზ -
სა მაღ - ლი - - სა - - სა, მტკვირ - თველ - სა ან - გე - ლოზ -
sa magh - li - - sa - - sa, mt'vir - tvel - sa an - ge - loz -
თა მე - უ - - - ფი - სა - სა, ცხო - რე - ბი - სა მი - -
თა მე - უ - - - ფი - სა - სა, ცხო - რე - ბი - სა მი - -
ta me - u - - - pi - sa - sa, tskho - re - bi - sa mi - -
ზეზ - - სა, სა - სო - სა ჩვენ - სა, მა - - რი - - ამს,
ზეზ - - სა, სა - სო - სა ჩვენ - სა, მა - - რი - - ამს,
zez - - sa, sa - so - sa chven - sa, ma - - ri - - ams,

შენელებით


ვი - ო - - ხებთ მას ყო - - - ველ - სა ჟამ - სა.
ვი - ო - - ხებთ მას ყო - - - ველ - სა ჟამ - სა.
vi - o - - khebt mas qo - - - vel - sa zham - sa.

სხვანი ჴმაჲ ა გუერდი

Other Stichera the Plagal First Tone

რომელი ქებულ ხარ...

Thou, who art praised...

ა დასდებელი

Troparion 1

ბ დასდებელი
Troparion 2



ცხო - რე - ბის - მომ - ცე - - - მე - - - ლო,
ცხო - რე - ბის - მომ - ცე - - - მე - - - ლო,
tskho - re - bis - mom - tse - - - me - - - lo,
და ძლი - ე - რე - ბით შეჰ - მუს - რენ ჯო - ჯო - ხე - თი -
და ძლი - ე - რე - ბით შეჰ - მუს - რენ ჯო - ჯო - ხე - თი -
da dzli - e - re - bit sheh - mus - ren jo - jo - khe - ti -
სა ბჭე - ნი და მკვდარ - ნი ა - ღად - გი - ნენ შენ,
სა ბჭე - ნი და მკვდარ - ნი ა - ღად - გი - ნენ შენ,
sa bch'e - ni da mkvdar - ni a - ghad - gi - nen shen,
რა - ჟამს აღ - დეგ საფ - - ლა - - ვით ღმრთე - -
რა - ჟამს აღ - დეგ საფ - - ლა - - ვით ღმრთე - -
ra - zhams agh - deg sap - - la - - vit ghmrte - -

გ დასდებელი
Troparion 3



დ დასდებელი
Troparion 4

მიძ - ლე - ვი - ეს სიკ - - - ვდილ - - - სა,
მიძ - ლე - ვი - ეს სიკ - - - ვდილ - - - სა,
midz - le - vi - es sik - - - vdil - - - sa,
„გი - ხა - რო - დენ“ უთ - ხართ მო - წა - ფე - თა, წარ - ვი - დენ გა -
„გი - ხა - რო - დენ“ უთ - ხართ მო - წა - ფე - თა, წარ - ვი - დენ გა -
„gi - kha - ro - den“ ut - khart mo - ts'a - pe - ta, ts'ar - vi - den ga -
ლი - - ლე - ას და მი - ხი - ლონ აღ - დგო - მი - - ლი
ლი - - ლე - ას და მი - ხი - ლონ აღ - დგო - მი - - ლი
li - - - le - as da mi - khi - lon agh - dgo - mi - - li
ღმრთე - ე - ბით მე - სა - მე - სა დღე - სა, ვი -
ღმრთე - ე - ბით მე - სა - მე - სა დღე - სა, ვი -
ghmrte - e - bit me - sa - me - sa dghe - sa, vi -

ღმრთისმშობლისაჲ

Theotokion

შე - - ნი - თა, რო - მელ - ნი გე - სავთ მა - რა - - დის
შე - - ნი - თა, რო - მელ - ნი გე - სავთ მა - რა - - დის
she - - ni - ta, ro - mel - ni ge - savt ma - ra - - dis
და და - უც - ხრო - მე - ლი - თა ხმი - თა გა - -
და და - უც - ხრო - მე - ლი - თა ხმი - თა გა - -
da da - uts - khro - me - li - ta khmi - ta ga - -
შ ე ნ ე ლ ე ბ ი თ
დი - - დებთ შენ ყო - ველ - ნი.
დი - - დებთ შენ ყო - ველ - ნი.
di - - debt shen qo - vel - ni.

სხვანი ჴმაჲ ა გუერდი

Other Stichera the Plagal First Tone

მოვედით, აღვიდეთ...

Come, let us go up...

ა დასდებელი

Troparion 1

* საგალობელი რედაქტირებულია არტემ ერქომაიშვილის მიერ გადმოცემული აღდგომის სტიქარონის – ***«პასქი ბრწყინვალედ»*** (ჴმაჲ ა გუერდი) – მიხედვით (**შს**, გვ. 35; **არტ.**).

«ჰშვე, ქალწულო», ჴმაჲ ა გუერდი – პირველი მუხლი, **ქსგ**, VIII ტ., გვ. 293.

სუ - ლი - - სა - თა, რა - თა ვი - ხი - - ლოთ მუნ
სუ - ლი - - სა - თა, რა - თა ვი - ხი - - ლოთ მუნ
su - li - - sa - ta, ra - ta vi - khi - - lot mun
ხილ - ვა შე - საძ - რწუ - ნე - ბე - ლი, ღმერ - თი ხორ - ცი - თა ჯვარ - ცმუ - ლი.
ხილ - ვა შე - საძ - რწუ - ნე - ბე - ლი, ღმერ - თი ხორ - ცი - თა ჯვარ - ცმუ - ლი.
khil - va she - sadz - rts'u - ne - be - li, ghmer - ti khor - tsi - ta jvar - tsmu - li.
თა - ნა - ხატ ვექ - მნნეთ ვნე - ბა - თა მის - თა,
თა - ნა - ხატ ვექ - მნნეთ ვნე - ბა - თა მის - თა,
ta - na - khaṭ veq - mnnet vne - ba - ta mis - ta,
